

78 1.
986



ISSN 0132-5981

საქართველო საპატენტო



1986

54
17862

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია

ლევან ალექსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
გილა ბერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანჟორ ბაბიანი
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაზმაძე
ზრიბოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ალექსანდრე შუშანაშვილი
ნრაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორბენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия

Алексидзе Л. А.,
Арсенашвили А. Г.
(научный редактор),
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь),
Габиани А. А.,
Джорбенадзе С. М.,
Каранадзе А. Г.,
Лория Д. А.,
Размадзе В. А.,
Роинишвили Г. В.,
Чиковани И. П.,
Шавгулидзе Т. Г.,
Шушанашвили А. А.

178
1986/2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

საჭოთა სამართალი

№ 1

ინჰვარი
თებერვალი
1986 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მიცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა რ ს ი

ახალი მიღწევებისათვის	3
<u>საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში</u>	
გაგაძლიერთ ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ	7
<u>საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა გვავალებს</u>	
პ. გილაშვილი — ყველაფერი დისციპლინითა და წესრიგით იწყება	9
<u>ლაპარაკობენ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები</u>	
ნ. საჩაია — გენდოთ, მაგრამ გავაკონტროლოთ	15
ვ. რაჭმაძე — დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანოთ	17
<u>განვიხილავთ ახალ პარტიულ დოკუმენტებს</u>	
გ. როინიშვილი — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებისათვის	20
ე. ახვლედიანი — სოციალისტური დემოკრატია და სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია	23
<u>კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ მოქმედებაში</u>	
ვ. ფარქოსაძე — შრომითი კოლექტივი—სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი	27
გ. იოსავა — შრომითი კოლექტივების როლი და ამოცანები	33
თ. საბაიშვილი — სამართლებრივი დახმარება შრომითს კოლექტივებს	37
<u>კანონის ძალა — ღიოთობისა და აღკოპოლიზმის წინააღმდეგ</u>	
გ. გურული — სიმთვრალე დანაშაულს ამძიმებს	41
ა. არსენაშვილი — სიფხეზღე — ცხოვრების ნორმა	43
<u>იურიდიული ცოდნა — მახებს!</u>	
ვ. აღანია — სიხსლე სამოქალაქო სამართალწარმოებაში	45
<u>პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში</u>	
გ. ხულხანიშვილი — ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობის სრულყოფისათვის	48
მ. სილაგაძე—საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და მათი გავლენა მტკიცების ფარგლებზე	54
<u>მეცნიერული ცხოვრება</u>	
არასრულწლოვანი და დანაშაული	58
<u>ჩვენი პროფესიის ადამიანები</u>	
ა. ფალაშვილი — ღვაწლმოსილი	61
<u>კრიტიკა და ბიბლიოგრაფია</u>	
გ. ინწკირველი — ქართული იურიდიული ლიტერატურის კარგი შენაძენი	63
თ. ნინიძე — ნორმატიული აქტების კრებული	64
ზ. მესხენსერი — კრებული სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე	65
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა“	66
ინფორმაცია	73
ბიბლიოგრაფია	78

СОДЕРЖАНИЕ

06036920
303-7001303

К новым достижениям	7
<u>В Центральном Комитете Компартии Грузии</u>	
Усиливая борьбу с бюрократизмом и формализмом	9
<u>XXVII съезд Компартии Грузии обязывает</u>	
П. Гиладшвили — Все начинается с дисциплины и порядка	15
<u>Говорят делегаты XXVII съезда Компартии Грузии</u>	
Н. Саджая — Доверять, но проверять	17
В. Размадзе — Начатое дело доведем до конца	
<u>Рассматриваем новые партийные документы</u>	
Г. Рониншвили — Укрепим правовые основы государственного и общественно-го строя	20
Э. Ахведнани — Социалистическая демократия и новая редакция Программы КПСС	23
<u>Закон о трудовых коллективах в действии</u>	
В. Паркосадзе — Трудовой коллектив — основная ячейка социалистического общества	27
Г. Иосава — Роль и задачи трудовых коллективов	33
Т. Сабинашвили — Правовая помощь трудовым коллективам	37
<u>Силу закона — против пьянства и алкоголизма</u>	
Г. Гурули — Пьянство отягчает ответственность	41
А. Арсенашвили — Трезвость — норма жизни	43
<u>Юридические знания — массам!</u>	
В. Алания — Новое в гражданском судопроизводстве	45
<u>Первые шаги в науке</u>	
Г. Сулханишвили — Совершенствовать законодательство об охране и использовании памятников истории и культуры	48
М. Силагадзе — Факты и обстоятельства, имеющие значение по делу, их влияние на пределы доказывания в советском юридическом процессе	54
<u>Научная жизнь</u>	
Подросток и преступление	58
<u>Люди нашей профессии</u>	
А. Палиашвили — Вся жизнь — служение долгу	61
<u>Критика и библиография</u>	
Г. Инцкирвели — Вклад в грузинскую юридическую литературу	63
Т. Нинидзе — Сборник нормативных актов	64
З. Месенгисери — Сборник по вопросам социального обеспечения	65
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе. — Право для всех	66
<u>Информация</u>	73
<u>Библиография</u>	78



© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლენარის პრ. 103, ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 3. 02. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 02. 86 წ.,
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,1

შეკვ. № 264

ტირაჟი 27.500

უე 04547

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

სახლი მიწავეპისათვის

18.273

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე დიდი კმაყოფილებით აღინიშნა ის დადებითი შედეგები, რასაც ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროსა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღებითა და დახმარებით მიიღწია. ამ წრუნვის ნათელი გამოხატულებაა ჩვენი დიდი ქვეყნის პარტიისა და მთავრობის დადგენილება „1986-90 წლებში ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის განხორციელება არსებითად გააუმჯობესებს საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრების პირობებს.

პრაქტიკულად დაძლეულია საშუალო საკავშირო ღონისაგან ჩამორჩენა ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქციის მატებამ 29,8 პროცენტი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ზრდის საგეგმო დავალებები შესრულებულია ვადად. წარმოების მოცულობა 80,4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, მატების 71,2 პროცენტი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდებით. უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის ზედრიითა წილმა ატესტაციას დაქვემდებარებულ საერთო მოცულობაში 49 პროცენტი შეადგინა. უწრუნველყოფილია პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირება. სოფლის მშრომელებმა ხუთწლიანი დავალების გადამტებით დაამზადეს თითქმის 580 მილიონი მანეთის პროდუქცია. გასულ ხუთწლედან შედარებით სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება 12,5 პროცენტით გაიზარდა, საერთო-საკავშირო ფონდში გაიზარდა 1,5-ჯერ მეტი ციტრუსი, 1,8-ჯერ მეტი ხილი, 1,2-ჯერ მეტი ბოსტნეული და კარტოფილი.

დიდი ძვრები მოხდა აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობაში. წარმატებით შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების, მათ შორის ბინების მშენებლობისა და კაპიტალდაზღვევათა ათვისების სამუშაოთა პროგრამა.

მნიშვნელოვნად განვითარდა ყველა სახეობის ტრანსპორტი. 15 პროცენტით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, 28 პროცენტით და მეტად გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 20,8, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 49,8 პროცენტით. გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

რამდენადმე გაუმჯობესდა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა. მივიღინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში შემცირდა მძიმე დანაშაულობათა რიცხვი, წინასწარგანზარახული მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემთხვევები, გაუპატიურების, სხეულის მძიმე დაზიანების რიცხვი, ყაჩაღური თავდასხმა და ძარცვა, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, მათ შორის სიკვდილით.

დადებითი შედეგი გამოიღო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა. გასულ ხუთწლედში შემცირდა ასეთ დანაშაულობათა რიცხვი.

გაპატიურდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. 1985 წელს რესპუბლიკაში გამოვლინდა 21,6 პროცენტით მეტი ქრთამის აღების შემთხვევა, ვიდრე 1981 წელს. გაძლიერდა გაფლანგვა-დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა, გაუმჯობესდა სასამართლო ორგანოების მუშაობა. მიუხედავად ამ წარმატებებისა, სამართალდაცველი და აღმინისტრაციული ორ-

საქ. სსრ კ. მარკოსი
სსს, სსბ. რესპუბ.
1985 წლის

განოების მუშაობა ჭერ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, რაზედაც ყრილობაზე მკაცრად და სამართლიანად ითქვა.

პირველ რიგში ეს არის კადრების საკითხი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილებასა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარისო მოხსენებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „განხორციელდეს გადაწყვეტი ღონისძიებები სამართლდამცველ ორგანოთა კოლექტივებში კლიმატის გაჯანსაღების, არაკეთილსინდისიერი და სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან მათი გაწმენდის, შემოწმებული კადრებით — კომუნისტებით, კომკავშირელებით, წარმოების მოწინავეებით მათი განმტკიცების ღონისძიებანი“.

ყრილობაზე პირუთვნელად ითქვა ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორცაა სახელმწიფო ქონების დატაცება და მეჭრთამეობა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. აღმუშვითებელია უკონტროლოების, განუითხაობის ფაქტები. ყველასათვის ცხადია, რომ ზოგიერთი სამართლდამცველი ორგანოს საქმიანობისადმი გულგრილი დამოკიდებულება, მათი ნებაზე მიშვება ხელს უწყობს ამგვარი საშიში მოვლენების არსებობას. მაშინ, როცა სამართლდამცველ ორგანოთა თითოეული მუშაკი უნდა იყოს პრინციპულობის, მოქალაქეობრივი გამბედაობის მაგალითი, რადგან ბოროტება, რომელთანაც გვიხდება ბრძოლა, ზოგჯერ აღწევს ისეთ დიდ სიმაღლეებს, რომ მისი მხილება და საშუაროაზე გამოტანა მოითხოვს არა მარტო მაღალ პროფესიულ ოსტატობას, არამედ დიდ პირობად, მორალურ ღირებულებებსაც.

ამასწინათ ვადაზე ადრე გამოიწვიეს მახარადის რაიონის სახალხო მოსამართლე გ. ხინთიბიძე, რომელმაც პარტიის მახარადის რაიონის ყოფილი პირველი მდივნის თენგიშვილის პირდაპირი მითითებით ლმობიერი განაჩენი გამოუტანა სახალხო დოვლათის დამტაცებლებს.

გვიჭირს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ აუცილებელია პირდაპირ ითქვას, რომ სამართლდამცველი ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა მოლიპული გზა ირჩია, რაც ხელსაყრელია სხვათა საამებლად და გულის მოსაგებად. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ჭერ კიდევ მუშაობენ სამართლდამცველ ორგანოებში და ვიდრე ისინი არსებობენ, კანონიერების უხეში დარღვევების რეციდივები გარდუვალია. ამიტომ სამართლდამცველ ორგანოებში თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ღირსეულნი: პატიოსანი, უანგარო, სამართლიანი მუშაკები.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე მკაცრად განიხილეს ცენტრალური აპარატის მუშაკის პ. კოვჭირიძის საკითხი, რომელმაც უხეშად დაარღვია სოციალისტური კანონიერება. შემოწმებით დადგინდა, რომ პ. კოვჭირიძე თვითნებურად ეკიდებოდა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, აჭიანურებდა მათზე რეაგირებას, უფრო მეტიც, აკალბებდა კიდევ ოფიციალურ დოკუმენტებს. რა თქმა უნდა, იგი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი ის არის, თუ როგორ გაიკეთა მან, ეგრეთ წოდებული, „კარტისა“, რაზედაც კოლეგიამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება. აღმოჩნდა, რომ, როცა ქ. ქუთაისის პროკურატურის ორგანოებში მუშაობდა, უმოქმედობისათვის ქალაქის პროკურორი აყენებდა საკითხს მისი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ვიდაცის „უჩინარმა ხელმა“ კოვჭირიძე საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალურ აპარატში გადაიყვანა ჭერ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწედ განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა საქმეში, შემდეგ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილებაში, ბოლოს კი საერთო ზედამხედველობის განყოფილებაში. მსგავსი პროტექციონიზმის მაგალითები, სამწუხაროდ, ჭერ კიდევ გვხვდება სამართლდამცველ ორგანოებში.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში დაადა მუშაობის ხარისხობრივ გარდაქმნათა გზას, მთავარი ყურადღება ექცევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ამისათვის კი, უჩინარესად, საჭიროა შრომის ყველა უბანზე სანიმუშო წესრიგის დამყარება, შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მთავარი შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა. ამ საქმეში კი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ სამართალდამცავი ორგანოები.

ყრილობაზე მწვავედ აღინიშნა, რომ ჭირ კიდევ ყოველთვის როდი სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. როგორც შემოწმებებმა ცხადყო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ იცავენ მსუბუქი, ადგილობრივი და სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთ ორგანიზაციაში. განვიღო ხუთწლიელში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის რესპუბლიკის ორგანიზაციებმა მარტო ჭარბის სახით გადაიხადეს 221 მილიონი მანეთი. როგორც იტყვიან, კომენტარი შედმეტია.

განუზომლად დიდი ზიანი მოაქვს მიწერებს, რაც ხშირად დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების დატაცებასთან. ნაკლებზეეტურად ებრძვიან ამ ბოროტებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში, ბორჯომის, თიანეთის, წალკისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში.


ყრილობაზე რესპუბლიკის პროკურორმა ვ. რაჭმაძემ აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის წარმოება-დაწესებულებებმა დიდი თანხები გადაიხადეს. უხარისხო პროდუქციის გამოშვება ჩვეულებრივ ამაღ იქცა მსუბუქი, ადგილობრივი, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის. მაშინ, როცა ანბანური ჭეშმარიტებაა ის, რომ ქვეყნის ეკონომიკის ამაღლებისათვის განსაკორცელებელ პროდუქტთა შორის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა სწორედ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ენიჭება, რადგან ამ პრობლემას არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. პროდუქციის ხარისხზეა დამოკიდებული აგრეთვე ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და ჩვენი ეროვნული პრესტიჟი საერთაშორისო ბაზარზე. პროდუქციის ხარისხის ამაღლება სადღეისო მოთხოვნათა დონეზე საჭიროებს სამართალდამცველი ორგანოების მუშაობის, კერძოდ, საპროკურორო შედამხედველობის ძირითად გარდაქმნას. ცოტა როდია შემთხვევა, როცა ესა თუ ის საწარმო წლების მანძილზე უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქციას უშვებს, რასაც გამოუსწორებელი მატერიალური და მორალური ზარალი მოაქვს, ამისათვის კი არავინ ისჯება. განუკითხაობის ასეთი ფაქტები ძირიანად უნდა ამოიძირკოს.

რესპუბლიკის სამართალდამცველმა და მაკონტროლებელმა ორგანოებმა დღემდე ვერ დაამყარეს ურთიერთთანამშრომლობის ქმედითი, საიმედო კონტაქტები. ეს კი ამუხრუტებს ამ ორგანოთა გეგმაზომიერი საქმიანობის სწორად წარმართვას, საჭიროა ამ ორგანოებმა დღენიადაგ იზრუნონ შემოქმედებითი მუშაობის გაშლისათვის, მთელი შესაძლებლობის მაქსიმალურად ამოქმედებისათვის.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მართვის საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის დიდი წვლილი შეაქვს კანონს „შრომითი კოლექტივების შესახებ და მათი როლის ამაღლება წარმოებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მართვაში“. პრაქტიკა მოწმობს, რომ იქ, სადაც ამ კანონს განუხრებლად იცავენ, შეუფერხებლად ვითარდება წარმოების ეკონომიკა, უმჯობესდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, მაღლდება მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. ამ კანონის მოქმედების აქტიურობაზე ისიც მტყველებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში თავის სწლომებზე ხშირად იხილავს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, სამინისტროებში და უწყებებში შრომითი კოლექტივების კანონის დაცვის საკითხებს.

საეჭვოა, რომ დღეს ვინმეს აკმაყოფილებდეს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა. ჭირ კიდევ თავისუფლად გრძნობენ თავს მსხვილი ქორვაჭრები. ყოველივე ამაზე პირუთვნელად ლაპარაკობდნენ ყრილობის დელეგატები. ისინი ერთსულოვნად მოითხოვენ, რომ საბჭოთა მშრომელმა ხალხმა უნდა იცხოვროს სიმშვიდის, შემოქმედებითი შრომის ატმოსფეროში და საკადრისად დაისაჯოს ყველა, ვინც არად აგდებს მშრომელთა ინტერესებს.

რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჭირ კიდევ შექმნილი არ არის ერთიანი ფრონტი, აქა-იქ დავიწყებას მიეცა საზოგადოებრივ რაზმელებთან მუშაობაც.



ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ. ამ დადგენილების განუხრელად შესრულება, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცველი და აღმინისტრაციული ორგანოების წმიდათაწმიდა მოვალეობაა, რადგან ფაქტია, რომ დანაშაულობათა თითქმის მესამედი ჩადენილია სიმთვრალეში. ესე იგი, როცა ვებრძვით ლოთებს, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ ამავდროულად ვებრძვით დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსაც. ეს მთლიანად ეხება ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებსაც.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოიწვია ყრილობაზე გულახდილმა და პრინციპულმა მსჯელობამ იმ სერიოზული ნაკლოვანებების ირგვლივ, რომლებიც ამუხრუჭებს ჩვენს საერთო წინსვლას, იმ დონისძიებებზე, რომელთა გატარებაც აუცილებელია მართლწესრიგის დამყარებისათვის, იმ საშიში მოვლენების აღმოფხვრისათვის, როგორც არის მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების დატაცება, სპეკულაცია, სხვადასხვა სახის მაქინაციები.

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა გარკვეულდება არა მარტო სიტყვის ძალითა და დარწმუნებით, არამედ კანონიერების შკაცრი დაცვით.

აღმინისტრაციული ორგანოების წინაშე დასახული სერიოზული ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია განმტკიცდეს ქმედითი ურთიერთობა მშრომელბთან, მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებთან. მისახლმებელია, რომ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში იმართება სოფლის თავყრილობები, სადაც პირუთვნელად მსჯელობენ დანაშაულისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასეთი თავყრილობები სხვაგანაც გაიმართება და აქ გამოთქმული მოსაზრებები მთელი სისრულით უნდა გაითვალისწინონ სამართალდამცველმა ორგანოებმა შემდგომი მუშაობის საკოორდინაციოდ.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ და მისი სარედაქციო კოლეგია მოწოდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რესპუბლიკის სამართალდაცვითი და აღმინისტრაციული ორგანოების წინაშე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული უადრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანების დროულად და წარმატებით გადაჭრას, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სანიმუშო დისციპლინის განმტკიცებას.

ყრილობის დადგენილება რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას მოუწოდებს: „ჩალი იმპულსი და ფართო გაქანება მიანიჭონ უკომპრომისო შეტევას საბჭოთა სინამდვილისათვის ისეთ უცხო გამოვლინებებზე, როგორც არის: სოციალისტური საკუთრების დატაცება, საქმოსნობა, პროტექციონიზმი, მუქთანხობა, ბიუროკრატიზმი, კარიერიზმი, კერძომესაკუთრული ტენდენციები, მავნე ტრადიციები და წეს-ჩვეულებები და გადაჭრით გაწმინდონ ადამიანთა შეგნება წარსულის გადმონაშთებისაგან, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ საზოგადოების ცხოვრების ასეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობისა და როლის გაძლიერებას“.

საბჭოთა სამართალი
 საქმოსნობა
 პროტექციონიზმი
 ბიუროკრატიზმი
 კარიერიზმი
 კერძომესაკუთრული ტენდენციები
 მავნე ტრადიციები
 წეს-ჩვეულებები
 ადამიანთა შეგნება
 წარსულის გადმონაშთებისაგან
 განსაკუთრებული ყურადღება
 მიაპყრონ საზოგადოების ცხოვრების
 ასეთი ნეგატიური მოვლენების
 წინააღმდეგ ბრძოლაში
 ხელმძღვანელ მუშაკთა
 პირადი პასუხისმგებლობისა
 და როლის გაძლიერებას



გააკლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ანხ. ა. გ. კარანაძის ანგარიში „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, მისმა პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად. განხორციელდა კადრების განმტკიცების, მათი აქტიურობის, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გაზრდის ღონისძიებანი. გაძლიერდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმებისა და პრეზიდიუმის ხელმძღვანელი როლი, იხვეწება მისი კოლეგიების მთელი აპარატის საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. გაუმჯობესდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, საკასაციო კოლეგიებისა და პირველი ინსტანციის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, უფრო მკაცრად იცავენ საქმეთა განხილვის ვადებს.

დადებითი შედეგები მოგვცა მოქალაქეთა საჩივრების განხილვის მეთოდიკამ, რომელსაც იყენებს უმაღლესი სასამართლო, რის შედეგადაც სტაბილურად მცირდება საჩივრების რიცხვი. საყურადღებოა მუშაობა სამართალწარმოებაში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა დანერგვისათვის.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მუშაობა ამ მართულებით შემდგომ სრულყოფასა და გააქტიურებას საჭიროებს.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობას, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს დაევალოს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივის უფრო მტკიცე ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, საქმის ვაკუანურების, მექრთამეობის გამოვლინებების, სხვა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, ყოველმხრივ განამტკიცონ რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო საიმედო, კვალიფიციური კადრებით; გაზარდონ აპარატის პასუხისმგებელი პირების, რგოლების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა.

უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებმა უნდა მიაღწიონ საქმიანობის ყველა ფორმის შემდგომ სრულყოფას, უწინარეს ყოვლისა სასამართლო საქმეების განხილვის ოპერატიულობის გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას, სასამართლო შეცდომების აღმოფხვ-

რას, გამორიცხონ მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მოცდენა საზოგადოებრივი შრომისა და პირადი საქმეებისაგან.

უნდა გავაძლიეროთ უმაღლესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის როლი. გავზარდოთ მომთხოვნელობა სასამართლო მუშაკებისადმი, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მართლმსაჯულების აღსრულების დაკისრებულ პასუხსაგებ მოვალეობებს. საჭირო შემთხვევებში პრინციპულად უნდა დავაყენოთ მათი ვადამდე გაწვევის საკითხი.

უნდა გავაძლიეროთ სასამართლოებში მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხსა და დონეზე უმაღლესი სასამართლოს გავლენის ქმედითობა; ძირითადად ყურადღება დავუთმოთ სასამართლო შეცდომების პროფილაქტიკას, მივალწიოთ იმას, რომ მოქალაქეთა სასამართლო საქმეები წყდებადეს ადგილებზე, გაუჭიანურებლად და საჭირო არ იყოს მათი გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო და სხვა ინსტანციებში, გავწიოთ ეს მუშაობა სხვა სამართალდაცვითს ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.


აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ თანამდებობის და სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლენების წინააღმდეგ, რომლებსაც მოჰყვება მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა, ბინებიდან მოქალაქეთა გასახლების შესახებ არასწორი სარჩელების შეტანა.

საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებისადმი მკაცრი და ქმედითი კონტროლის დაწესების მიზნით 1986 წელს უმაღლესი სასამართლოს მუშაობაში დაინერგოს მოქალაქეთა სასამართლო საქმეებისა და საჩივრების გავლის, მათი ხელმოწერა შემოსვლის მიზეზების კონტროლის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი, საჭირო ინფორმაციის ოპერატიული მიღების სისტემები.

უნდა დავამთავროთ სასამართლო პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ შემუშავებული სისტემის დანერგვა, რომელიც ზრდის სასამართლო საქმეების განხილვის ოპერატიულობას და აუმჯობესებს მის ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს განახორციელონ ადგილობრივი სასამართლოების კომუნისტთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი, მკაცრი პარტიული შეფასება მისცენ საქმის გაჭიანურების, მშრომელთა საჩივრების, უხარისხო განხილვის თითოეულ ფაქტს.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს წინადადება მიეცა გააძლიეროს ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთ-მოქმედება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა ყოველმხრივ შესრულების უზრუნველყოფისათვის. მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, მათი საჩივრების ოპერატიული და ხარისხიანი განხილვისათვის მუშაობა მიიჩნიოს რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ამ მიზნით რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა შესაძლებლობანი, სისტემატურად მოაწყოს ამ საკითხებზე პრესკონფერენციები, შრომითს კოლექტივებთან, მოსახლეობის და მშრომელების ცალკეულ სოციალურ ჯგუფებთან შეხვედრები.



ყველაფერი დისციპლინითა და ნუსრიბით იწყება

პავლე გილაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მართლაც, პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი და წარმოუდგენელია დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის გარეშე.

დღეისათვის ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტიურად გვესახება. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპები, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდა და კულტურის დონის ამაღლება ორგანულად არის დაკავშირებული დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საკითხებთან. „შეგნებული დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა შრომითი კოლექტივების მუშაობაში, კოლექტივების წევრთა ინიციატივა და აქტიურობა, მასობრივი ტექნიკური შემოქმედება, — ნათქვამია კანონში „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“, — წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა“.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ღრმად გვარწმუნებს, რომ რაც უფრო რთული და მასშტაბურია საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანები, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ გადაწყვეტაში დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

ცხოვრება დაბეჯითებით გვიკარნახებს ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურებას, სოციალისტური წყობილების მთელი შინაგანი ძალების ამოქმედებას დასახული გეგმების განსახორციელებლად. მეთორმეტე ხუთწლიდის დაწესებულებათა წარმატებით შესრულებისათვის უპირველესად საჭიროა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და მტკიცე, ჭეშმარიტად კომუნისტური დისციპლინა.

ყოველივე ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით შრომობენ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მისი საერთო წინსვლის პროგრამის განხორციელებისათვის.

ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად დაგვიკრძობს შემდგომში, როდესაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები დაირაზმებთან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დავალებათა შესასრულებლად.

ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულების საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამართალ-დაცვითმა ორგანოებმა. კანონიერების განუხრელი დაცვა, მართლმსაჯულების განმტკიცება, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფა ჩვენი საზოგადოების, თითოეული საბჭოთა ადამიანის ნორმალური ცხოვრება-საქმიანობის აუცილებელი და მნიშვნელოვანი პირობაა.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო სოციალისტური კანონიერების დაცვის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს და ხაზგასმით ითქვა, რომ ამ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა განუზომლად იზრდება. ყრილობის გადაწყვეტილებები ავალდებულებენ სამართალდამცავ ორგანოებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ კადრების შერჩევას, მათ იდეურ აღზრდასა და პროფესიულ მომზადებას.

სამწუხაროდ, ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი არა თუ თავს ვერ აბამს დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეს, ზოგჯერ თვითონაც ხდება მექრთამეთა, დამტაცებელთა და სპეკულანტთა ხელშემწყობი და მფარველი. ჯერ კიდევ გვხვდება ამ ორგანოთა ზოგიერთი თანამშრომლის მიერ კანონებისა და დისციპლინის დარღვევის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები.

ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული სახალხო-სამეურნეო ამოცანები უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ იურიდიულ სამსახურებს, რომელთა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მათი საქმიანობის გააქტიურება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას. უნდა მივალწიოთ იმას, რომ ყველა წარმოება-დაწესებულებაში და გაერთიანებაში შევქმნათ სამართლებრივი სამსახურები, გავაუმჯობესოთ მათდამი ხელმძღვანელობა.

ყრილობის მიერ მიღებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გაორკეცებას, ეკონომიკის ეფექტიანობისა და უკუგების ზრდას, კარგი ხარისხის და რაც შეიძლება ფართო ასორტიმენტის საქონლით ბაზრის უხვად მომარაგებას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მატერიალურ ღირებულებათა შექმნაზე ზრუნვა საკმარისი როდია. აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მოვლა-პატრონობას და გონივრულად გამოყენებას. საზოგადოებრივი დოვლათის ზრდა და მისი საიმედოდ დაცვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საფუძველია. ამიტომ სახალხო დოვლათს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და მიზანშეწონილად და მეურნეობრივად ვხარჯოთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იშვიათად როდი ვხვდებით სოციალისტური საკუთრებისადმი უდიერი დამოკიდებულებისა და მისი დატაცების ფაქტებს, რის შედეგადაც სახელმწიფო საგრძნობ მატერიალურ დანაკარგებს განიცდის. პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასამართლოს, არბიტრაჟის ორგანოებისა და სხვა იურიდიულ და-

წესებულებათა ვალია სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და მთელ საზოგადოებასთან ურთიერთკავშირში გააძლიერონ ბრძოლა უყიარათობისა და უთანადოების, სახალხო ქონების ხელყოფის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ. ამასთან არ უნდა შეანელონ ბრძოლა ლოთობის, მუქთანხრობის, ხულიგნობისა და სხვა დანაშაულობების წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ წარმოების მოცულობის და სამეურნეობათაშორისო კავშირების ზრდის პირობებში თავს იჩენს მიწერებისა და წამატებების საშიშროება, სახელმწიფოს მოტყუების, თვალისახვევისა და სინამდვილეში არსებული მდგომარეობის შელამაზების ფაქტები. ყველაფერი ეს კი ძირს უთხრის მეურნეობის გეგმაზომიერი გაძლიერების საფუძვლებს, ხელს უშლის მთელი სამეურნეო მექანიზმის ნორმალურ მუშაობას.

ასეთ დანაშაულთა შედეგად გამოწვეული დიდი საშიშროების მიუხედავად მართლმსაჯულების ზოგიერთი ორგანო მას სათანადო შეფასებას ვერ აძლევს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ხშირად უხარისხო, წუნდებული პროდუქციის გამოშვება რატომღაც არ მიაჩნიათ დიდ დანაშაულად და იშვიათად აკისრებენ დამნაშავე პირებს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. მაგრამ ამ საქმეში მთელ პასუხისმგებლობას მხოლოდ სამართალდაცვით ორგანოებს ვერ დავაკისრებთ.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ და იღვწოდნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები, სახელმწიფო აპარატის დაწესებულებები, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და თანამდებობის პირი.

პარტიას კანონიერება მიაჩნია როგორც ეკონომიკის მართვის, დაგეგმვის სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ეკონომიკური ბერკეტების და სტიმულირების როლის გაძლიერების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პრინციპი და მეთოდი.

კანონიერება მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებას, მისი მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწას.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობისადმი; მთავარი ყურადღება მიაპყრონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საყოველთაო გაძლიერების ამოცანას; საქვეუწყებო ტერიტორიებზე ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის ამაღლონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დონე, უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა უკანონო შემოსავლით მცხოვრებ პირთა გამოსავლენად, სრულყოთ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა, რათა საბოლოოდ აღკვეთონ არაჯანსაღი გამოვლინებების გავრცელება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

ყრილობამ სამართალდაცვითი ორგანოების ყურადღება მიაპყრო ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განუხრელი განხორციელების, ყველგან ფხიზელი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების, ამ საქმეში მთელი საზოგადოებრიობის გააქტიურების აუცილებლობას.

სამართალდაცვითი ორგანოებისადმი მომთხოვნელობის გაზრდასთან ერთად პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან მუდმივ მზრუნველობას იჩენდნენ მათ მიმართ. ამიტომ ყრილობამ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა სამართალდაცვითი ორგანოების კოლექტივებში კლიმატის გაჯანსაღების, არაკეთილსინდისიერი, სახელგატეხილი თანამშრომლებისაგან მათი გაწმენდის, შემოწმებული კადრებით — კომუნისტებით, კომკავშირელებით, წარმოების მოწინავეებით მათი განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელება.

დანაშაულთან ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს სამართალდაცვითი ორგანოების უპირველესი ამოცანა იყო ყოველთვის, მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ეს აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ სახელმწიფო ვერ გამოიჩენს შემწყყარებლობას მათ მიმართ, ვისი მიზეზითაც ჩვენი საზოგადოება, ხალხი, ადამიანები განიცდიან მატერიალურ ზარალს, ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, არამედ აგრეთვე იმით, რომ ყოველგვარი დანაშაულებრივი გამოვლინებებისადმი საბჭოთა ადამიანები სულ უფრო შეურიგებლები ხდებიან. სოციალისტური კანონიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედია მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა სამართალშეგნების ამაღლება, მათ მიერ უფლება-მოვალეობათა ჭეოროვანი განხორციელება, პირადი პასუხისმგებლობის განმტკიცება.

ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას. გულახდილად უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის დღევანდელი მდგომარეობა ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, სათანადოდ ვერ უწყობს ხელს სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, დისციპლინის განმტკიცებას, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების თანმიმდევრულად აღმოფხვრას. მიუხედავად სამართლებრივი პროპაგანდის ქსელის გაფართოებისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სუსტად ერკვევა ბევრ ისეთ საკანონმდებლო საკითხში, რომელთა ცოდნა აუცილებელია სადღეისო მოთხოვნებითა და სამსახურებრივი მდგომარეობით.

მოსახლეობის ფართო ფენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სამართლებრივი ცოდნა განსაკუთრებით აუცილებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც უშუალოდ იყენებენ კანონებს. მხედველობაში გვყავს სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო მსაჯულები, დეპუტატები, სახალხო კონტროლის მუშაკები და სხვ.

ასევე საგანგამო და საყურადღებოა ისიც, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების აპარატებში გაუმართლებლად ცოტა მუშაობს იურიდიული განათლების მქონე პირი. ეს გარემოება უნდა აიხსნას არა მხოლოდ შესაფერი იურიდიული კადრების ნაკლებობით, არამედ უფრო უკონტროლობისა და აუცილებლობის შეგნების უქონლობით.

ამის თაობაზე ამჟამად მზადდება უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

კანონების ცოდნა, რა თქმა უნდა, საჭირო და აუცილებელია, მაგრამ მთავარი მაინც მისადმი პატივისცემა და მისი განუხრელად დაცვაა. ეს მოქალაქეთა საყოველთაო მოვალეობაა. მაგრამ იმის უზრუნველყოფა, რომ კანონიერება ყველგან და ყველაფერში დავამკვიდროთ — ეს თანამდებობის პირთა, საბჭოე-

ბის მუშაკთა და სამართალდაცვითი ორგანოების თანამშრომელთა უპირველესი მოვალეობაა. სამწუხაროდ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ მოვალეობებს ჯეროვნად ვერ ასრულებენ, არ იჩენენ სათანადოდ სიმკაცრეს იმ პირობაში, რომლებიც უგულვებელყოფენ კანონებს, ანგარიშს არ უწევენ კანონებით დადგენილ სოციალური სამართლიანობის ნორმების დაცვას.

ერთი სატყვივარი გვჭირს, რაზედაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, რათა საბოლოოდ გავთავისუფლდეთ მცდარი აზრის ტყვეობიდან. საკითხი ეხება კანონების რაოდენობასა და სიმკაცრეს.

ბევრი დანაშაულობათა აღკვეთის უებარ წამლად კანონების გამკაცრებას მიიჩნევს და ყოველთვის, როცა კი ამა თუ იმ დანაშაულის სახობა იჩენს თავს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა დგება, დღის წესრიგში, როგორც წესი, აყენებს კანონით გათვალისწინებული სანქციების გაზრდის ან კიდევ ახალი კანონის მიღების საკითხს.

ზოგჯერ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კანონის გამკაცრების მომხრენი ოცნებობენ ისეთი კანონის შემოღებას და ისეთი სანქციების დაშვებას, რომ თვითონ მხარეთქობზე წამოწვენენ, ხოლო კანონები თავისით, ავტომატურად მოქმედებდნენ და სრულდებოდნენ. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ფუჭი და უნაყოფოა.

რა თქმა უნდა, კანონები დროთა განმავლობაში, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს — იხვეწებიან, უფრო სრულყოფილი ხდებიან, მკაცრდებიან კიდევ, მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია, როგორც ლენინი გვასწავლიდა, დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი და სრული გამოყენებით ყოველი დამნაშავეს სამართლიანი და გარდუვალი დასჯა. გონიერება მოითხოვს, რომ ვიდრე კანონის გამკაცრების საკითხს დავაყენებთ, უნდა დაგვაინტერესოს თუ რამდენად სრულად და ეფექტიანად გამოიყენება უკვე არსებული სანქციები ანუ ღრმად შევისწავლოთ სასამართლო პრაქტიკა.

ვფიქრობთ, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა გავგათავისუფლებდა მკაცრი კანონების ყოვლისშემძლე ილუზიებიდან და დაგვაყენებდა სასურველი შედეგების მიღწევის სწორ გზაზე. გვჯერა, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებულ კანონებს სრულად, თანმიმდევრულად, კვალიფიციურად, ზედმიწევნით, პატიოსნად და სამართლიანად რომ ვიყენებდეთ, კანონთა რაოდენობისა და სიმკაცრის საკითხი დღის წესრიგიდან მოისხნებოდა.

როგორი უნდა იყოს კანონი — მკაცრი თუ სამართლიანი? ამ კითხვას საკამათოდ არ გავხდის, შეიძლება საკითხის ასე დაყენებაც არ იყოს სწორი. მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ კანონი, პირველ რიგში, სამართლიანი უნდა იყოს, რადგან ყველაზე მეტ სასურველ შედეგს მხოლოდ სამართლიანი კანონი მოგვცემს.

სოციალისტური კანონიერების ქვაკუთხედია სამართლიანი კანონები და დამნაშავეთა დასჯის გარდუვალობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დასჯა ყოველთვის და ფართოდ თავისუფლების აღკვეთაში გამოიხატებოდეს. ვფიქრობთ, რომ მთავარია საზოგადოება გრძნობდეს თავის „დანაშაულს“ დამნაშავეობათა შესაძლებლობაში და გარკვეულ პასუხისმგებლობას კისრულობდეს დამნაშავეთა აღზრდა-გამოსწორებისათვის.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა პირობით მსჯავრისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის უფრო ფართოდ გამოყენებას, თავისუფლების აღკვეთის შეცვლას შრომა-გასწორების სამუშაოებით, საპყრობილეების შეცვლას აღმზრდელი დაწესებულებებით და ამხანაგური სასამართლოების შემოღებას გარკვეული კატეგორიის საქმეების განსახილველად.

ვინ უფრო მეტი ინიციატივა, გნებავთ გამბედაობა უნდა გამოიჩინოს — მართლმსაჯულებამ თუ საზოგადოებამ — ამ ლენინური აზრების ფართოდ განსახორციელებლად. ძნელია ამის განსაზღვრა. ალბათ, ერთიც და მეორეც ერთნაირ დაინტერესებას უნდა იჩენდნენ ამ საქმისადმი.

ვ. ი. ლენინის ეს მოსაზრება როდის ნიშნავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შენელებას და დამნაშავეთა მიმართ ლმობიერების გამოჩენას. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის თავზე.

ერთ საჩოთირო საკითხსაც უნდა შევეხოთ. მართალია, ასეთი ფაქტები იშვიათია, მაგრამ ერთეული შემთხვევებიც კი მეტად მტკივნეულ რეაქციას იწვევს და საკმაოდ საგრძნობ ზიანს აყენებს სამართლიანობისადმი რწმენას.

საქმე ეხება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხისადმი დიდი სიფრთხილით მიდგომას, რათა აბსოლიტურად გამოირიცხოს უდანაშაულო პირთა სამართალში მიცემა და დასჯა. ამ გარემოებაზე განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე ადამიანის პასუხისგებაში მიცემის შედეგად „მუნდირის დაცვის“ სურვილით შეპყრობილი და ბოდიშის მოხდის უნარდაკარგული მართლმსაჯულების ზოგიერთი მუშაკი, რადაც უნდა დაუჯდეს, ცდილობს რაიმეში მაინც დაადანაშაულოს პასუხისგებაში მიცემული და ხშირად პოულობს კიდევ ასეთ „რამეს“, რაც იძლევა საფუძველს სულ მცირე სასჯელის გამოტანისთვის მაინც, ანდა, პატიმრობიდან ათავისუფლებენ „დანაშაულის დაუსაბუთებლობის გამო“ და არა „დანაშაულის არ არსებობის გამო“, რაც, რა თქმა უნდა, სულ სხვა აზრს შეიცავს.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სამართალდაცვით ორგანოებს. ისინი მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების, მათი ქონების დაცვა. ამ საქმეში მართლწესრიგის დამცველი ორგანოები პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სრული მხარდაჭერით სარგებლობენ.

ესოდენ დიდი მისიისა და ნდობის გასამართლებლად სამართალდაცვითი ორგანოების თითოეული მუშაკი უნდა გამოირჩეოდეს მაღალი პოლიტიკური, ზნეობრივი და მორალური თვისებებით. მათ დღენიადაგ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ყველგან და ყველაფერში იძლეოდნენ პატიოსნების, სამართლიანობის, საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითებს.

ვენდოთ, მაგრამ გავაკონტროლოთ

ნუზუარ საჯანი,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

სახალხო კონტროლის ორგანოები, რომელთა მუშაობასაც ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სათანადო შეფასება მიეცა, ნიადაგ გრძნობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყურადღებას. ამის დასტურია ისიც, რომ სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყველა თავმჯდომარე არჩეულია შესაბამისი პარტიული კომიტეტების ბიუროს წევრად. ავტორიტეტი, რომელიც ჩვენი სისტემის მუშაებს აქვთ, ძირითადად სწორი საკადრო პოლიტიკის შედეგია, პოლიტიკისა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი, პარტიული ორგანოები წარმართავენ.

კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა, მათი საქმიანობისადმი კონტროლი ყოველთვის იყო ჩვენი უმთავრესი საზრუნავი. როდესაც თვით მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკთა საქმიანობისადმი კონტროლზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სულაც არ ვგულისხმობთ კიდევ ერთი ზედამხედველი ორგანოს შექმნას. ჩვენ საბოლოოდ უნდა აღმოვფხვრათ ნეგატიური მოვლენები მაკონტროლებელ ორგანოებში, რათა გვექონდეს სხვისი შემოწმების მორალური უფლება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან უპატიოსნო ადამიანები, მაგრამ ისინი გაცილებით უფრო მეტნი იქნებიან, თუ თვით საკონტროლო ორგანოებში იქნებიან მექრთამეები. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ საუწყებო კონტროლის მუშაები. არის პრობლემები სახალხო კონტროლის ორგანოებშიც, ადმინისტრაციულ ორგანოებშიც. ამას თვითკრიტიკულად ვამბობ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების ყოფილი მუშაკი, რადგან ამ მხრივ გაწეული მუშაობის შედეგით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მეტია ჩემში.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, იმისათვის, რომ საფუძვლიანად შეისწავლონ და გადაწყვიტონ ყრილობის მიერ დასახული საკვანძო დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანები. შევეცდებით უფრო აქტიური როლი შევასრულოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვაში, წამატებების, დატაცების, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

და მაინც, მრავალი პრობლემიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ისეთი პრობლემა, როგორც არის წამატებები და თვალისახვევა. მარტო უკანასკნელი თვეების მანძილზე გამოვლინდა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები ცეკავშირის სისტემაში, მაგრამ ცეკავშირის ხელმძღვანელობისა და მისი თავმჯდომარის ამხ. შავიშვილის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი მხოლოდ ნაგვიანევი რეაქცია გამოდგა. ეს ბოროტმოქმედებანი შეიძლებოდა აღეკვეთათ და უნდა აღეკვეთათ ჩანასახშივე. პრინციპული ჩარევა იყო აუცილებელი მაშინ, როდესაც საქმოსანთა ოპერაციები მუშავდებოდა თავმჯდომარის

მოადგილის პ. მარდანოვისა და გაერთიანების თავმჯდომარის ვ. ფირანიშვილის კაბინეტებში, როდესაც აქ ვიზას აძლევენ არასწორ დებულებებსა და განკარგულებებს, რომელთა საფუძველზე იწერებოდა ასობით ტონა თითქოსდა დამზადებული ხილის ქვითრები. ასეთივე გზებით ხორციელდებოდა მთელ რიგ რაიონებში ეგრეთ წოდებული ოპერაცია „ასკილი“, რის შედეგადაც საქმოსნებმა მილიონობით მანეთი ჩაიჯიბეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ადგილებზე არ გააჩნდათ ინფორმაცია ნეგატიური პროცესების შესახებ. იცოდნენ და უფრო მეტიც, იცოდნენ ის ამბავიც, რომ ყოველივე ეს შესაბამისი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზოგიერთი, ახლა უკვე ყოფილი ხელმძღვანელის მონაწილეობით კეთდებოდა. არც ერთი წამატება არ ხდება ხელმძღვანელისაგან უჩუმრად. დაადგე ამ დროს გარეშე მეთვალყურის პოზიციას, კრინტი არ დაძრა — ნიშნავს არა მარტო გამოიჩინო უპრინციპობა, არამედ აგრეთვე უღალატო საქმეს, რომელიც შენ მოგანდეს, ვინაიდან თუნდაც ერთი კაცის ალალმართალი პრინციპული სიტყვა ათობით ოჯახს ააშორებდა თავიდან ტრაგედიას. მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკთა მხრივ ნეგატიურ მოვლენებში ჩაუტრეკლობის პოზიცია თანამონაწილეობის ტოლფასია. ჩვენ შევეცდებით მომავალში კონტროლის მკაცრ მოთხოვნებს შევუთავსოთ პროფილაქტიკური მუშაობა, ისიც გვესმის, რომ კონტროლი კი არ გამოირიცხავს, არამედ პირიქით, ეყრდნობა ნდობას, ვინაიდან კონტროლი და ნდობა მუდმივი დიალექტიკური წყვილია.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებშიც კი გაჩნდა ქუჩები, უბნები, სადაც ყველა ყიდის და ყიდულობს, ვაჭრობს და სპეკულანტობს. საგანგაშოა, რომ ეს მოსახლეობის მხრივ არავითარ პროტესტს არ იწვევს. ჩემი აზრით ფული, საქმოსნობა, მოუთოკავი სწრაფვა ზომადაკარგული მატერიალური უზრუნველყოფისადმი ჭიად შეუჩნდა ბევრი ადამიანის ყოფას.

ჩვენ, როგორც ერის, გადარჩენის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, ვფიქრობ, ისიც იყო, რომ მიუხედავად იმდენი ძალადობისა, განუკითხველობისა და ღალატისა, რაც ბედმა თუ უბედობამ გვარგუნა, თავისი მიწა-წყლიდან არავინ გაქცეულა. დღეს კი ფულისათვის, საშოვრისათვის ისე იოლად ტოვებენ ოჯახს, რომ ბევრი არც კი ბრუნდება უკან. განა ფულის შოვნის საშუალებად არ გადაიქცევა ხოლმე ზშირად ქართული სუფრა. იყო მცდელობა გამოგვესწორებინა, მაგრამ არ გვეყო ნებისყოფა ბოლომდე მიგვეყვანა დაწყებული საქმე. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართული სუფრა გარკვეული ნაწილისათვის ინტელექტუალური ზრდის, განვითარების მუხრუჭად იქცა და, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფმა ექსპრესმა ისე ჩაგვიქროლოს, ვერც კი გავიგოთ.

ჩვენ ყველანი, ვინც ამ დარბაზში ვიმყოფებით, უშუალო მონაწილენი ვართ იმ დიდი მუშაობისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რომ გასწია უკანასკნელი 15 წლის მანძილზე. რატომ ვერ მივიღეთ უკეთესი შედეგი? იქნებ იმიტომაც, რომ ბევრი, ვისაც ნდობა გამოვუცხადეთ, მოღალატე და ნაძირალა აღმოჩნდა. ხაბეიშვილის, ბადურაშვილისა და სხვა მექრთამეთა გვარები კიდევ დიდხანს გავგყვება შავლაქად. მაგრამ, რაც მთავარია, სწორედ ასეთი ფაქტების მხილებაშია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ძალა, და მიღებული გადაწყვეტილებებიც სავსებით სწორი და კანონიერი.



დაწყებულ საქმეს გოლოგლა მივიყვანო

ვახტანგ რაზმაძე,

საქართველოს სსრ პროკურორი

18273

ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია რესპუბლიკის სამართალ-
დამცავი ორგანოების საქმიანობის ღრმა ანალიზი, დასახულია ახალი, გაზრდი-
ლი ამოცანები, ნაჩვენებია მათი განხორციელების კონკრეტული გზები. საან-
გარიშო პერიოდში მართლაც დიდი მუშაობაა ჩატარებული, სახელმწიფო და
საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საგრძნობლად განმტკიცდა სო-
ციალისტური კანონიერება, ამაღლდა ხალხის სამართლებრივი კულტურა და
მართლშეგნება, მკაცრი შეფასება მიეცა უკანონობის, თვითნებობის, ხელისუ-
ფლების ბოროტად გამოყენების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინ-
ტერესების შელახვის, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში ფორმა-
ლიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს, დაიხვეწა სამართალდარღვევათა წი-
ნააღმდეგ ბრძოლის სისტემა და ფორმები, კვალიფიციური და ეფექტიანი
გახდა პროფილაქტიკური საქმიანობა. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული
დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გასულ ხუთწლეულში ანაზღაურებულია
სახელმწიფოსათვის მიყენებული 42 მილიონი მანეთის ზარალი, შემცირდა
არასრულწლოვანთა დანაშაული, აღიკვეთა მრავალი შეიარაღებული ბანდის
თარეში, თითქმის მთლიანად მოისპო ისეთი საშიში დანაშაული, როგორცაა
ბავშვების გატაცება, შანტაჟი და ადამიანთა დაშინება ქონებრივი გამორჩენისა
და გამოძალვის მიზნით.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანო-
ების საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები, ისინი ჯერ კიდევ სრუ-
ლად ვერ პასუხობენ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ დრ-
ნესა და მოთხოვნებს. რესპუბლიკის ეკონომიკას ჯერ კიდევ დიდ ზარალს აყე-
ნებს უყაირათობა, მიწერები, წამატებები, უხარისხო პროდუქციის გამოშვე-
ბა, შრომისა და სამეურნეო დისციპლინის დარღვევები. სამწუხაროა, რომ ამ
ზარალის ჩამოწერა ხშირად სახელმწიფოს ხარჯზე ხდება, ხოლო კონკრეტული
დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან, საანგარიშო პერიოდში გაფუჭების, დატა-
ცების, ცალკეულ სამეურნეო ხელმძღვანელთა დაუდევრობის შედეგად მიყე-
ნებული ზარალის მხოლოდ ხუთი პროცენტი გადახდა დამნაშავე პირებს.

მექრთამეობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების,
სპეკულაციის და სხვა ანგარებითი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
ჩვენი მონაცემები და სტატისტიკა ყოველთვის როდი ასახავს საქმის ფაქტობ-
რივ მდგომარეობას. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მექრთამეობის არცერთი ფაქ-
ტი არ გამოვლინებულა წითელწყაროს, წალენჯიხის, მცხეთის, წალკის და
ახალციხის რაიონებში, სოციალისტური საკუთრების დატაცების, მყიდველთა
ზომა-წონაში მოტყუებისა და სპეკულაციისათვის მხოლოდ თითოთორთა კა-
ცია დასჯილი წალკის, ადიგენის, ჩოხატაურის და ჩხოროწყუს რაიონებში.

დანაშაულის გამოვლინება, დამნაშავეთა მხილება და სამართლიანი დასჯა
ადმინისტრაციული ორგანოების პირდაპირი მოვალეობაა. დასამალი არ არის,

საქ. სსრ კ. შარქისი
საქ. სსრ კ. შარქისი

რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვერ ერკვევა შექმნილ ვითარებაში, ისინი ღრმად ვერ აანალიზებენ სამართალდარღვევათა მდგომარეობას, ვერ ქმნიან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ფრონტს, ვერ ამყარებენ ქმედით ურთიერთობას საზოგადოებასთან, სათანადოდ ვერ იყენებენ ჩვენი წყობისა და ყოფის მდიდარ შესაძლებლობებს. ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთ მუშაკს დროულად რომ გამოეჩინა პრინციპულობა, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და არ მოქცეულიყო კუთხურობის გავლენის ქვეშ, დროულად ემხილებინა ყურძნის, ჩაის, გარეული ხილის დამზადებაში ახლა უკვე ყველასთვის ცნობილი ფაქტები, თავიდან ავიცილებდით ნეგატიურ მოვლენებს მახარაძის, სიღნაღის, ახმეტის, თიანეთის, წალკის და სხვა რაიონებში.

ყრილობას უნდა მოვახსენოთ, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობას ღრმად აქვს შეგნებული მათ მიერ დაშვებული ის სერიოზული შეცდომები, რომლებმაც მთელ რიგ რეგიონებსა და დარგებში წანამძღვრები შეუქმნეს დამნაშავე ელემენტების გამოცოცხლებასა და გააქტიურებას. ჩვენი ახლანდელი ამოცანაა უმოკლეს ვადაში გამოვასწოროთ შეცდომები, უზრუნველყოთ კანონების უმკაცრესი დაცვა მუდამ და ყოველგვარ სიტუაციაში. ამ საბრძოლო განწყობილებასა და სულისკვეთებას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა, ზრუნვა და ყურადღება.

უპირველეს საზრუნავად მიგვაჩნია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, იმ ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც მიმართულია დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ. ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო და კვლავაც იქნება დანაშაულის გამომწვევი ისეთი აშკარა და გავრცელებული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორცაა ლოთობა, მუქთახრობა, საყოფაცხოვრებო დავები და კონფლიქტები.

რესპუბლიკის მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ მიღებულ დადგენილებებს. ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. უფრო კონკრეტული და მიზნობრივი უნდა გახდეს მუქთახრობისა და საყოფაცხოვრებო დავების, აგრეთვე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. საჭიროა კარგად დაწყებული ტემპი არ შენეღდეს.

მეტ ყურადღებას საჭიროებს ქალთა დანაშაულის საკითხი. ვფიქრობთ, ქალთა შრომის გამოყენებას უფრო გონივრული მიდგომა სჭირდება. მათი შრომა უმეტესად იქ უნდა გამოვიყენოთ, სადაც სამუშაოსთან ერთად, საშუალება ექნებათ მზრუნველობა არ მოაკლონ საკუთარ ოჯახს. არ უნდა დაგვაიწვიყდეს, რომ ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედაა და მისი მთავარი სოციალური მოვალეობაა შვილების აღზრდა, ოჯახის პატრონობა.

დანაშაულის ყველაზე დიდი პოფილაქტიკაა სასჯელის გარდუვალობა, ყველა დანაშაულის დროული გახსნა, დამნაშავის მხილება და სამართლიანი დასჯა. ჩადენილი დანაშაულისათვის ყველამ უნდა აგოს პასუხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით რომ

ვთქვათ: — „ჩვენი დისციპლინა ერთი უნდა იყოს ყველასათვის, კანონი ერთი ყველასათვის, მოთხოვნები ყველასათვის ერთნაირი!“

სწორედ ამ პრინციპს ემსახურება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი კურსი. ამ პრინციპის ცხოვრებაში დამკვიდრების შედეგია მაღალი პასუხისმგებელი პირების მოუტირებელი მხილება. მექრთამეობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულისათვის პასუხისგებაში არიან მიცემულნი ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ხაბეიშვილი, პარტიის მახარაძის და სიღნაღის რაიკომების ყოფილი პირველი მდივნები თენგიშვილი და ბუჩუკური, რესპუბლიკის კულტურის ყოფილი მინისტრი ბადურაშვილი, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობის წყალობით მათ არაერთ თანამდებობის პირზე მოახდინეს გამხრწნელი გავლენა, ისინი მხარდაჭერით და მფარველობით სარგებლობდნენ და ამით გათამამებულები სხვადასხვა დანაშაულობებს ჩადიოდნენ. ამას ხედავდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის ეყო გამბედაობა დროზე აღეკვეთა მათი უმსგავსოება.

ძნელია ყოველივე ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ უკან დაიხვევთ, რაიმე შემწყყნარებლობას გამოვიჩინოთ საშიშ დამნაშავეთა მიმართ, რამდენიც და ვინც არ უნდა იყვნენ ისინი.

რა თქმა უნდა, ყველას ებადება კითხვა — როგორ და რანაირად მოხდა ეს, სად არის დაშვებული შეცდომა და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს? არც თუ ისე ადვილია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ პასუხის გაუცემლობაც არ შეიძლება. სრულიად სამართლიანად მიმაჩნია აზრი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე გამოთქვა პატივცემულმა ირაკლი აბაშიძემ: ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ გულახდილი, პირუთენელი კრიტიკა და გულწრფელი თვითკრიტიკა, ჯეროვნად ვერ ვიყენებთ მათ ობიექტურ და სუბიექტურ ნაკლოვანებათა მხილების დროს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყვანან ისეთი უსაქმურები, რომლებსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობები უჭირავთ, დიდ ხელფასს იღებენ, პატიოსანი კაცის ქურქში არიან გახვეულნი, მაგრამ არაფერს აკეთებენ საზოგადოებისათვის. პირიქით, ასეთი ადამიანები ჩასაფრებულნი არიან და უკვე მომხდარ ფაქტსა და მოვლენას ღვარძლიან კომენტარებს უკეთებენ, მიაჩნიათ, რომ თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა სახელს უტეხს რესპუბლიკას, არყევს ადამიანებში ზნეობრივი იდეალების რწმენას, ხელს უშლის ახალგაზრდობის აღზრდას, მაგრამ ზნეობრივი საფუძვლები კიდევ უფრო მეტად შეირყეოდა, რომ არ გამოგვეაშკარავებინა ადამიანები, რომლებმაც ნდობა არ გაუშართლეს პარტიასა და ხალხს. მრავალ უბედურებას ავიცილებთ თავიდან, თუ დავძლევთ პროტექციონიზმს, მამებლობას, დავიოკებთ უმნიშვნელო წარმატებებით გამოწვეულ აღფრთოვანებას, კადრებს შევარჩევთ არა პირადი ერთგულებისა და უსიტყვო მორჩილების ნიშნით, არამედ საქმიანი და პოლიტიკური თვისებებით.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში ბევრი ნაკლი და პრობლემაა. უპირველესი ამოცანაა ვიბრძოლოთ სამართალდაცვითი ორგანოების სიწმინდისათვის, მათი რიგებიდან მოვაშოროთ არაკომპეტენტური, უღირსი მუშაკები. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მას ბოლომდე მივიყვანო.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი სწოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებისათვის

გრიგოლ როინიშვილი,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, რომელსაც ამჟამად განვიხილავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მოცემულია ღრმა თეორიული განხილვები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი.

ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტში გაანალიზებულია პარტიის მესამე პროგრამის მიღების შემდეგ საბჭოთა კავშირში მომხდარი ეკონომიკური და სოციალური ძვრები, პარტიის მომავალი ორგანიზატორული, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური საქმიანობა, ასევე განსაზღვრულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ამსახველი დებულებები; დასახულია ამოცანა, რათა პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მჭიდრო კავშირით მივალწიოთ საბოლოო მიზანს — საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

მეტად ყურადსაღებია პროექტში მოცემული დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის სრულყოფილ განხორციელებას, კანონიერებისა და საერთო ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებას. „პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო და არის, — ვკითხულობთ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუზრელი დაცვა, სახალხო სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება. სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების, პირადი საკუთრების, მოქალაქეთა სახელისა და ღირსების დაცვა, აწარმოონ მტკიცე ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, თავიდან აიცილონ ყოველგვარი სამართალდარღვევები და აღმოფხვრან მათი წარმომშობი მიზეზები“.

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განუზრელად განხორციელების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკველი ორგანოების საქმიანობას. ამ საბატიო მისიას ემსახურება საბჭოთა ადვოკატურაც.

ადვოკატურა საბჭოთა კონსტიტუციის ნორმებით არის განმტკიცებული და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია საბჭოთა იურიდიულ სისტემაში; მის

გარეშე წარმოუდგენელია სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება.

საბჭოთა საქართველოს ადვოკატები იურიდიულ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის მოსახლეობას, წარმოება-დაწესებულებებს, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში; მონაწილეობენ გამოძიებასა და სასამართლოში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად და ამით ხელს უწყობენ მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადვოკატები დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ, ისინი თავიანთ გამოცდილებასა და ტრადიციებს უშურველად უზიარებენ ახალგაზრდა კოლეგებს, მთელ ძალასა და ენერჯიას ახმარენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმათა დარღვევა-გადაცდომების აღკვეთა-აცილების საქმეს. ამასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში; აღმინისტრაციული ორგანოების მუშაებთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ სამართლებრივი ინსტიტუტების შემდგომი სრულყოფისა და დემოკრატიზაციის პროცესში, ნორმატიული აქტების სოციალისტური საზოგადოების განვითარების შესაბამისად დახვეწაში. ამდენად, ადვოკატის მოღვაწეობა მრავალმხრივია და იგი რეგლამენტირებულია კანონით ადვოკატურის შესახებ.

ადვოკატურის საქმიანობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენას, რაც ხელს უწყობს ამ ორგანიზაციებში ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას. იურიდიული მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებითა და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ საკონსულტაციო პუნქტებში ნაყოფიერი და მიზანდასახული მუშაობით ადვოკატებს ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ორგანიზაციებში სამართლებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. უკანასკნელ ხანს პრეზიდიუმმა მრავალი ქმედითი ღონისძიება განახორციელა ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სამეურნეო კანონმდებლობით აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამეურნეო ერთეულებს ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულ მომსახურებას უწევენ ადვოკატთა კოლეგიის წევრები, ამიტომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის ოქტომბერში იმსჯელა ამ საკითხებზე და მიიღო სპეციალური დადგენილება. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სხვა საწარმოებში სამართლებრივი მომსახურების სრულყოფა მიჩნეულია იურიდიული კონსულტაციების, თითოეული ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად; გაიზარდა იურიდიული კონსულტაციების გამგეების პერსონალური პასუხისმგებლობა, მათ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა განიხილონ და გადაწყვიტონ ცალკეულ, კერძოდ, ეკონომიკურად

ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამართლებრივი მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი.

იურიდიული კონსულტაციის თითოეული ადვოკატი მოვალეა საზოგადოებრივ საწყისებზე საკონსულტაციო პუნქტი გახსნას აგროსამრეწველო კომპლექსის არანაკლებ ორ ობიექტზე და კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე — ბრიგადებში, ფერმებში, სახელოსნოებში და სხვ., რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სამუშაო დროის მოცდენას; აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემასა და სოფლის მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის გასაძლიერებლად დასახულია ქმედითი ღონისძიებანი, ხოლო თვით ადვოკატებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური მეთოდური სემინარების ჩატარება და სხვ.

გასული წლის 21 დეკემბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდა რესპუბლიკის ადვოკატთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სახალხო მეურნეობის წარმოებებისა და ორგანიზაციების სამართლებრივი მომსახურების სრულყოფის პრობლემები და ამოცანები“. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 12 ივლისის დადგენილების უთუო შესრულებასა და აგროსამრეწველო კომპლექსის, ორგანიზაციებისა და სოფლის მოსახლეობის იურიდიული მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში ჭეშმარიტად საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ჩამოყალიბებულ დებულებებს. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ამაღლება მოსახლეობის მომსახურე იურიდიული კონსულტაციებისა და სანოტარო კანტორების მუშაობის დონე და ხარისხი. გაიზრდება იურიდიული კონსულტაციებისა და სანოტარო კანტორების ქსელი, განმტკიცდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღიჭურვება ორგტექნიკის სათანადო საშუალებებით. განხორციელდება ღონისძიებანი, რათა უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნას პირობები მოსახლეობისათვის სამართლებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის პრაქტიკის შემდგომი გაფართოების მიზნით“.

ახლა, როცა რესპუბლიკის იურიდიული კონსულტაციების პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ახალი პარტიული დოკუმენტების შესწავლა-განხილვა, თითოეული ადვოკატი გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს ისახავს იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის ამაღლებისა და მათი რიგების სიწმინდისათვის, რადგან მტკიცედ სწამთ, რომ სწორედ ეს არის მოქალაქეთა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, კანონიერების განმტკიცების საქმეში აქტიური და ნაყოფიერი შრომის უცილობელი გარანტია.



სოციალისტური დემოკრატია და სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია

ელდარ ახვლედიანი

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფასა და განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური დებულებებით, კომუნისტური პარტია აღიარებს სოციალისტური დემოკრატიის დიდ უპირატესობას ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით. თუ ბურჟუაზიული დემოკრატია კერძო საკუთრების ბატონობას ემყარება და კაპიტალისტების ინტერესებს იცავს, სოციალისტური დემოკრატიის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საერთო სახალხო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ხოლო მშრომელი მასები უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში.

სოციალისტური დემოკრატიის ხასიათსა და უპირატესობაზე პარტიის პირველ პროგრამაშივე იყო მითითებული. შემდეგ კი, სოციალიზმის მშენებლობის რთულ და ძნელ გზებზე, იგი თანმიმდევრულად წარმართავდა საბჭოთა დემოკრატიის განვითარების პროცესს, ხვეწდა და სრულყოფდა მისი გამოვლინების ფორმებსა და მეთოდებს. ცხოვრებამ დიდი ხანია დაადასტურა, რომ პარტია საბჭოთა დემოკრატიული სისტემის წარმმართველი ძალა და გამოხატულებაა, იგი განუზომლად დიდ როლს ასრულებს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში.

ამის კიდევ ერთი დადასტურებაა სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია, სადაც საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიმართულებებია დასახული.

პროგრამაში ფიქსირებულია ის, რომ სოციალიზმის დროს „დამყარებულია და ვითარდება ნამდვილი დემოკრატია-ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება ხალხისათვის და თვით ხალხის მიერ, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა სულ უფრო ფართო და სრულყოფილი მონაწილეობა საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეთა მართვაში“.*

სოციალიზმის შესაძლებლობათა და უპირატესობათა წარმოჩენა განამტკიცებს ზოგადკომუნისტურ იდეალებს, რაც თავისთავად საზოგადოების კომუნისმისაქენ წინსვლას ნიშნავს. კომუნისტური საზოგადოებისათვის კი დამახასიათებელია საზოგადოებრივი თვითმმართველობის დამკვიდრება და იგი ასეა ჩამოყალიბებული პროგრამაში: „კომუნისში მოასწავებს ხალხის, სოციალისტური თვითმმართველობის სისტემის, სოციალისტური დემოკრატიის გადაქცევას

* ახლაც და შემდეგაც გამოყენებულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 18 ოქტომბრის ნომერში.

საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად — კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად.“

და აქვე განმარტებულია თუ რა პირობებში და როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიზანი: „სუცილებელი სოციალურ ეკონომიკური და იდეოლოგიური წინამძღვრების მომწიფების, მართვა-გამგეობაში ყველა მოქალაქის ჩაბმის კვალობაზე, თუ შესაბამისი საერთაშორისო პირობებიც იქნა, სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ლენინმა განჭვრიტა, სულ უფრო მეტად ხდება „სახელმწიფოსაგან არასახელმწიფოზე გარდამავალი ფორმა.“ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას არაპოლიტიკური ხასიათი მიენიჭება, თანდათან გაქრება მოთხოვნილება სახელმწიფოზე, როგორც განსაკუთრებულ ინსტიტუტზე.“

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია სოციალისტური სახელმწიფოს თანდათანობით ევოლუციაზე კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად. ამას კი სათანადო სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და საერთაშორისო პირობების მომწიფება უნდა. ასევე განვითარდება საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის სხვა რგოლებიც (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები და სხვა).

სამისოდ დასახულია მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება, პროფკავშირების, კომკავშირის, მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების როლის გაძლიერება, წარმომადგენლობითი და პირდაპირი დემოკრატიის ყველა ფორმის ეფექტიანი გამოყენება.

საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია რთული პოლიტიკური ინსტიტუტია. იგი მოიცავს საბჭოების სისტემას და სახელმწიფო აპარატს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სახალხო კონტროლს, თავის გამოხატულებას პოულობს დემოკრატიულ ღონისძიებებში, კანონიერებასა და სამართალში, პიროვნების უფლებებისა და მოქმედების დაცვის დროს, საერთაშორისო სარბიელზე და ა. შ. სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში განსაზღვრულია საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ყველა ამ შემადგენელი რგოლის მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივა.

პროგრამაში უპირველესი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალისტური დემოკრატიის ეკონომიკურ და სოციალისტურ საფუძვლებს, რასაც ქმნის საერთო-სახალხო, საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე. აქ გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცება და გამრავლება, რაც სოციალურად ერთგვაროვან მიმართებაში აყენებს საბჭოთა მშრომელებს წარმოების საშუალებებისადმი.

კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს „იმ გეზს, რომ განავითაროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და სულ უფრო სრულად ჩააბას ისინი წარმოების მართვის პროცესში, გააძლიეროს შრომითი კოლექტივების როლი გეგმების შემუშავებისა და სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებაში, საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში. მომჭირნეობა, სახალხო სახსრების უნარიანი ხარჯვა, ყოველი მანეთის რაციონალური მოხმარება, უყაირათობის ლიკვიდაცია, სხვადასხვაგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანახარჯების აღმოფხვრა საერთო-პარტიუ-

ლი, საერთო-სახალხო საქმე, თითოეული შრომითი კოლექტივის, ყოველი მუშაკის საქმეა“.

აქვე პროგრამა ყურადღებას ამახვილებს შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებაზე. მასში გარკვევითაა ნათქვამი: საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განვითარების ასპექტში „პარტია ისწრაფვის ყოველნაირად შეუწყოს ხელი იმას, რომ თითოეული შრომითი კოლექტივი ხდებოდეს ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის საკითხების გადაწყვეტაში მშრომელთა ყოველდღიური და რეალური მონაწილეობის, პიროვნების შემოქმედებითი ძალების განვითარებისა და გამოყენების ქმედითი სოციალური უჯრედი. მას საჭიროდ მიიჩნია მიზანმიმართულად აძლიერებდეს შრომითი კოლექტივების გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და იმავდროულად ზრდიდეს მათს პასუხისმგებლობას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის“.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დემოკრატიულობა კარგად ჩანს სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლისა და ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის ისეთი რგოლის საქმიანობაში, როგორც სახალხო დებუტატთა საბჭოებია. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა და განმტკიცება, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი და შეუზღუდავია დებუტატობის კანდიდატთა პირადი თუ საქმიანი თვისებების განხილვა, მათი შემადგენლობის განახლება, სახელმწიფო მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობა და საბჭოების დემოკრატიული პრინციპების დაცვა-განვითარება.

ეს პრინციპები დაცული და ასახულია პროგრამის ახალ რედაქციაში, რითაც საბოლოოდ არის აღიარებული სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობა. აქვე სათანადო გამოხატულებას პოულობს აგრეთვე სახელმწიფო აპარატის და მმართველობის სხვა ორგანოების მუშაობის სრულყოფა.

ავიღოთ მაგალითად საბჭოთა სახელმწიფოს აპარატი, რომელიც უშუალოდ ხალხს ემსახურება და ცხადია, ანგარიშვალდებულიც არის მის წინაშე. როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციით მონაპოვარი სახელმწიფო ხალხის ნების გამოხატულებაა, ხოლო მისი აპარატი — ხელისუფლების კავშირი მასებთან. იგი ამავე დროს იმ ორგანოთა ერთობლიობაა, რომლებიც ფაქტობრივად განასახიერებენ სახელმწიფო ძალაუფლებასა და მართვას.

პროგრამის ახალ რედაქციაში მითითებულია, რომ ეს აპარატი „კვალიფიციური და ოპერატიული უნდა იყოს“, მაგრამ საჭიროა მათი გამარტივება და გაიაფება, ზედმეტი შტატების შემცირება, ბიუროკრატიზმის ამოძიკვა, ფორმალისმის, უწყებრიობის და კუთხურობის აღკვეთა, არაკომპეტენტური და უინიციატივო მუშაკების დათხოვნა და ა. შ.

აქვე დიდი ყურადღება ეთმობა მართვის, სახელმწიფო გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების შემდგომ დემოკრატიზაციას, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს მათი ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა და სხვადასხვა

მოსაზრებათა თუ წინადადებათა გამოქვეყნება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ეს კი პირდაპირ და უშუალო კავშირშია დემოკრატიის განვითარებასთან.

იგი გვთავაზობს აგრეთვე იმას, რომ რაც შეიძლება მეტი გადასაწყვეტი საკითხი იყოს განხილული შრომით კოლექტივებში, საბჭოების მუდმივ კომისიებზე, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ მშრომელი მასების შეხედულებებს, ანგარიშს უწევდნენ საზოგადოებრივ აზრს და განუხრელად ასრულებდნენ ამომრჩეველთა განაწესებს.

პროგრამის ახალმა რედაქციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პიროვნების, საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობებს, რაც ჩვენი კონსტიტუციითაა დაკანონებული. „არ არსებობს უფლებები უმოვალეობებოდ და არ არსებობს მოვალეობები უუფლებებოდ“ — ვკითხულობთ სოციალისტური საზოგადოების ამ გარდუვალ პოლიტიკურ პრინციპს და ამავე პრინციპით წარმოდგენთ საბჭოთა ადამიანის მორალურ-პოლიტიკურ სახეს. პარტია კი „კვლავაც მტკიცედ იღვაწებს, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი იზრდებოდეს მისი უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობების ერთიანობის ნათელი შეგნებით.“ სწორედ ასეთი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანის, მისი პიროვნების შემდგომი განვითარების პერსპექტივა სკკპ პროგრამის ახალ რედაქციის მიხედვით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ასე ყოველმხრივ და სრულყოფილად არის წარმოდგენილი საბჭოთა დემოკრატიის პრობლემური საკითხები, დასახულია მათი განხორციელების კონკრეტული გზები და ამოცანები. იგი დაფუძნებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იმ თეორიულ მოძღვრებაზე, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის რაობას, მისი სრულყოფის გზით კომუნისტურ თვითმმართველობაზე თავისთავად გადასვლის კანონზომიერებას შეეხება და მიზნად ისახავს საბჭოეთის სოციალისტური დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებას.



შრომითი კოლექტივი—სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი

ვალერიან ფარაშაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმითა და ოპტიმისტური რწმენით ემზადება სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად, ყრილობისა, რომელიც უდიდეს მამო-განიზედელ როლს შეასრულებს სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე. სკკპ პროგრამის პროექტი, რომლის ახალი რედაქციაც ყრილობაზე დამტკიცდება, კიდევ უფრო გააძლიერებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, აამაღლებს საბჭოთა ადამიანების სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული გეზია საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფა, სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრულად განხორციელება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელების, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების ყოველდღიური აქტიური და შემედიითი მონაწილეობა.

სკკპ სტრატეგიული გეზის განხორციელების შედეგია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციურ პრინციპად იქნა აღიარებული და ფართო ასპარეზი მიეცა შრომითი კოლექტივების, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილის განვითარებას. ეს მოვლენა რეალურადაა გარანტირებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1983 წლის 17 ივნისს მიღებული კანონით: „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. ამ კანონმა სასიცოცხლო ძალა შემატა შრომითი კოლექტივების საქმიანობას და უზრუნველყო მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობა სამეურნეო ცხოვრების მართვაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე აღნიშნა კიდევ: „პარტიას საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად მიაჩნია დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამოცანები აქ მრავალმხრივია. ამ თავალსაზრისით ბევრი რამ კეთდება. მხედველობაში მაქვს საბჭოების როლის შემდგომი ზრდა, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის, შრომითი კოლექტივების გააქტიურება“¹.

შრომითი კოლექტივი სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია. იგი მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნე გლეხთა მჭიდრო ოჯახია, პროფესი-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 12 მარტი.

ული დახელოვნების საკრებულოა, სადაც შეთანხმებული შრომითი საქმიანობის ბაზაზე მყარდება ამხანაგური თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და პატიოტული სულისკვეთება, იქმნება ხალხისა და სახელმწიფოს შემდგომი კეთილდღეობის განმტკიცებისათვის აუცილებელი მაღალხარისხოვანი მატერიალური დოვლათი, სანიმუშოდ ერწყმის ერთმანეთს სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

ჯერ კიდევ 1971 წლის მარტში, სკკპ 24-ე ყრილობაზე ითქვა, რომ „სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი შრომითი კოლექტივების — სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედების როლის გადიდებას. აქ არის საბჭოთა ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის გადიდებისათვის დიდმნიშვნელოვანი ბრძოლის ველი. აქ ყალიბდება მშრომელთა ახალი, სოციალისტური თქისებები, იქმნება მეგობრობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების დამოკიდებულება. თითოეულის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და კოლექტივის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის წინაშე — აი, ჩვენი ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი“².

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანას დაუდგა განვითარებული სოციალიზმის ხანა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური სახელმწიფოს საწარმოო სიმძლავრეებისა და წარმოების საშუალებათა შემდგომ განვითარებას. ასეთ ვითარებაში საჭიროა კიდევ უფრო ამოღდეს სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური საქმიანობა, რათა მივალწიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის უმაღლეს მაჩვენებლებს. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი კოლექტივების ორგანიზატორულ საქმიანობას და კანონით ბინძურებული მათი უფლებების რეალიზაციას. წარმატებით რომ გადაიჭრას ეს ამოცანა, შრომითი კოლექტივები ხელს უნდა უწყობდნენ თავიანთი წევრების მასობრივ-ტექნიკურ შემოქმედებას, გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას, წარმოების ნოვატორთა უფლებების დაცვას და შინაგანი რეზერვების უფრო სრულყოფილად გამოვლენა-გამოყენებას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-8 მუხლში ამომწურავადაა ფიქსირებული შრომითი კოლექტივების პირველხარისხოვანი როლი ქვეყნის მთელი სამეურნეო მექანიზმის მართვაში. აქ საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია შრომითი კოლექტივების მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, საწარმოთა და დაწესებულებათა მართვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, იმ სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

ფართო მასშტაბისაა შრომითი კოლექტივების მათგანზედებული და აღმზრდელობითი როლი. ისინი ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველწინობრივ ახალისებებს და სტიმულს აძლევენ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. შრომითი კოლექტივები თავიანთ წევრებს

ზრდიან კომუნისტური ზნეობის მაღალი სულისკვეთებით, განუხრელად ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

შესანიშნაოდ ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე: „ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომითს კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. მთავარი ის არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ“.

შრომითი კოლექტივები საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილე დემოკრატიული სუბიექტები არიან. მათ უფლება აქვთ საკუთარი ინიციატივით მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტაში. ისინი ახორციელებენ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებს, რომელთა მიზანია სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების, სოციალისტური ცხოვრების წესის ყოველი დონის ძიებით განმტკიცება და განვითარება.

შრომითი კოლექტივები ერთიანი ცოცხალი მოქმედი ორგანიზმია. ისინი ხელს უწყობენ მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას საწარმოო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ასეთი მაღალი უფლებების განხორციელებისათვის მათ ყველა პირობები აქვთ შექმნილი.

კანონის შესაბამისად, შრომითი კოლექტივები მოხდენილად უხამებენ ერთმანეთს სახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესებს, ადმინისტრაციის ერთმმართველობასა და მშრომელთა ფართო მონაწილეობას მასში, უზრუნველყოფენ შრომითი კოლექტივების უფლებათა და მოვალეობათა ერთიანობას, განუხრელად იცავენ შრომის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ კანონიერებას, იცავენ კოლექტივის თითოეული წევრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 15 ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა: „მინდა, ამხანაგებო, მთელი ძალით გაეფსვა ხაზი: თუ ჯოველმხრივ არ გავაფართოვებთ და არ გავაღრმავებთ სოციალისტური დემოკრატია, ანუ, თუ არ შევქმენით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში ყველა მშრომელის, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების ყოველდღიური, აქტიური და ქმედითი მონაწილეობის პირობები, წარმატებით ვერ ვივლით წინ. მასების ინიციატივა, ენერჯია, ცოცხალი მოქმედება, ახალი წყობილების შექმნის ამოცანებისადმი მათი შეგნებული, დაინტერესებული დამოკიდებულება — ი რა მიაჩნდა ლენინს სოციალიზმის ძალისა და სიცხოველის უმნიშვნელოვანეს წყაროდ“.

ამ მითითების შესასრულებლად კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ ფართო შესაძლებლობებს სახაავს და მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში, სოციალურ, საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა, ეს ამოცანები მართლამაზი სიტყვებითა და სურვილებით ვერ გადაწყდება. საჭიროა პრაქტი-

3 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის მასალები, 1984 წლის თებერვალი, გვ. 11.

4 გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 16 ოქტომბერი.

კულად დაჩქარდეს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკა და გახდეს იგი უფრო ეფექტური, ხოლო კოლექტივის თითოეული წევრის შრომა — მაღალნაყოფიერი. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს შრომითი კოლექტივების წინაშე დგას საბჭოთა სამამულო ეკონომიკის მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის ვრცელი პროგრამა.

ძალაშია და ჩვენს ქვეყანაში უკვე მოქმედებს კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა სოციალისტური სამართლებრივი მეცნიერების სისტემაში. კანონმა კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბა შრომითი კოლექტივების უფლებები და მოვალეობები, საკანონმდებლო წესით განმტკიცდა მაღალხარისხოვანი შრომის უზრუნველყოფა, კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელება, საბჭოთა სახელმწიფოს კანონებისა და მთავრობის დადგენილებათა პირნათლად შესრულება, სახელმწიფო გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების განაღდება, შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, მუდმივი ზრუნვა კოლექტივის წევრთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებისათვის.

შრომითი კოლექტივები კოლექტივობის ორგანიზაციებია. ისინი არ წარმოადგენენ საერთო სახელმწიფო ორგანოებიდან და ხელმძღვანელობიდან განცალკევებულ, იზოლირებულ ორგანიზმს. მათ მიმართ სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შესაბამისად.

შრომითი კოლექტივები თავიანთი საქმიანობის შინაარსით ახლოს დგანან სახალხო დებუტატთა საბჭოებთან, მის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებთან, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციასთან და პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. მათთან კოლექტივობის კავშირში შრომითი კოლექტივები განიხილავენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

შრომითი კოლექტივების შესახებ მოქმედი კანონის შესაბამისად შრომით კოლექტივებს სახალხო დებუტატთა ადგილობრივ საბჭოებში განსახილველად შეაქვთ წინადადებები მათს ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების კომპლექსურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ. შრომითი კოლექტივები თავიანთ კრებებზე განიხილავენ აგრეთვე საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების რეკომენდაციებს და საკუთარი ინიციატივით შესწავლილ იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც კრებებზე განსახილველად შეიტანს კოლექტივის თითოეული წევრი, ადმინისტრაცია ან პროფკავშირი.

შრომითი კოლექტივები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულებასაც უზრუნველყოფენ საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციების ადმინისტრაცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. შრომითი კოლექტივების წინადადებებს და აზრს აუცილებლად ითვალისწინებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, როდესაც საკითხი შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საქმიანობას ეხება. ამასთან ერთად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან შრომითს კოლექტივებს მიაწოდონ ინფორმაციები თა-

ვიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობაზე. ამასთან, არც კანონი და არც სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც შრომითი კოლექტივის ინტერესებს ეხება, არ შეიძლება ისე იყოს მიღებული, თუ მათ პროექტებს წინასწარ არ განიხილავენ და თავიანთ აზრს არ გამოთქვამენ შრომითი კოლექტივები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია მეტად საპატიო ამოცანებს აყენებს შრომითი კოლექტივების წინაშე. ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფის მუშაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პრინციპულად მოითხოვს, რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, უფრო აქტიურად ჩაებან ისინი წარმოების მართვის პროცესში, გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების როლი გეგმების შემუშავებასა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებაში, საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში.


კომუნისტური პარტიის ძირითად კანონში მითითებულია, რომ მომჭირნობა, სახალხო სახსრების უნარიანი ხარჯვა, ყოველი მანეთის რაციონალური ზომიარება, უყიარათობის ლიკვიდაცია, სხვადასხვაგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრა საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო, თითოეული შრომითი კოლექტივის, ყოველი მუშაკის უპირველესი საქმეა.

შრომითი კოლექტივები სოციალისტური შრომის ორგანიზაციის პროგრესული ორგანიზაციაა. კანონში განმარტებულია, რომ ისინი ისმენენ საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციების ინფორმაციებს გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, გეგმების შეცვლის მიზეზების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და აძლევენ მათ შესაბამის რეკომენდაციებს, ხოლო ადმინისტრაციის საქმიანობაში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებათა გამოვლინების შემთხვევაში, შრომითი კოლექტივები ატყობინებენ შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

შრომითი კოლექტივები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით და არსებული კანონით, მონაწილეობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალის შემცირებაში, რის შედეგადაც მიღებული ხელფასის ეკონომიას იყენებენ შედარებით მეტი მოცულობის-სამუშაოთა მუშაკების სტიმულირებისათვის. მომუშავე პერსონალის შემცირება ზოგიერთ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში იმიტომაცა სადღესო ამოცანა, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვამ, საგრძობლად შეამცირა ჩვენს ქვეყანაში ხელით შრომა, საჭირო გახდა გამოთავისუფლებული მუშაალის გამოყენება ახალი სიმძლავრეებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ხელუხლებელი რესურსების ასათვისებლად.

სკკპ პროგრამის პროექტის ახალი რედაქციით „სკკპ აყენებს ამოცანას თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს, ვამცირებდეთ სამმართველო აპარატს და ვაუქმებდეთ ზედმეტ რგოლებს“⁵.

⁵ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის (ახალი რედაქცია) პროექტი, თბ., 1985, გვ. 44.



სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე შრომითი კოლექტივების ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა. შრომითი კოლექტივები თვითონ სვამენ იმ მუშაის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელსაც ბრალი მიუძღვის სოციალისტური საკუთრებისა და მატერიალური დოვლათის დატაცებაში, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებაში, გეგმების ფიქტიურად შესრულებაში და მიწერებში. სამართალდარღვევების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა შრომითი კოლექტივებისა და მისი წევრების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა.

1985 წლის 14 თებერვალს საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე განხილული იქნა საკითხი „დისციპლინა და წესრიგი — განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე“. აქ ითქვა, რომ „უკეთ წყდება სამართალდარღვევების სოციალური პროფილაქტიკის საკითხები შრომით კოლექტივებში, სადაც ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია არა მარტო დისციპლინისა და წესრიგისათვის თითოეულის პასუხისმგებლობის ამალგება, არამედ წარმატებული მუშაობისა და სრულფასოვანი დასვენების შესაბამისი პირობების შექმნა“⁶.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის განუხრელი ბრძოლა, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომითი კოლექტივების ხაქმინაობის ორგანული ნაწილია.

კანონი განსაზღვრავს, რომ შრომითი კოლექტივები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე ან კონფერენციებზე, ე. ი. კრება ან კონფერენცია ითვლება შრომითი კოლექტივის უმაღლეს ორგანოდ. კრებებს შორის პერიოდში უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის შრომით კოლექტივებს სპეციალური ორგანო არ გააჩნიათ, ამიტომ ამ უფლებამოსილებას ერთობლივად ახორციელებენ ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევითი ორგანოები.

კანონი განმარტავს, რომ საკითხები შრომითი კოლექტივების კრებებზე (კონფერენციებზე) განსახილველად შეაქვთ პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციას, სახალხო კონტროლის ორგანოებს. ამიტომ ამ კრებებს (კონფერენციებს) ერთობლივად იწვევენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა პროფკავშირული კომიტეტები და ადმინისტრაცია. ასეთი კრებები (კონფერენციები) იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელნიადში არანაკლებ ორისა. კრება ითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს კოლექტივის წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ნახევარი, ხოლო კონფერენცია ითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა სულ ცოტა ორი მესამედი.

შრომით კოლექტივებს თავიანთ საქმიანობაში ქმედით დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

⁶ ვაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 16 თებერვალი.

შრომითი კოლექტივების როლი და ამოხანაობა

ვიორჯი იოსავა,

საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სამართლის ინსპექტორი,
საქართველოს სსრ დამხანაურებული იურისტი.

1983 წლის პირველი აგვისტოდან ძალაშია კანონი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. ამ კანონს უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს სახელმწიფო მართვაში საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობას და კიდევ უფრო ზრდის შრომითი კოლექტივების როლს. საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმმა პროფკავშირის 132 მილიონი წევრის სახელით ერთსულოვნად მოიწონა ეს კანონი, რადგან იგი მიმართულია უპასუხისმგებლობის, არაკეთილსინდისიერების, თანამდებობის პირთა უფლებამოსილების გადამეტების, უხეშობის, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი და ამორალური გადაცდომების წინააღმდეგ.

კანონში ნათქვამია, რომ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შრომითი კოლექტივი სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ახორციელებს ფართო უფლებამოსილებას ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. შრომითი კოლექტივები მოწოდებული არიან გაზარდონ ქვეყნის მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რაციონალურად გამოიყენონ არსებული რესურსები, დაუცხრომლად იზრუნონ კოლექტივის თითოეული წევრის შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

კანონში ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური პრინციპი, რომ თითოეული მშრომელი თავს გრძნობდეს საწარმოს ბატონ-პატრონად, და საბჭოთა ქვეყნის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

შრომითი კოლექტივის, მისი თითოეული წევრის უპირველესი კონსტიტუციური მონაპოვარი და მოვალეობაა კეთილსინდისიერი და მალაწყობიერი შრომა, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულება, საბჭოთა კანონების ზუსტად განხორციელება, სახელმწიფო გეგმებითა და კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდება.

შრომითი კოლექტივები თავის უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კანონით დადგენილია, რომ შრომითი კოლექტივების აზრსა და წინადადებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიაკუთვნონ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა. მართლაც, სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და სამეურნეო ორგანოები, როგორც წესი, ყოველმხრივ უწყობენ ხელს შრომით კოლექტივებში დემოკრატიული პრინციპების განვითარებას. სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან შრომით კოლექტივებს მიაწოდონ ინ-

ფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი შესრულების თაობაზე. შრომითი კოლექტივების საქმიანობა, მათი ფართო დემოკრატიზმი, ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული ადმინისტრაციის ერთმმართველობასთან. კანონით ზუსტადაა განსაზღვრული შრომითი კოლექტივების უფლებამოსილება სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკითხთა განხილვა-გადაწყვეტაში.

შრომითი კოლექტივები დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით ფართოდ და საყოველთაოდ განიხილავენ კანონპროექტებს. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს. ასევე განიხილება აგრეთვე საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობათა საფუძვლები, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვ. შრომითი კოლექტივები ასახელებენ უმაღლეს და ადგილობრივ საბჭოებში დეპუტატებად ასარჩევ კანდიდატებს, შემდეგ კი ისმენენ იმ დეპუტატის ანგარიშს, რომელიც შრომითმა კოლექტივმა დაასახელა. ამავე პრინციპით ხდება სახალხო მოსამართლეთა და მსაჯულთა კანდიდატების დასახელება და ანგარიშების მოსმენა.

უმუშაოდ ადგილებზე ირჩევენ სახალხო კონტროლის კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აქვე ისმენენ მათ ანგარიშებს.

შრომითი კოლექტივებია განიხილავენ წარმოება-დაწესებულების გეგმებს, ისმენენ ადმინისტრაციის ინფორმაციას სამუშაოთა მიმდინარეობაზე, თვალყურს ადევნებენ კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

შრომითი კოლექტივების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა. ამ მიზნით განუხრელად იყენებენ წარმოება-დაწესებულების შინაგანაწესს, რაც საიმედოდ უზრუნველყოფს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, წესრიგის დამრღვევთა გარდუვალ დასჯას და აქტიური, კეთილსინდისიერი წევრების დაჯილდოება-წახალისებას.

შრომითი კოლექტივები აკონტროლებენ და განიხილავენ აგრეთვე შრომის ანაზღაურების, უსაფრთხოების დაცვისა და კოლექტივის წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

როგორც წესი, ეს საკითხები განიხილება წარმოება-დაწესებულებების შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებიც იმდენჯერ იმართება, რამდენჯერაც საჭიროა, მაგრამ არანაკლებ ორისა მთელი წლის განმავლობაში.

კრება ან კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლექტივის წევრთა ორი მესამედი. საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები ადმინისტრაციამ, პროფკავშირის კომიტეტმა და სხვა საზოგადოებრივმა თუ სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა განიხილონ ერთი თვის ვადაში და ამის თაობაზე აცნობონ შრომითს კოლექტივს.

ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მოქმედებაში შევიდა კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოება „ცოდნამ“ და რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩატარეს კანონის პროპაგანდის, ახალი

ნორმების შესწავლისა და მათი შრომით კოლექტივებამდე დაყვანისათვის. მართლაც, იქ, სადაც განუხრელად სრულდება კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ, შედეგებიც კარგია.

მაგალითად, ცხაკაიის რაიონის სოფელ მენჯის „ახალი სენაკის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობა მრავალდარგოვანია, მაგრამ ყველა სახის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რადგან აქ მაღალია შრომის დისციპლინა, იშვიათია სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანება, მცირეა მუშა-მოსამსახურეთა დენადობა, აღმოიფხვრა სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები, დროულად სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და სხვ. აქ, როგორც წესი, შრომითი კოლექტივის კრებებზე ხშირად იხილავენ აგრეთვე სოფლის ტრანსპორტის მუშაობის, წისქვილისა და აბანოს რეკონსტრუქციის და სხვა აქტუალურ საკითხებს. ასეთ მუშაობას შედეგებიც კარგი მოსდევს.

სულ სხვა მდგომარეობაა საყოფაცხოვრებო მომსახურების მცხეთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში.

აქ კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები იშვიათად სრულდება, არა აქვთ შინაგანაწესი, დაბალია შრომის დისციპლინა, არ აღრიცხავენ დაგვიანება-გაცდენებს, ჩაშლილია სახელმწიფო გეგმების შესრულება, უგულვებელყოფენ კანონს შრომითი კოლექტივების შესახებ. სწორედ ამის თაობაზე მკაცრად იმსჯელა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და დასახა კიდევ ქმედითი ღონისძიებები.

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონი სახელმძღვანელოდ გაიხადეს გორის, ფოთის, ზუგდიდის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, ცხაკაიის და სხვა ქალაქისა და რაიონის ორგანიზაციებში.

ამ მიმართებით პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გეოლოგების, ელექტრომრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო დაწესებულებების, მანქანათმშენებლობის, საზღვაო ფლოტის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის, რადიოელექტრონიკის მრეწველობის და სხვა დარგის პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა. ამ სისტემათა შრომითი კოლექტივები ხშირად განიხილავენ შრომის დისციპლინის, გაცდენა-დაგვიანების, სამუშაოს თვითნებურად მიტოვების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, შრომისა და დასვენების, ხელფასის დროულად გაცემის, კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების საკითხებს.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სამინისტროში, უწყებასა და შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ექცევა კანონს შრომითი კოლექტივების შესახებ. ამას ცხადია, ცუდი შედეგები მოსდევს.

თბილისის ერთ-ერთ სახალხო სასამართლოში მესამე წელია გაუმართლებლად ჭიანჭურდება ავტოავარიის საქმის განხილვა. სასამართლო არ დაეყრდნო თბილისელი ექსპერტების დასკვნას და ამისათვის ჯერ მოსკოვს მიმართა შემდეგ კი — კიევს. ახლა მეოთხედაა დანიშნული ექსპერტიზა, მაგრამ ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რომელი რესპუბლიკის სპეციალისტებს გამოუცხადონ ნდობა.

აქ შეგნებულად არ ვასახელებთ სახალხო სასამართლოს, რადგან ვიცავთ მისი დამოუკიდებლობის პრინციპს, მაგრამ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ

იმ შრომითს კოლექტივებზე, სადაც სამართალში მიცემული და დაზარალებული მუშაობენ. შრომითი კოლექტივების შესახებ კანონი უფლებას იძლევა, რომ შრომელებმა თავიანთ სამუშაო ადგილზე მოიწვიონ სასამართლოს შემადგენლობა და მოისმინონ, თუ რატომ ჭიანჭურდება სასამართლო პროცესი. ამდენად, შრომითი კოლექტივები ვალდებული არიან შეურიგებლნი იყვნენ ბიუროკრატიზმისა და უკანონობის თითოეულ ფაქტთან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი კოლექტივები იშვიათად აბარებენ ანგარიშს მათ მიერ წამოყენებული და არჩეული ადგილობრივი საბჭოს დეპუტატებისაგან. ხშირია შემთხვევა, როცა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი ერთხელაც არ მისულა თავის ამომრჩევლებთან, არ გარკვეულა თუ რა აწუხებთ, როგორ ცხოვრობენ, როგორ ემსახურებიან მათ უბნის რწმუნებულები, სახლმმართველობისა და კომუნალური მომსახურების მუშაკები. უფრო მეტიც, როცა შევხვდით და გავესაუბრეთ სასოფლო და სადაბო საბჭოს რამდენიმე დეპუტატს, აღმოჩნდა, რომ ზოგმა ისიც კი არ იცოდა, თუ რამდენი ბავშვი დაიბადა მის საარჩევნო უბანში, რამდენი დაიღუპა, რამდენი ახალი ოჯახი შეიქმნა, რა დანიშნულებით იყენებდნენ მათი ამომრჩევლები საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს და სხვა. მსგავსი საკითხების ცოდნა კი დეპუტატისათვის სავალდებულოა. როცა კაცი სოფელში ცხოვრობს, მიწის ნაკვეთი აქვს და ბოსტნეულის საყიდლად მაღაზიაში ან ბაზარში დადის, ეს ფაქტი დეპუტატისთვის ყურადსაღები უნდა იყოს, რადგან ხშირად ასეთ პირებს ნაკვეთი სათბურებით აქვთ სავსე, ერთი სახის ბაღჩეული მოჰყავთ და მას სპეკულაციურ ფასებში ჰყიდიან. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უპირველესი დანიშნულება კი არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ოჯახის დაკმაყოფილება. მიწის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში შრომითი კოლექტივი ვალდებულია დასვას საკითხი მისი ჩამორთმევის შესახებ.

შრომითმა კოლექტივებმა თავიანთი გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვან, აგრეთვე, ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში. ყველანი ერთსულოვანნი და შეუვალნი უნდა იყვნენ ლოთობის, როგორც უბოროტესი ჩვევის და დანაშაულის დასამარცხებლად, რადგან მან არაერთი უბედურება მოუტანა ადამიანებს. სწორედ ამაზე მეტყველებს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული სათანადო დადგენილებები, რამაც საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და ფართო აღიარება ჰპოვა. ამ დადგენილებებით კიდევ უფრო გაიზარდა შრომითი კოლექტივების, უშუალოდ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი.

როცა შრომითი კოლექტივების როლსა და ავტორიტეტზე ვლაპარაკობთ, უპირველესად ვგულისხმობთ იმ კანონს, რომელმაც უფრო ზუსტი, მიზანმიმართული და კონკრეტული გახადა მათი მოქმედების მიზნები და ამოცანები. ეს კანონი უკვე მოქმედებს და პრაქტიკამ ცხადად დაადასტურა მისი აუცილებლობა. გვჯერა, რომ ამ კანონის განუხრელად განხორციელება ხელს შეუწყობს ანტისაზოგადოებრივი და ნეგატიური მოვლენების საბოლოოდ აღმოფხვრას.

საპარტლავრივი დახმარება შრომით კოლექტივებს

თამაზ საზიარვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი
მუშაობის განყოფილების უფროსი

სკკბ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმზე ახ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „კვლავაც უნდა განვაფართოოთ ცენტრალიზებული საწყისი სტრატეგიულ ამოცანათა გადაწყვეტაში და ამავე დროს უფრო გაბედულად ვიაროთ წინ საწარმოთა უფლებების, მათი დამოუკიდებლობის გაფართოების გზით, ვნერგავდეთ სამეურნეო ანგარიშს და ამ საფუძველზე ვზრდოვდეთ შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას და დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებით“.

ხელმძღვანელობს რა ამ მითითებით, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილება სისტემატურად სწავლობს სამართლებრივ მუშაობას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციებში, იგრძნობა რომ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა როლი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ბევრგან საგრძნობლად განმტკიცდა საგვემო დისციპლინა, უკეთ მოეწყო სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის საქმე, ადმინისტრაცია უფრო ხშირად იყენებს ქონებრივი პასუხისმგებლობის ზომებს იმ პირობა მიმართ, რომლებიც არღვევენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და რაც ყველაზე საგულისხმოა, მკვეთრად ამოღდა საშემსრულებლო და შრომის დისციპლინა.

ამის მაგალითად გამოდგება თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება, სადაც შრომითი კოლექტივების კრებებზე სისტემატურად ისმენენ ადმინისტრაციის ინფორმაციას გეგმების შესრულების თაობაზე. დმანისის აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლექტივის მსჯელობის საგანი ხდება ხოლმე ხელმძღვანელ სამუშაოებზე კადრების დაწინაურებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის საკითხები. ზუგდიდის გაერთიანება „საქქალაქმრეწვეში“ შრომითი კოლექტივების კრებაზე იხილავენ იურიდიული ჯგუფის ინფორმაციებს ხელშეკრულების შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის აქტიურად იბრძვის აგრეთვე მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის შრომითი კოლექტივი.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჯეროვნად არ აფასებენ შრომითი კოლექტივების როლს წარმოების ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სა-

ზოგადობრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და საერთოდ საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, დაბალია აგრეთვე იურიდიული სამსახურის როლი შრომითი კოლექტივებისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელების საქმეში, რადგან სათანადო პროპაგანდას ჯერ უწევენ ამ კანონის სწორად გამოყენებას. წარმოება-დაწესებულებათა იურისტები კი ვალდებულნი არიან დროულად წარუდგინონ წინადადებები ადმინისტრაციას კანონის სწორად გამოყენებაზე.

საწარმოო გაერთიანება ქუთაისის ავტოქარხანაში, სადაც 15000 მუშა-მოსამსახურე ირიცხება, სამართლებრივი მუშაობა და იურიდიული სამსახურის საქმიანობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

კომბინატის მუშაკთა უმოქმედობა მატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის ფაქტებთან, გარკვეულ წილად იმით არის განპირობებული, რომ ღღემდე არ მიუღიათ ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაკებისა და სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების თანამდებობრივი ინსტრუქციები.

მთავარი კი ის არის, რომ არ არსებობს საქმიანი კონტაქტები, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკებისა და მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა შორის სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის სწორი ორგანიზაცია შეუძლებელია მხოლოდ უფლება-მოვალეობათა დაზუსტებით. ამიტომ საჭიროა ხელმძღვანელი მუშაკი პერსონალურად აგებდეს პასუხს მინდობილ უბანზე და ზუსტად იცავდეს კანონს, დროულად და მკაცრად რეაგირებდეს სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და დანაკლისის ყოველ გამოვლენილ ფაქტზე, იღებდეს ზომებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. სამწუხაროდ, ასე არ იქცევიან ქუთაისის ავტოქარხანაში. ჯერ ერთი, მასალებს დიდი დაგვიანებით აგზავნიან საგამომიებლო და სასამართლო ორგანოებში, ხოლო შემდეგ აღარც კითხულობენ მათი ბედისა და მსვლელობის შესახებ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დიდი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვისა და კონტროლის სწორ ორგანიზაციას, ქუთაისის ავტოქარხანაში კი მუშაობის ეს უბანიც ვერ პასუხობს სადღესო მოთხოვნებს. როგორც წესი, კანონის შესაბამისად არ წარმოებს მატერიალურ-პასუხისმგებელ პირთა შერჩევა და მათი წინასწარი შემოწმება იმ მიზნით, რომ ასეთ თანამდებობებზე არ მოხვდნენ წარსულში ანგარებითი დანაშაულისათვის ნასამართლევი ან სხვა მხრივ ნდობადაკარგული პირები.

ქარხნის შრომითი კოლექტივი საქმის კურსში არ არის, თუ როგორ სრულდება სამეურნეო ხელშეკრულებები. მუშა-მოსამსახურეები თითქმის არ მონაწილეობენ საწარმოს სტანდარტების შემუშავებაში, მათ არავენ აცნობს პროდუქციის უხარისხობის მიზეზებს.

იმის გამო, რომ შრომითი კოლექტივისათვის ცნობილი არ არის ეს მაჩვენებლები, წუნისმკეთებლები ფაქტიურად დაუსჯერლნი რჩებიან. მათ არავენ ახდევინებს ქარხნისათვის მიყენებული ზარალის საზღაურს.

აქ საერთოდ არ იგრძნობა ყაირათიანი დამოკიდებულება ფულადი და სხვა მატერიალური ფასეულობისადმი. ქარხნის იურიდიული სამსახური კი ადმინისტრაციას არ უჩვენებს ამ მხრივ არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზებს.

ქარხნის კოლექტივს ღღემდე არ უმსჯელია იმაზე, რომ ხელშეკრულების

პირობათა დარღვევის გამო აქ სისტემატურად იხდინა მილიონობით მანეთის პირგასამტეხლოს.

იურიდიული სამსახური კი დუმს და არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებას, რათა დანაკლისის სახით არსებული მატერიალური ფასეულობა, ანუ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი გადახდეთ იმ პირებს, რომლებსაც დავალიანება ერიცხებათ. ეს თანხა კი საკმაოდ სოლიდურია — 200831 მანეთი.

შრომითი კოლექტივი სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უკრე-დია და სწორედ აქ ხდება საბჭოთა ხალხის მაღალი შეგნებულობის ჩამოყალიბება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საუკეთესო პროპაგანდისტული კადრების შერჩევას და თავმოყრას შრომით კოლექტივებში. მათი აღმზრდელობითი როლი საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონით, სსრ კავშირის კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. მასში აღნიშნულია, რომ შრომითი კოლექტივები თავიანთ წევრებს ზრდიან კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით, ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მეჩვიდმეტე მუხლის თანახმად, შრომითი კოლექტივები ახორციელებენ ღონისძიებებს კანონების დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, მომხვეჭელობისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეუპირებლობის სულისკვეთებით;

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის შრომითი კოლექტივები კი ამ საკითხებს ყოველთვის არ იხილავენ. ქარხნის იურიდიული სამსახური არ განუმარტავს მუშა-მოსამსახურეებს თავიანთ უფლება-მოვალეობებს, დაბალ დონეზე აქვს დაყენებული სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა, თითქმის გამოუყენებელია საამისოდ ქარხნის მრავალტირაჟიანი ვაზეთი, იშვიათად იწვევენ სასაუბროდ ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, სუსტად იბრძვიან შრომის კანონმდებლობის დაცვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. რადგან ბრძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს არ უკეთდება იურიდიული სამსახურის ვიზირება, ადგილი აქვს აგრეთვე შრომის კანონმდებლობის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევებს.

საქართველოს სსრ გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატსა და თბილისის წიგნის ფაბრიკაში წლების განმავლობაში უხეშად ირღვეოდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 55-ე მუხლის მოთხოვნები. აქ წლიდან წლამდე ამუშავებდნენ მუშებს ზეგანაკვეთურად, მაგრამ საკითხი არასოდეს შეუთანხმებიათ ადგილობრივი პროფორგანიზაციისათვის. როგორც ცნობილია, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის მე-8 მუხლით, შრომითი კოლექტივები ახორციელებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც მიზნად აქვთ სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და მისი განმტკიცების უზრუნველყოფა, უყაირათობისა და სახალხო დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვაებათა თავიდან აცილება. შემოწმებით ირკვევა, რომ საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომით კოლექტივებში ნაკლები ყურადღება ექცევა ამ საკითხებს, ხოლო მათი იურიდიული სამსახურები საერთოდ არ იჩენენ ინიციატივას იმისათვის,

რომ ზუსტად და დროულად სრულდებოდეს კანონის ეს მოთხოვნა. ამის მაგალითად გამოდგება საქართველოს სსრ სასოფლო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქფრინ-კელმრეწვის“ იურიდიული სამსახურის მუშაობა. იგი თითქმის არასოდეს მონაწილეობს საინვენტარიზაციო მასალების განხილვაში და არ ახორციელებს ღონისძიებებს დებიტორულ დავალიანებათა შესამციკრებლად.

„საქწიგნის“ შრომითმა კოლექტივმა არ იცის, რომ სისტემის საწყობებში მოუვლელით ვაფუქდა და ჩამოიწერა 2 მილიონი მანეთის წიგნი. ეს სამარცხვინო ამბავი შრომით კოლექტივს რომ სცოდნოდა, ალბათ მოითხოვდა კიდევ დამნაშავეთა დასჯას და მათ ხარჯზე ზარალის ანაზღაურებას. უფრო მეტიც, კოლექტივს აქ იმაზეც არ უმსჯელია, რომ მატერიალურ ფასეულობათა დატაცებისა და დანაკლისის შედეგად ზარალმა 300 ათასამდე მანეთი შეადგინა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც შრომითი კოლექტივების ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა საგემო დისციპლინის განმტკიცება. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლოდამზადების“ საქვეუწყებო ორგანიზაციების შრომით კოლექტივებს ერთხელაც არ უმსჯელიათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების სისტემატიური შეუსრულებლობის მიზეზებზე. სამწუხაროდ, არც იურიდიული სამსახურის მუშაკები იკვლევენ აქ ამის მიზეზებს, არ აყენებენ წინადადებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ ორგანიზაციათა მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ისინი ყოველწლიურად ასობით ათას მანეთ ჯარიმას იხდიან.

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონში აღნიშნულია, რომ „შეგნებული დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა შრომითი კოლექტივების მუშაობაში კოლექტივების წევრთა ინიციატივა და აქტიურობა, მასობრივი ტექნიკური შემოქმედება წარმოების ინტენსიფიკაციის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობებია“. იურიდიული სამსახური უნდა სარგებლობდეს ამ მოთხოვნით, აქტიურად ეხმარებოდეს შრომით კოლექტივს, განუმარტავდეს მათ თავიანთ უფლება-მოვალეობებს და ეხმარებოდეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ავრეთვე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილებამ, რომელიც მზად არის მეთოდური დახმარება გაუწიოს საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციასა და იურიდიულ სამსახურებს შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის ზუსტად შესრულების საქმეში.

კანონის ძალა—ლოთობისა და ალკოჰოლიზმის

წინაქმედება

სიმთვრალე დანაშაულს ამძიმებს

როგორც ანალიზი ცხადყოფს, საზოგადოება დანაშაულთა მისამართად მიმართულია სიმთვრალეში, ყოველი მთავარი საგარეო-სამართლებრივი მუშაობისათვის ან წინაშე ნასამართლევი პირია.

ეს ალგოზოლოგიური ციფრები კიდევ ერთხელ ნათელყოფს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი ბაზისების უმთავრესი საკვანძო ცენტრალური პოზიციებისა და სსრ კავშირის მიწინასწარმეტყველებით მიღებული დადებითი შედეგების უდიდეს მნიშვნელობას.

ამიტომ არის, რომ მთელი საზოგადოებრიობა მოწოდებით უმჯობესად დადებითობას და უკომპრომისო ბრძოლას გამოუცხადებდა ლოთობას და ალკოჰოლიზმს. ამ ბრძოლის ავანგარდში კანონის ძალა დგას. მის გაცდას, მაგრამ სამართლიან მსჯელობას იგებებს ყველა, ვინც აბუჩად აიჭმება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოთხოვნებს. ორ მათგანს კი დღეს ვაბაძვობთ...

* * *


28 წლის იყო შალვა გიორგის ძე ბესტავა-შვილი, როცა პირველად აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. საშიში დანაშაულის ჩადენისათვის 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, მაგრამ ეს საკმარისი როდი აღმოჩნდა სერიოზული დასჯენების გამოტანისათვის. ახალი განთავისუფლებული იყო, როცა იოლი გზით გამდიდრება მოისურვა, აქაოდა ჭაფა და ოფლის მოედნა რა ჩემი საქმეაო. არც ეს აპატიეს და კვლავ „იქ“ წააბრძანეს, იქნებ ახლა მაინც უხმოს ვინმესო. არა და არა, არ დაადგა საშველი მის სწორ გზაზე დაუენებას. თუმცა ბახუსთან დამოყვრებულ კაცს ხომ მუქთანობა და მოლიპულ გზაზე სიარული ხელობად აქვს გადაქცეული. ბესტავაშვილსაც, მიუხედავად იმისა რომ 50 წელს გადაცილებული იყო, კვლავ დანაშაულისაკენ ეჭირა თვალში. ამჯერად მისი „ნაშრომისა“ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის შესაბამისად დააკვალიფიცირეს და გამოუსწორებელი რეციდივისტი „ნაცად“ გზას გაუყენეს.

მოთმინება გადაწურულ შკითხველს აღბათ იმედის სულ მცირე ნაპერწკალი მაინც შემოჩნდა — ბოლოს და ბოლოს იქნება ჭაღარამ მაინც დაუხვას წერტილი მის ავკაცობასო, მაგრამ, ვაი, რომ ასე არ მოხდა...

40 წელს მიტანებული ბესტავაშვილი თბილისის ტუბსაწინააღმდეგო კლინიკურ საავადმყოფოში

დამყოფს შიდადა, არიქა, მიშველეთ, ჯანმრთელობა გამოუარესდა და აბა, თქვენ იცი-თო... ყოველივე ამას ისეთი რიხით მოითხოვდა, საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა, ამ დროულ კაცს ვინ მოთვლის ქვეყნისათვის რამდენი რამ შეუმატებიაო. დააწვინეს, უმკურნალებს, ჭაღარა თავზეც სათუთად უსვებს ხელი, მაგრამ მგლის თავზე რომ სახარებას კითხულობდნენ, ხომ ვახსოვთ?! მოლონერადა, მომძლავრდა და ერთ ჩვეულებრივ თბილისურ ლამეს პალატაში მის გვერდზე მწოლიარეს ეცა, საწოლი გადააბრუნა და დაფეთებული ავადმყოფი იატაკზე გაშლარათა, აქაოდა, შენი ჯვრინვა მაწუხებსო.

ამ ინციდენტს მეორე თერაპიული განყოფილების გამგე ლ. დლონტი არ შეუწუხებიაო, ვერ ვიტყვით, რადგან ბესტავაშვილის დახარალებულ მეზობელს პალატის ბოლოში მიუჩინეს ადგილი, მაგრამ ის კი გამორჩათ, რომ მათ მიერ გამოქანძრულ თვითმკურნალობის სმენა კარგი მქონდა და ხვრინვა მაინც მისწვდებოდა მის ყურს. სწორედ ეს შეცდომა არ „აპატიო“ სამედიცინო პერსონალს ბესტავაშვილმა, კვირა დღეს გაიპარა საავადმყოფოდან და მწუხრისას გამოცხადდა ადგილზე, მხოლოდ ეს იყო, ბლომად გადაეკრა და თავიც გამოშვევდად ეჭირა, კვლავ თავის მსხვერპლს აუხიბდა, უწამური სიტყვებით ლანძღა, ესეც ეცოტავა, ახლა დანა ჩასცხო



ვერდში, სისხლი შეაწმინდა, დაეცა და დინ-
ჯად შეინახა ჭიბეში. დიან, ეს ამარწმინი და-
ნაშაული მოხდა თბილისის ერთ-ერთ სოლი-
დურ საავადმყოფოში ყველას თვალწინ...

თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო
სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვე-
თა მიუსაჯა ზვირგვით „შეწუხებულ“ ბესტა-
ვაშვილს, მაგრამ აქ წერტილს ვერ დავსვამთ,
რადგან საავადმყოფოს მეორე თერაპიული
განყოფილების მესვეურნი დროულად რომ გა-
რკვეულყვნენ პალატაში შექმნილ კონფლიქ-

ტურ სიტუაციაში, სწორედ შეეფასებინათ
ბესტავაშვილის პიროვნული სახე (ბოლოს და
ბოლოს ექიმები არიან) და მეტი მონდომებით
დაეცვათ შრომის დისციპლინა და საავადმ-
ყოფოს შინაგანაწესი, გვჭერა, დანაშაული არ
მოსდებოდა.

სწორედ ამ და სხვა საკითხებზე მიაქცევს
საავადმყოფოს აღმინისტრაციის უურადლებას
ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს
მეორე გამოტანილი კერძო განჩინება.

* * *

„განეკრძალვით ზედსა-ზედა ღვინის სმა-
სა და მარადის სიმთვრალესა, ვინაითგან მთვ-
რადობა არის თავი ყოვლისა ცოდვისა...“ —
ბრძანა სულხან-საბა ორბელიანმა და მისი ეს
შეგონება ზედგამოჭრილია რამაზ გიორგის
ძე ნატროშვილზე, რომელმაც სიმთვრალეში
მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ყველაფერი კი ასე
დაიწყო...

18 წლის იყო რამაზი, როცა გულისწორს
შეხვდა და დაქორწინდა კიდევ, მეუღლის
ბანაში გადაწყვიტა ცხოვრება. მალე ორი
შვილის მამა გახდა. სიღერ-სიმაზრი თან
შევეროდნენ, ძალისხმევას არ აკლებდნენ, ყო-
ველგვარ პირობებს უქმნიდნენ ნორმალური
ოჯახის შექმნისათვის, ის კი უსაფუძვლოდ
ზევალობდა, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურა-
ცხყოფას არ აკლებდა მეუღლეს, პატიოსან
შრომას განუდგა, საეჭვო პირებს დაუამხანაგ-
და და დღეებს სმასა და გაუთავებელ ორგი-
ებში ატარებდა. რა არ იღონეს, რას არ მიმა-
რთეს, საცხოვრებელი ადგილიც რამდენჯერ-
მე გამოუცვალეს, რათა ცუდი წრიდან გამო-
ეგლიჯათ ახალგაზრდა კაცი, მაგრამ სასურ-
ველი შედეგი არაფერმა გამოიღო, პირიქით,
თავაწყვტილი მიექანებოდა ჭაობისაკენ და,
როგორც მოსალოდნელი იყო, ლოთობამ და
მუქთახობამ ლოგიკურ დასასრულამდე
მიიყვანა...

1985 წლის 18 აპრილს მორიგი დრეობი-
დან მთვრალი და გონებადაბინდული გამოთე-
ნიისას დაბრუნდა ოჯახში, ბილწისიტყვაობის
კორიანტელი დააყენა, ავადმყოფ მეუღლეს
ცემა დაუწყო და როცა შობლები გამოესარ-

ჩლნენ შვილს, ახლა მათ მისდგა, ლითონის
ლარნაკი ჩასცხო თავში სიმაზრს, არც ეს აკ-
მარა, გარეთ გავარდნილს ეწოში დაეწია, წა-
აქცია და იმდენი სცემა, ვიდრე გონება დააკარ-
გინა, სიღერციც სულ თმებით ათრია. დღემ-
თებული ბავშვები ხან აქეთ აწყდებოდნენ,
ხან იქით, და ვინ იცის, რით დამთავრდებოდა
გამხეცებული ნატროშვილის თარეში, მილი-
ცია რომ არ გამოჩენილიყო. მათი დანახვა
იყო და „გულადმა რაინდმა“ ტახტის ქვეშ
სცადა მიმალვა, მაგრამ გამოათრის და გან-
ყოფილებაში წაბრძანეს...

თუ „იდი გამოცდილების“ მქონე ბესტა-
ვაშვილმა კარგად იცოდა, რომ სიმთვრალე
დანაშაულს ამძიმებს და ამიტომ თავგამოდე-
ბული ირწმუნებოდა, მთვრალი არ ვიყავიო,
„ნაკლები გამოცდილების“ ნატროშვილი სა-
სამართლო პროცესზე წარამარა იმეორებდა:
„გადახული ვიყავი ღვინისა და არყის სმა-
ზე“, „როგორ მოხდა, არ მახსოვს“, „ამის შემ-
დეგ არაფერი არ მახსოვს“. მას გარკვევით
განუმარტეს, რომ სწორედ სიმთვრალის გამო
მძიმდებოდა მისი ისედაც ამარწმინი დანაშა-
ული...

ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართ-
ლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსა-
ჯა თავაწყვტილ ხულიგანს. საკმარისი დროა
იმისათვის, რომ რამაზ გიორგის ძე ნატრო-
შვილმა გულდაგულ გააანალიზოს თავისი ცხო-
ვრების წესი და აქედან სათანადო დასკვნე-
ბიც გამოიტანოს.

გელა გურული.

სოფხიზლე — ცხოვრების ნორმა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივმა დადგენილებამ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ, კიდევ უფრო გაააქტიურა ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, განამტკიცა მართლწესრიგი და კანონიერება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ კი იგი წესტი და მიწინააღმართული გახადა, რადგან ამით ლოთობასთან ბრძოლას კანონის ძალა მიენიჭა.


ლოთობა რომ მართლაც დიდი ბოროტებაა და ზვირად მრავალგვარი უბედურების სათავეა, ყველამ კარგად იცის. სიმთვრალის დროს ადამიანი სულ ადვილად ჰკარგავს წონასწორობას, საკუთარი თავის კონტროლს, არაფრად მიიჩნევს საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს, ადვილად ხდება ჭირვეული და აქედან გამომდინარე — დამნაშავეც. სწორედ ამიტომ მიეძევა განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს ქვეყანაში ლოთობასთან ბრძოლას. საბჭოთა ადამიანებმა მართლაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ალკოჰოლიზმს და მასში მთელი საზოგადოებრიობა ჩააბეს, რადგან ლოთობა ყოველად შეუთავსებელია სოციალისტური საერთო ცხოვრებისა და კომუნისტური წინემის პრინციპებისათვის.

მართალია, ლოთობასთან ბრძოლა განსაკუთრებულ სიბრძნელებთან არის დაკავშირებული, მაგრამ გეგმაზომიერი და მოეჭირებული ღონისძიებებით უცილობლად შეიძლება მისი აღმოფხვრა. ამისათვის კი საჭიროა აღმინისტრაციული ზემოქმედების სამართლებრივი ნორმები აუცილებლად შევუხამოთ აღმწოდლობით და ორგანიზაციულ საკითხებს. აქ კი უპირველესი ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რომ განუხრებლად ამაღლდეს ადამიანთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ლოთობასთან ბრძოლაში კარგ შედეგებს სწორედ იქ აღწევენ, სადაც მაღალია შრომითი კოლექტივების როლი და ავტორიტეტი, სადაც ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად და მკვიდრებულ პარტიის ნაცად პოლიტიკას.

სწორედ ამისათვის, ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციოდ შეიქმნა სოფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელმაც უკვე გაშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. იგი სისტემატურად აწყოებს ღონისძიებებს მშრომელთა საინტერესო და ჯანსაღი დასვენებისათვის, ეხმარება წარმოება-დაწესებულებებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს სკკ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებისა და კანონმდებლობის პრაქტიკულად განხორციელებაში, ატარებს ლოთობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, დისპუტებს და რაც მთავარია, ამ ღონისძიებებში აქსოვს აზრს — სოფხიზლე ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ნორმად უნდა იქცეს!

ერთი ასეთი კარგი ღონისძიება, სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე „სოფხიზლე — ჩვენი ცხოვრების ნორმა!“ ამასწინათ ჩატარდა ქ. თელავში. მისი ინიციატორები იყვნენ საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომი, სოფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო. თელავის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ რაიონის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდები, მუშები, კოლმეურნეები, საზოგადოებრიობის მოწინავე ადამიანები, ისინი, ვისთვისაც ბევრს ნიშნავს რაიონის ავკარგი, მისი ავტორიტეტი და ხვალინდელი



დღე- აქ მართლაც გულანდილი საუბარი გაიმართა იმ პრობლემებზე, რომლებიც მწვავედ დააყენა ლოთობასთან გამოცხადებულმა საყოველთაო სახალხო ბრძოლამ, იმ ამოცანებზე, რაც მთელი ქართველი ხალხის და კერძოდ თელაველების წინაშე დგას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია შეხავალი სიტყვით გახსნა სახალხო დეპუტატების თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანმა მ. მილორბაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს თავმჯდომრის პირველი მოადგილე თ. ხელაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი ზ. მისინაშვილი, თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბ. მალაშვილი და სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი რაიონული საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ი. ფაშაშვილი.

მომხსენებლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ალკოჰოლიზმის აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა თავისებურებებზე და კონკრეტული მაგალითებით განამტკიცეს ის აზრი, რომ ლოთობასთან ბრძოლის დროს მთავარი ყურადღება

უნდა მიექცეს ამ საქმეში ფართო მოსახლეობის ჩაბმას, მასობრიობას. საჭიროა ყველა პატიოსანი მოქალაქე წრუნავდეს გზას აცდენილთა გადასარჩენად, იმისათვის, რომ საერთოდ მოისპოს ლოთობა, ნარკომანია. ხაზგასმით ითქვა, რომ ლოთობასთან ბრძოლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობა, დისციპლინა და წესრიგია მშრომელთა კოლექტივებში, ოჯახში, ჯანსაღი ფსიქოლოგიური და წინეობრივი ატმოსფერო სუფევს თუ არა უშუალოდ იქ, სადაც ახალგაზრდებს უხდებოდათ ყოფნა და ცხოვრება, კოლმეურნეობის მიწოდებებში თუ ფერმებში, ფაბრიკა-ქარხნების დაწვებთან თუ ჩარხებთან, აუდიტორიებსა თუ საკლასო ოთახებში, ქუჩაში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ თელავის რაიონის ექიმი-ნარკოლოგი ბ. ჯანაშვილი, თელავის წინდების საქსოვი ფაბრიკის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. მარტოშვილი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. ბედიანიძე, ნმ-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. რაზმაძე.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა პოეტი ვ. გორბანელი.

ანგი არსენაშვილი.

სსრ
საბჭოს
სამინისტროს
საქართველოს
სსრ
საბჭოს

სიახლე სამოქალაქო სამართალწარმოებაში

ვანტანა ალანიძე,

ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო
სასამართლოს თავმჯდომარე

არასრულწლოვანი შვილების რჩენა მშობლების მორალური, სამართლებრივი და კონსტიტუციური უფლება-მოვალეობაა, მაგრამ ალიმენტის ურჩი გადახდები ხშირად არაფრად აგდებენ კანონსა და საზოგადოებრივ აზრს, ჯიუტად ამბობენ უარს შვილების რჩენაზე და სასამართლოს ანდობენ მათ ბედს. როგორც ცნობილია, გასულ წლამდე მოქმედებდა საალიმენტო საქმეების გადაწყვეტის ერთიანი წესი, რომლითაც დავა სასამართლოში იხილებოდა სასარჩელო განცხადების საფუძველზე და მხოლოდ პროცესის შედეგად ეკისრებოდა მოპასუხეს განსაზღვრული თანხა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ. პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა ამ საქმეთა განხილვის გამარტივების საკითხი, რომ მოსამართლეს უფლება მისცემოდა ერთპიროვნულად გადაეწყვიტა იგი. მართლაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 1 თებერვალს მიიღო ბრძანებულება „არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების წესებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები განიცადა საქართველოს სსრ ზოგიერთმა საკანონმდებლო აქტმა.

განვიღო ერთ წელიწადში უკვე დადასტურდა კანონის ამ სიახლეთა მართებულობა, მაგრამ ისიც შეიმჩნევა, რომ მოსახლეობა სათანადოდ არ იცნობს საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებას. გვგერა, ამ სიახლეთა განმარტება ხელს შეუწყობს არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის დაკისრებას, გაარკვევს მათი აღსრულების წესს და აამაღლებს სასამართლო პროცესების ავტორიტეტს.

უმთავრესი სიახლე ამ ბრძანებულებისა ის არის, რომ განცხადებას ალიმენტის შესახებ მოსამართლე განიხილავს **ერთპიროვნულად**, სამოქალაქო საქმის აღძვრის გარეშე, თუ მხარეებს დავა არ აქვთ ერთმანეთს შორის.

განცხადება ალიმენტის გადახდევინებაზე, როგორც ადრე ისე ახლაც, განმცხადებელს შეაქვს თავისი ან მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და აქ არჩევანი ეკუთვნის იმას, ვინც სასამართლოს მიმართავს.

როგორც წესი, სახალხო მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვისათვის აუცილებელია **იმ პირის თანხმობა**, რომელმაც ალიმენტი უნდა იხადოს. ამასთან, თანხმობა შეიძლება განაცხადოს, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად.

მას შემდეგ, რაც სახალხო მოსამართლე თანხმობას მიიღებს იმ პირისაგან, ვინც ალიმენტი უნდა გადაიხადოს, იგი ერთპიროვნულად გამოიტანს დადგენილებას და დააკისრებს ალიმენტს. ასეთ დროს მოსამართლეს დადგენილება გამოაქვს იმავე ან მეორე დღეს.

დადგენილება ალიმენტის დაკისრებაზე დაფუძნებული უნდა იყოს ქორ-

წინებისა და ბავშვის დაბადების მოწმობებზე და განისაზღვროს კანონით დადგენილი ოდენობით: ერთი ბავშვის სარჩენად ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორი ბავშვის სარჩენად — ერთი მესამედი, სამი და მეტი ბავშვის სარჩენად — ნახევარი.

სახელმწიფო ბაჟს იხდის ის პირი, ვისაც დადგენილებით დაეკისრება ალიმენტის გადახდა, ხოლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ალიმენტის დაკისრებაზე გამოტანილი დადგენილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება.

ცვლილებები განიცადა, აგრეთვე, საალიმენტო საქმის წარმოების აღსრულების წესმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1984 წლის 6 თებერვალს მიიღო დადგენილება „ალიმენტის გადახდისაგან თავის ამრიდებელი მშობლის ძებნის პერიოდში არასრულწლოვანი შვილებისათვის დროებითი დახმარების შემოღების შესახებ“, რომელმაც გააძლიერა მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფის იურიდიული გარანტიები. ამ დადგენილებამ შემოიღო და დააკანონა დროებითი დახმარება იმ არასრულწლოვანი ბავშვებისათვის, რომელთა მშობლებიც თავს არიდებენ დაკისრებული ალიმენტის გადახდას, მაგრამ სასამართლოს განჩინებით მათი ძებნა გამოცხადებული. ასეთი დახმარების ოდენობა განსაზღვრულია ყოველთვიურად: ერთი ბავშვისათვის — 20 მანეთი, ორი ბავშვისათვის — 30 მანეთი, სამი ბავშვისათვის — 40 მანეთი, ოთხი და მეტი ბავშვისათვის — 50 მანეთი. დახმარება გაიცემა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან შექმნილი საალიმენტო ფონდიდან.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1984 წლის 2 აგვისტოს ერთობლივად დაამტკიცეს დროებითი დახმარების დანიშვნისა და მისი გაცემის ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ასეთი დახმარების მიღების უფლება აქვს იმ დედას, მამას, მეურვეს ან მზრუნველს, რომლის სასარგებლოდაც უნდა გადაიხადოს განსაზღვრული თანხა ალიმენტისაგან თავის ამრიდებელმა პირმა. ეს უფლება წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო შებნას აღძრავს ასეთი პირის მიმართ, ხოლო შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილება განჩინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში ვერ დაადგენს მოვალის ადგილ-სამყოფელს. ძებნის აღძვრის საფუძველია, როგორც გამამხდევინებლის განცხადება, ასევე პროკურორის ან სასამართლოს აღმასრულებლის წარდგინება.

დროებითი დახმარების მისაღებად განმცხადებელმა უნდა მიმართოს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებას თან უნდა დაერთოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შეტყობინება, რომ მოვალის ადგილ-სამყოფელი ერთ თვეში ვერ დადგინდა და ცნობა, რომ არასრულწლოვანი ბავშვი აღსაზრდელად იმყოფება განმცხადებელთან. დახმარებას ნიშნავს სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საპენსიო კომისია. იგივე კომისია გადაწყვეტილებით შეაჩერებს დახმარების გაცემას, როცა ბავშვი 18 წლის გახდება, გარდაიცვლება მოვალე ან თვითონ ბავშვი, არასრულწლოვანი აღმოჩნდება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, გაუქმდება

სასამართლოს გადაწყვეტილება ან მოსამართლის დადგენილება ალიმენტის დაკისრებაზე, მშობლის უფლების ჩამორთმევის დროს ან ბავშვის ჩამორთმევისას მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე.

კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში.

თუ დადგინდება მოვალის ადგილ-სამყოფელი, შინაგან საქმეთა განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იგი გადამხდევინებელს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და იმ სასამართლოს, რომელმაც ძებნა გამოაცხადა. სახალხო სასამართლო შეტყობინების მიღებისთანავე გამოწერს აღმასრულებელ ფურცელს და გაავრცავს მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება იმავე დღიდან შეწყვეტს დახმარების გაცემას და განსაზღვრავს რა უქვე გაცემული დახმარების ოდენობას 10 პროცენტის დარიცხვით, სამ დღეში წარადგენს მასალებს შესაბამის სახალხო სასამართლოში ამ თანხის დასაბრუნებლად. ამავე დროს, შეტყობინება ეგზავნება გადამხდევინებელსაც.

საალიმენტო დავალიანება და დროებითი დახმარების თანხა 10 პროცენტის დარიცხვით გადახდილი უნდა იყოს მოვალის ქონებიდან, ხოლო თუ იგი მას არ გააჩნია, მაშინ იგი ანაზღაურდება ხელფასიდან. ამავე დროს კი, აღმასრულებელმა პერიოდულად უნდა გადაამოწმოს ხოლმე მოვალის ქონებრივი მდგომარეობა.

როგორც წესი, მოვალეს პირველ რიგში უნდა გადახდეს საალიმენტო დავალიანება, შემდეგ კი დროებითი დახმარების თანხები. ამასთან, გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის (შემოსავლის) ნახევარს.

დახმარების თანხა 10 პროცენტის დანამატით გადაირიცხება სახელმწიფო ბანკის სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო აღმასრულებელი ფურცელი, რომლის მიხედვითაც გადახდევინება დამთავრდება, უბრუნდება მის გამცემ სახალხო სასამართლოს.

სასამართლო პროცესების გაუმჯობესებისა და სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე პირების დისციპლინის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლებითაც არასაპატიო მიზეზით პროცესზე გამოუცხადებლობისათვის მხარეები და მოწმეები ჯარიმდებიან 30 მანეთამდე თანხით. 30 მანეთამდეა გაზრდილი აგრეთვე სასამართლო პროცესზე წესრიგის დამრღვევი პირებისათვის დაწესებული ჯარიმაც. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებლობისათვის დაწესებული ჯარიმა გადიდება 50 მანეთიდან 200 მანეთამდე, ხოლო ამ წესით დაჯარიმების საერთო თანხა 300-დან 1000 მანეთამდე.

კანონი საკმაოდ მკაცრი და სამართლიანია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სახალხო სასამართლოები ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ მინიჭებულ უფლებას და ხშირად ვერ აჯარიმებენ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელ პირებს, რადგან ამისათვის აუცილებელია დადგინდეს მოქალაქისათვის უწყების ჩაბარების ფაქტი. ეს პრაქტიკულად იმიტომ არის ძნელი, რომ თავისთავად უწყების ჩაბარება სასამართლოების საქმიანობის ერთ-ერთი რთული სფეროა.

ამ სირთულეთა მიუხედავად, განხილულმა კანონის სიახლემ უდავოდ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო სამართალწარმოების შემდგომ გაუმჯობესებას.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების კანონმდებლობის სრულყოფისათვის

გიორგი სულხანიშვილი,

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

თანამედროვე პერიოდში, როცა კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვა სახელმწიფო საქმედ იქცა, დღის წესრიგში დადგა აგრეთვე ამ სფეროში მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფა.

1976 წლის 29 ოქტომბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კანონი: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“¹, რამაც ასახვა ჰპოვა რესპუბლიკების შესაბამის კანონმდებლობაში². 1982 წლის 16 სექტემბერს კი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“³.

მიღებული კანონი და დებულება, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ, უდავოდ ემსახურება საბჭოთა მეცნიერებისა და სახალხო განათლების განვითარებას, საბჭოური პატრიოტიზმის მაღალი გრძნობების ფორმირებას, მშრომელთა იდეურ და ესთეტიკურ აღზრდას.

კულტურის ძეგლებისადმი მოქალაქეთა ყურადღება და დამოკიდებულება თავისთავად მოითხოვს სათანადო სამართლებრივ რეგულირებას. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონები, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება: „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სწორედ ამ დიდ მიზანს ემსახურება.

ამასთან ერთად, ჩვენის აზრით, ზოგიერთი საკითხი საჭიროებს უფრო მეტ დახვეწასა და დაზუსტებას, რაც მოქმედ კანონმდებლობაში ალბათ ცვლილებასა და შესწორებას გამოიწვევს. მაგალითად: დებულების მე-2 მუხლში ამომწურავი არ არის დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტების განსაზღვრა, რადგან კანონმა არ გაითვალისწინა ერთიანი კრიტერიუმები, რამაც საკანონმდებლო წესით უნდა განსაზღვროს ობიექტი დასაცავ ძეგლად. ამან კი შეიძლება გააძნელოს სახელმწიფოებრივი კონტროლი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენებაზე, რომელსაც სახალხო დებუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები და საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოები ანხორციელებენ.

სსრ კავშირის კანონის მე-4 მუხლი, საქართველოს სსრ კანონის მე-5 მუხ-

¹ Ведомости Верховного Совета СССР, 1976. № 44...

² იხ. საქართველოს სსრ კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977, № 12, მუხ. 184.

³ СП СССР, 1982 г. № 26, ст. 133.

ლი და მათ შესაბამისად მიღებული დებულების მე-4 მუხლი ადგენს, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაყიდვა, ვაჭუქება ან სხვა წესით გასხვისება დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის აუცილებელი წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ძეგლების გაყიდვის შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს შესყიდვის უპირატესი უფლება. ამ წესის დარღვევით ძეგლის თაობაზე დადებული გარიგებები ითვლება ბათილად და იწვევენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებს.

ჩვენი აზრით, მესაკუთრეთა მიერ დაცული ობიექტის გაყიდვის, ჩუქების ან სხვა წესით გასხვისების შესახებ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის შეტყობინების დადგენილი წესი ზღუდავს მესაკუთრის უფლებამოსილებას პირადი ქონების განკარგვაზე. სსრ კავშირის კანონის მე-4 მუხლი, საქართველოს სსრ კანონის მე-5 მუხლი და შესაბამისად ზემოაღნიშნული დებულების მე-4 მუხლი კი დადგენილი წესების დაცვას სავალდებულოდ ხდიან არა მარტო გაყიდვისა და ჩუქების დროს, არამედ სხვა წესით გასხვისების დროსაც. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მესაკუთრის ყველა შესაძლებელი სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედება, მათ შორის ანდერძი, გაცვლა და სხვა, აუცილებელია წინასწარი, სავალდებულო წესით ეცნობოს სახელმწიფო ორგანოებს. ვფიქრობთ, რომ ეს არ შეესაბამება პიროვნების უფლებათა გარანტიების გაფართოებას, რასაც საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების ტენდენციები ითვალისწინებს.

მართებულად მიგვაჩნია, რომ მესაკუთრის მიერ ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაყიდვის დროს სახელმწიფოს ენიჭება უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს პრიორიტეტი კულტურული ფასეულობების გაყიდვის შემთხვევაში სრულიად დასაბუთებულია, რადგან ყველაზე უფრო ღირებული ხელოვნების ნაწარმოებები მუზეუმებში უნდა ინახებოდეს, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის.

მართალია ამ შემთხვევაშიც იზღუდება მესაკუთრის უფლება, თავისი სურვილით განკარგოს კუთვნილი ნივთი, მაგრამ იგი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს⁴ და გამართლებულიცაა.

თუ სახელმწიფო არ გამოიყენებს შესყიდვის უპირატეს უფლებას, მაშინ ისტორიისა და კულტურის ძეგლების ჩუქება, ანდერძით დატოვება, გაცვლა ან სხვაგვარი გასხვისება დასაშვები უნდა იყოს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის წინასწარი სავალდებულო შეტყობინების გარეშე. მით უფრო, რომ ნებისმიერი ანალოგიური სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედება შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ სსრ კავშირის ფარგლებში. სსრ კავშირის კანონის 28-ე, საქართველოს სსრ კანონის 43-ე და სსრ კავშირის დებულების 53-ე მუხლებით ხომ აკრძალულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების გატანა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოუფლედობისა და არასათანადო გამოყენების იურიდიული შედეგები, რაც გულისხმობს სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

⁴ Ст. Богуславский М. М. Международная охрана культурных ценностей, М., 1979. С. 134.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები მიმართულია საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საკუთრებაში ან სარგებლობაში მყოფი კულტურისა და ისტორიის ძეგლების დასაცავად და შესანარჩუნებლად.

სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები დგება სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების მოქმედებისა ან უმოქმედობის დროს და მასზეა დამოკიდებული მიყენებული ზარალის ანაზღაურება, კულტურული ფასეულობების მოუვლელობისათვის დაწესებული ღირებულების იძულებით ამოღება, დადგენილი წესის დარღვევით დადებული გარიგების ბათილად ცნობა და სხვა.

ლიტერატურაში აღნიშნულია რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ყოველგვარი ფასეულობა არ ითვლება ისტორიისა და კულტურის ძეგლად, ხოლო თუ იგი ასეთი ძეგლია, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აღრიცხოს და აიყვანოს თავისი დაცვის ქვეშ. ამიტომ კანონმა უნდა მოძებნოს ისტორიისა და კულტურის ძეგლის განსაზღვრის ისეთი ფორმა, რომელიც შეიცავს ყველა ნიშანს, რაც საფუძველს აძლევს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს გადაწყვიტონ ობიექტის სახელმწიფო დაცვის ქვეშ აყვანის საკითხი⁵.

საბჭოთა კანონმდებლობაში ცნობილია „კულტურული ფასეულობებისა“ და „ისტორიისა და კულტურის ძეგლების“ ცნებები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების ანალოგიურ მუხლებში ლაპარაკია კულტურულ ფასეულობათა მოუვლელობაზე, ხოლო სსრ კავშირის 1976 წლის კანონში⁶, საქართველოს სსრ 1977 წლის კანონში⁷ და 1982 წლის დებულებაში⁸ ყურადღება გამახვილებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენებაზე.

კულტურული ფასეულობებისა და ისტორიისა და კულტურის ძეგლების კანონში მოცემულ განსაზღვრათა შედარების დროს ა. ნ. სერგეევი მივიდა ამ ცნებათა სიახლოვის დასკვნამდე, მაგრამ მთლიანად ურთიერთდამთხვეულ ცნებებად მათ ცნობას ავტორი შეუძლებლად თვლის. მხოლოდ სახელმწიფო ორგანო წყვეტს საკითხს იმის შესახებ, იმსახურებს თუ არა ესა თუ ის კულტურული ფასეულობა სახელმწიფო დაცვის ქვეშ აყვანას, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლი. საკითხის დადებითად გადაწყვეტის დროს ზდება ობიექტის განსაკუთრებულ სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა და მისი ისტორიისა და კულტურის ძეგლად ცნობა.

ამრიგად, სწორია ავტორის აზრი, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლად ჩაითვლება არა ყველა კულტურული ფასეულობა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც საამისოდ იქნება ცნობილი კანონით დადგენილი წესით⁹.

⁵ См. Стешенко А. А. Охрана памятников культуры в СССР, журнал «Советское государство и право», 1975 г. № 11, с. 44. Богуславский, Международная охрана культурных ценностей, М., 1979 г., с. 126.

⁶ Ведомости Верховного Совета СССР, 1976 г. № 44, ст. 628.

⁷ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977, № 12, მუხ. 184.

⁸ С. П. СССР, 1982 г., № 26, ст. 133.

⁹ Сергеев А. П., Гражданско-правовая охрана культурных ценностей, «Правоведение», 1983 г., № 4, с. 38.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების ანალოგიურ მუხლებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს „ისტორიისა და კულტურის ძეგლის“ ცნებას, ნაცვლად „კულტურული ფასეულობის“ ცნებისა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი ასეა ჩამოყალიბებული: „კულტურულ ფასეულობათა მოუვლელობა“. ასეთივეა რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი 142-ე მუხლი. ვფიქრობთ, რომ ორივეგან ტექსტი გადატვირთულია, რადგან კანონმდებელი იძულებულია მუხლში დაწვრილებით განმარტოს კულტურულ ფასეულობათა ცნების შინაარსი. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველ ნაწილში კულტურულ ფასეულობათა მოუვლელობის შესახებ ასე წერია: „თუ მოქალაქე არ უვლის თავის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს და ეს ქონება ფუჭდება, სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა ამოცანას შეადგენს ამგვარი ქონების დაცვა, აფრთხილებენ მესაკუთრეს, რომ ჯეროვნად უპატრონონ მას...“

ჩვენის აზრით, ფორმულირებას, „ქონება, რომელსაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს...“ უნდა მიეცეს ახალი რედაქცია და გათვალისწინებული იყოს ისტორიისა და კულტურის ძეგლის ცნება, რომელსაც გააჩნია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი. ეს შეესაბამება აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის 35-ე მუხლს და ამავე საკითხზე 1982 წელს მიღებული დებულების მე-18-ე პუნქტს.

როგორც წესი, არ არსებობს იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებსაც კულტურული ღირებულება აქვთ, მაგრამ მოუვლელობის გამო ამოღებას ექვემდებარებიან. ამ საკითხებს უშუალოდ ის ორგანოები წყვეტენ, რომელთაც ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობების დაცვა აქვთ დავალბული¹⁰. მართალია, მესაკუთრე თავისი სურვილით ეპყრობა კუთვნილ ქონებას და შეუძლია იგი გაანადგუროს კიდევ, მაგრამ თუ მოქალაქეთა საკუთრების უფლების ობიექტი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა, კანონმდებელი მომთხოვნაა ასეთი მესაკუთრის მიმართ და კულტურულ ფასეულობათა მოუვლელობისათვის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც აწესებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფი ყველა კულტურული ფასეულობა არ იწვევს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. აქ მხედველობაშია მისაღები მხოლოდ უნიკალური კოლექციები, სურათები, საბჭოთა და უცხოელ მხატვართა, თუ ოსტატთა ნამუშევრები და სხვა ნაკეთობები, რომლებსაც დიდი მხატვრული და ისტორიული ღირებულება გააჩნიათ.

სსრ კავშირის კანონის მე-12 და საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლებით, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ძველებური ნივთები, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ნაგებობები, ხელნაწერები, კოლექციები, იშვიათი ნაბეჭდი გამოცემები, სხვა ნივთები და ღირებულებები, რომელთაც განსაკუთრებული ისტორიული, მეცნიერული, მხატვ-

¹⁰ Ерощенко А. А., Личная собственность в гражданском праве, М., 1973 г., с. 144, 145.

რული ან სხვა კულტურული ღირებულება აქვთ, ცხადდებიან ისტორიისა და კულტურის ძეგლებად და ექვემდებარებიან სახელმწიფო აღრიცხვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს მიეკუთვნებიან მხოლოდ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ნივთები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„თუ მოქალაქე არ უვლის თავის კუთვნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რის შედეგადაც ქონება ფუჭდება, სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა ამოცანას შეადგენს ამგვარი ქონების დაცვა, აფრთხილებენ მესაკუთრეს, რათა ჯეროვნად უპატრონოს მას...“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

სსრ კავშირის კანონის მე-16, საქართველოს სსრ კანონის 29-ე და სსრ კავშირის დებულების 69-ე მუხლებით დადგენილია, რომ თუ მოქალაქე სათანადოდ ვერ უვლის თავის კუთვნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლს, სასამართლო წესით შეიძლება აუნაზღაურდეს მისი ღირებულება და შემდეგ ჩამოერთვას იგი. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი).

კულტურული ფასეულობისადმი დაუდევრობა არავის ებატიება. სახელმწიფო ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ქონებას იცავენ, დროულად უნდა გააფრთხილონ მესაკუთრე, რათა შეწყვიტოს ქონებისადმი უყაირათო მოპყრობა, ხოლო თუ იგი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, სათანადო ორგანიზაციის სარჩელით, სასამართლოს უფლება აქვს ჩამოართვას ქონება და გადასცეს იგი სახელმწიფოს.

უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში სარჩელი, აღნიშნული ქონების ჩამორთმევის შესახებ, შეიძლება აღიძრას აგრეთვე წინასწარი გაფრთხილების გარეშეც.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი კულტურული ფასეულობის მოუვლელობა ეწინააღმდეგება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისაგან კულტურული ფასეულობების ამოღება მათი ღირებულებების გადახდით, უნდა შევაფასოთ როგორც რეკვიზიცია. ამასვე ფიქრობენ ის ავტორები, რომლებიც კულტურული ფასეულობების მოუვლელობის დროს ქონების სასყიდლიან ამოღებას, განიხილავენ როგორც რეკვიზიციას. (რფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით)¹¹. ა. ა. სტეშენკო აღნიშნავს, რომ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად დაიშვება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებით ქონების ამოღება მესაკუთრისაგან, მისთვის ქონების ღირებულების გადახდით. ეს ნორმა სა-

¹¹ Маслов В. Ф., Основные проблемы право личной собственности в период строительства коммунизма в СССР, Харьков, 1968 г., с. 226, Советское гражданское право Казахской ССР, Алма-Ата, 1970 г., вып. 3, с. 34. Стешенко А. А., Правовая охрана памятников культуры СССР, М., 1974 г., с. 45, Малени Н. С. Общие вопросы гражданско-правового положения личности: В кн.: гражданско-правовое положение личности в СССР, М., 1975 г., с. 23. Рубанов А. А. Правовое положение граждан в отношениях личной собственности в кн.: Гражданско-правовое положение личности в СССР. М., 1975 г., с. 76. Реализация прав граждан в условиях развитого социализма. М., 1983, с. 65.


ფუძველი გახდა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში სპეციალური მუხლების შესატანად, რომლებიც მიმართულნი არიან მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი კულტურული ფასეულობების მოუვლელობისაგან დასაცავად¹².

სხვაგვარ მოსაზრებას გამოთქვამს ა. სერგეევი. იგი თვლის, რომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის ნორმა არ ითვლება რეკვიზიციად, მიუხედავად იმისა, რომ ქონების ამოღება წარმოებს საზოგადოებრივი ინტერესებით და მესაკუთრის ქონების ღირებულების გადახდით. ასეთ დასკვნამდე მიდის იმიტომ, რომ რეკვიზიცია არ გულისხმობს მართლწინააღმდეგობას სახელმწიფოებრივი აუცილებლობით ამოღებული ქონების მესაკუთრის მოქმედებაში. როგორც ავტორი აღნიშნავს, რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით არ შეიძლება კულტურულ ფასეულობათა ამოღება, თუ მესაკუთრე სათანადოდ უვლის მას. იმიტომ ქონების ამოღება მესაკუთრისათვის მისი ღირებულების ანაზღაურებით უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამოუკიდებელი სანქცია, რომელიც არ დაიყვანება სახელმწიფოს მიერ პირადი საკუთრებიდან ქონების ამოღების არც ერთ ცნობილ იურიდიულ საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ა. სერგეევი გვთავაზობს შეიქმნას სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისაგან ქონების ამოღების კიდევ ერთი ინსტიტუტი.

ჩვენის აზრით ასეთი მოსაზრება მცდარია. ცნობილია, რომ ამოღების შემთხვევები მოითხოვენ მკაცრ შეზღუდვას. მათი სიმრავლე კი არ შეიძლება. თვითონ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები ადგენს მათ ამომწურავ ჩამოთვლას. ავტორის მიერ განხილულ შემთხვევებში ქონების ამოღება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც კონფისკაცია, რამდენადაც მესაკუთრეს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო გადაცდომა. ასეთი ამოღება სასჯელად არ ითვლება, იგი ღონისძიებაა, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ქონების შესანარჩუნებლად. ამოღებული ქონების სრული გადახდა კი იმას მოწმობს, რომ ასეთ დროს ადგილი აქვს არა სანქციას, არამედ სახელმწიფოს ინტერესების განხორციელებას იმ ქონების შესანარჩუნებლად, რომელიც საზოგადოებრივ ფასეულობას წარმოადგენს. ეს კი მთლიანად თავსდება რეკვიზიციაში.

ს ხელ
ონ ა
ხელმ
გე
ი
ე
3
5
X
I

¹² Стещенко А. А., указ., соч., М., 1974 г., с. 45.



საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და მათი გავლენა მტკიცების ფარგლებზე

მუშრბან სილაბაძე,

ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი

სბბზოტ პროცესუალურ ლიტერატურაში გავრცელებულია ის თვალსაზრისი, რომ მტკიცების პროცესს თავისი სპეციფიკური საგანი და ფარგლები გააჩნია. ამიტომ, ცხადია, კიდევ უფრო იზრდება საქმისათვის მნიშვნელოვან იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების (გარემოებების) ღირებულება, რომლებიც, როგორც ხშირად პროცესუალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, „გვანთავისუფლებენ მტკიცებისაგან“. ლაპარაკია უდაო, პრეიუდიციალურად დადგენილ, კანონით პრეზუმირებულ ფაქტებზე (გარემოებებზე) და ფაქტებზე, იმ ზეგავლენაზე, რასაც ისინი ახდენენ პროცესუალური მტკიცების ფარგლებზე საბჭოთა იურიდიულ პროცესში. ჩვენ ვლამბარაკობთ მტკიცების ფარგლებზე, რადგან მხოლოდ მათი მეშვეობით ვლინდება მოცემული ფაქტების (გარემოებების) მტკიცების თავისებურება და საქმეზე მტკიცების საგანში მათი ჩართვის აუცილებლობა.

საყოველთაოდ ცნობილ (უდაო) ფაქტებად (გარემოებებად) აღიარებენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც თავისი უტყველობით ცნობილია პირთა ფართო წრისა და უპირველეს ყოვლისა, სასამართლოსათვის. ფაქტის (გარემოების) საყოველთაოდ ცნობადობა განისაზღვრება გარკვეულ პირთა წრის მიმართ და გარკვეულ დროში. შეიძლება დავასახელოთ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი (უდაო) ფაქტი, როგორიცაა ამა თუ იმ პუნქტის არსებობა განსაზღვრულ გეოგრაფიულ წერტილზე, მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, ცხოველის ან საგნის მიკუთვნება დადგენილი სახის, ტიპის, კატეგორიისათვის და ასე შემდეგ.

ვერ დავენთანსებით აზრს, რომ თითქოს საჭირო არ იყოს იმ ფაქტების (გარემოებების) შემოწმება, რომელთა სინამდვილეც ეჭვს არ იწვევს¹. ჩვენის აზრით, ფაქტის (გარემოების) ლოგიკურობა ჭერ კიდევ არ ნიშნავს მის პროცესუალურ მტკიცებულებას.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების (გარემოებების) პროცესუალური მნიშვნელობა იმაშია, რომ ქრება მათი ტეშმარტიბის ხელახლა დადასტურების აუცილებლობა. მათი განსხვავება პროცესუალური მტკიცების საგანში შემაჯავლი სხვა ფაქტებისაგან (გარემოებებისაგან) ის არის, რომ ისინი დადგენილი და დადასტურებული იყო პროცესუალური ურთიერთობების წარმოშობამდე გაცილებით ადრე. მაგრამ მტკიცებითი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტის (გარემოების) დამადასტურებელ მტკიცებათა შეგროვებით. მათთან მუშაობა ითვალისწინებს აგრეთვე საქმის ირგვლივ შემუშავებული პირველადი ვარაუდის (ვერსიის) თვალსაზრისის შემოწმებასა და შეფასებას ჭოცემულ ფაქტებთან (გარემოებებთან) კავშირში გამოტანილი დასკვნების დასაბუთებას საქმის პირველადი ვარაუდების მიხედვით. უფრო მეტიც, ხშირად საჭირო ხდება გამოყენებული ინფორმაციის წყაროს დადასტურება. მთავარი კი ის არის, რომ სასამართლო დარწმუნდეს მოსარჩლის ან მოპასუხის, ბრალდებლის ან ბრალდებულის მტკიცებათა სისწორეში. იმისათვის, რომ ფაქტებმა (გარემოებებმა) შეიძინონ მტკიცებითი ძალა, აუცილებელია მათი შემოწმება და შეფასება. ფაქტების (გარემოებების) საყოველთაოდ ცნობილობა (უდაობა) კი მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ შესაძლებლობისამებრ შევამოკლოთ მათი გამოკვლევა-მტკიცება.

ეჭვს იწვევს განსახილველი ფაქტების (გარემოებების) დაყოფა საყოველთაოდ ცნობილიად

¹ Маркович И. Б. Определение объема судебного исследования в советском гражданском процессе. Труды Иркутского гос. университета, 1955, с. 32; Юдельсон К. С. Проблема доказывания в советском гражданском процессе, Госюриздат, сс. 192—194, 212—215.

და უდაოდ, რადგან როგორც ერთს ისე მეორეს საფუძვლად უდევს მათი სიაშკარავე. ერთიცა და მეორეც ერთდროულად უდაოდ არის და საყოველთაოდ ცნობილიც. ამგვარად, სახეზეა განუყოფელი აზრობრივი ურთიერთკავშირი, ასე მაგალითად, არ შეიძლება გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს უდაოდ ფაქტი (გარემოება), თუ ის ცნობილია მხოლოდ მოსამართლისათვის, ან საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ საეჭვოა იურიდიული პროცესის რომელიმე მონაწილისათვის.

პრეიულიცია, ლათინური სიტყვაა და წინასწარ გადაწყვეტას ნიშნავს. ესაა ფაქტები (გარემოებები), რომლებიც ახსნავს პოპულარულ სამართალწარმოებაში განაჩენით, დადგენილებით, სასამართლოს განჩინებით ან საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე პროკურორისა და საგამოძიებო ორგანოს დადგენილებით.

ადმინისტრაციული აქტებითა და საპროკურორო-საგამოძიებო ორგანოებით დადგენილი ფაქტების (გარემოებების) პრეიულიციას ბევრი მეცნიერი-იურისტი უარყოფითად წყვეტს, რადგან „კანონი არ ითვალისწინებს ფაქტის მტკიცებისაგან განთავისუფლების საფუძვლად მის დადგენას ადმინისტრაციული და საპროკურორო-საგამოძიებო ორგანოების აქტებით“².

ადმინისტრაციული ორგანოს აქტზე მართლაც არ ვრცელდება პრეიულიციის წესი, რადგან იგი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნებს, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას საპროკურორო-საგამოძიებო ორგანოების აქტებზე, რომელიც პროცესუალური მოღვაწეობის შედეგია და ზუსტად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელთა მიზანიც ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაა.

ვ. მ. გორშენევის აზრით „პრეიულიცია — იხეთი ნორმატიული წინაპირობაა, რომელიც საშუალებას აძლევს იურიდიული საქმის განმხილველ ორგანოს თავი განთავისუფლოს ადრე დადგენილ და შესაბამის სამართლებრივ აქტებში (განაჩენში, გადაწყვეტილებაში) განმტკიცებულ გარემოებათა მტკიცებისაგან“³. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს, რადგან ერთხელ ჩატარებული მტკიცების პროცესის განმეორება მართლაც არ არის აუცილებელი, რადგან ამით ილახება შესაბამისი აქტისა და ამ აქტის დამდგენი ორგანოს ავტორიტეტი. ეს კი ყოველად დაუშვებელია, რადგან იგი დაუპირისპირდება პროცესუალური ეკონომიის პრინციპს. სწორედ ამიტომ მტკიცების მთელი პროცესის ამგვარი განმეორება ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. არაფერს შემატებს საქმეს.

არ შეიძლება აგრეთვე მეორე უკიდურესობა, ხსენებულ ფაქტებზე (გარემოებებზე) მტკიცებით მუშაობაზე აბსოლუტურად უარის თქმა. პრეიულიციულურად დადგენილი ფაქტების (გარემოებების) გაცნობა-შესწავლა თუნდაც იმიტომაც საჭირო, რომ გამოვრიცხოთ ის შეცდომები, რომლებიც შეიძლება დაეშვათ ან ვერ შეენიშნათ შემოწმების დროს. ასევე აუცილებელია მტკიცების საგნის სხვა ფაქტებსა და გარემოებებთან შემუშავებულ წინასწარ ვარაუდებთან (ვერსიებთან) ერთობლიობაში პრეიულიციულური ფაქტების (გარემოებების) განხილვა.

პრეიულიციულური ფაქტების (გარემოებების) გამოყენების საფუძვლად საბჭოთა პროცესუალური კანონმდებლობა თვლის სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების ჭეშმარიტების პრეზუმპციას (ვარაუდს), იმას, რომ სასამართლოს განაჩენი განიხილებოდაც, როგორც ჭეშმარიტება. ეს პრინციპი არა მარტო საბჭოთა იურიდიული პროცესის, არამედ მთელი სამართალგამოყენების პრეზუმპციაა და სასამართლოს ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება. „პრეიულიციულური საწყისი არ შეიძლება დავასაბუთოთ ერთი და იგივე ფაქტზე განაჩენის განსხვავების დაუშვებლობით, აღნიშნავს პროფ. კ. ს. იუდელსონი, ეს იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების ავტორიტეტის მხოლოდ ნელოგურნი მხარდაჭერა“⁴.

პროცესუალური მტკიცების საგანში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ, აგრეთვე, ეგრეთწოდებული კანონით პრეზუმპციურულ ფაქტებს (გარემოებებს).

სამართლებრივი პრეზუმპცია (ლათინური სიტყვაა და ვარაუდს ნიშნავს) ინდუქციური გზით მიღებული, პირდაპირ ან ირიბად სამართლის ნორმაში განმტკიცებული განსაზღვრული ვარაუ-

² Тереушников М. К. Доказательства и доказывание в советском гражданском процессе. Изд. МГУ, 1982, с. 43.

³ Горшенев В. М. Нетипичные нормативные предписания в праве. Советское государство и право, 1978, № 3, с. 116, см. также: Курилов С. В. Основы теории доказывания в советском правосудии. Минск, 1969, с. 76.

⁴ Юдельсон К. С. Проблемы доказывания в советском гражданском процессе, Гостюриздат, 1951, с. 226.

და, რომლითაც საზოგადოებრივი ურთიერთობა მიიჩნევა ჩვეულებრივ ურთიერთობად და არ საჭიროებს სპეციალურ დადგენასა და მტკიცებას.

მ. შ. ჩერნილოვსკი თვლის, რომ პრეზუმპცია, როგორც სამართლებრივი ტერმინი, შეიცავს ვარუდს, შიშოთუნას, რომლის დადასტურება ან უარყოფა უნდა წარმოადგენდეს საპოვნ გაჩემობათა, იურიდიული ფაქტებისა და მათი შედეგების დადგენის საშუალებას.

ჩვენის აზრით, ამ განმარტებაში მოცემულია სამართლებრივი პრეზუმპციისათვის დამახასიათებელი ლოგიკურ-გნოსეოლოგიური თვისება. ლოგიკურობის თვალსაზრისით პრეზუმპციები ხასიათდება მათი ვარაუდობით, ალბათობით (ამა თუ იმ ოდენობით), გნოსეოლოგიური თვალსაზრისით სამართლებრივი პრეზუმპციები ფილოსოფიურ-ლოგიკურ კატეგორიებს განეკუთვნება და თავის შინაარსში განაზოგადებს რეალური სინამდვილის ფაქტებსა და გარემოებებს.

სამართლებრივი პრეზუმპცია ის ვარაუდია, რომელიც სარწმუნო წანამძღვრებს ემყარება და მათ ჭეშმარიტებად მიიჩნევენ მანამ, ვიდრე არ არსებობს ამის საწინააღმდეგო მტკიცება. ეს, რა თქმა უნდა, ენება განსხვავებას სამართლებრივ და ფაქტურ პრეზუმპციებს შორის. „თვით პრეზუმპცია სრულებითაც არ მდგომარეობს მის თვისაშკარავში. ეს თვისება პრეზუმპციას საერთოდ არ გააჩნია“⁶. პრეზუმპცია კანონმდებლის მიერ იმის გამოხატვა და აღიარებაა, რაც ცხოვრებაში „ყველაზე ხშირად ხდება“, ამიტომ აქსიომატური დებულების სარწმუნო ხასიათისაგან განსხვავებით იგი საჭიროებს განუწყვეტელ შემოწმებასა და მტკიცებას „სხვანაირისა“ და „პირიქით“-ის წარმოდგენის შესაძლებლობის გამოიცხვის მიზნით. პრეზუმპცია, როგორც მსჯელობა გიპოტეტურ ფორმაში გამოხატული ობიექტური რეალობის ფაქტების (გარემოებების) შემეცნების საფუძვრი, ახალი მომენტია. სიახლით გამოარჩეული ამ დასკვნის მიზანი ის არის, რომ მიაღწიოს სამართლის ისეთ ფენომენს, როგორც პრეზუმპციაა. პრეზუმპციურული ფაქტი (გარემოება) კი იძლევა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა (სამართალურთიერთობათა) მონაწილეებს შორის აღმოცენებულ ან აღმოცენებად ურთიერთობათა შემდგომი სამართლებრივი რეგულირების საშუალებას.

განსაკუთრებული პროცესუალური რეგლამენტურობითა და ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპით განსხვავებულ საბჭოთა იურიდიულ პროცესში პრეზუმპციურული ფაქტის (გარემოების) აღიარება საჭიროებს პრეზუმპციებისათვის დამახასიათებელი ალბათობის ლიკვიდაციას. სხვა შემთხვევაში მოცემული ფაქტი ვერ უპასუხებდა საქმის მასალების გამოკვლევის დამაჭერებლობასა და ობიექტურობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე პრეზუმპციებისათვის დამახასიათებელი ნორმატიულ-სამართლებრივი თვისებების განსაზღვრა, რაზედაც დამოკიდებულია სამართლებრივი პრეზუმპციების კლასიფიკაციის, საბჭოთა იურიდიული პროცესის მტკიცების საგანში მათი ადგილისა და მნიშვნელობის დადგენა.

მ. შ. გორშენევის აზრით პრეზუმპციების ნორმატიული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ „ის გვევლინება საერთო წესის სახით და სამართალგამოყენებელ ორგანოს ავადდებულებს დადგენილად ან დაუდგენლად ცნოს ესა თუ ის ფაქტი, თუ საქმეში წარმოდგენილია სხვა ფაქტები“⁷.

ჩვენის აზრით პრეზუმპციები ყოველთვის არ ატარებენ მავალდებულებელ ხასიათს. მათი ნორმატიული ხასიათი ვლინდება იმ სამართლებრივი ნორმის ხასიათში, რომელშიც ისინი არიან განმტკიცებული. როგორც წესი, არაბრალეულობის პრეზუმპცია მხოლოდ მავალდებულებელი ხასიათისაა, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში უშვებენ გამოაკლისსაც, რაც სპეციალურად აღინიშნება კანონმდებლობის მიერ. მაგალითად, მტკიცებით ბრალი ედება იმ პირს, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი საბუთები აღმოაჩნდა, მაგრამ თავისი საქმეანობის მიხედვით არ შეეძლო მქონოდა იგი.

⁵ Черниловский З. М. Презумпции и фикции в истории права. Советское государство и право, 1984, № 1, с. 98.

⁶ Каминская В. И. Учение о правовых презумпциях в уголовном процессе. Изд. Акад. Наук СССР, М., 1948, Ленинград, с. 8.

⁷ Горшенев В. М. Нетипичные нормативные предписания в праве. Советское государство и право. № 3, 1978, с. 117.

ანალოგიური ნორმატიულ-სამართლებრივი თვისებები გააჩნია იმ პრეზუმპციას, რომელიც საფუძვლად უდევს განსაზღვრული საშუაოს დავლების დაუშვებლობას იმ პირისადმი, რომელსაც არ გაუვლია საჭირო მომზადება და არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია. ეს პრეზუმპციაც მავალდებულებელი ხასიათისაა. ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი ნორმატიულ-სამართლებრივი თვისებების სხვა შესაძლებელი ხასიათიც. მაგალითად, არ შეიძლება სავალდებულოდ მივიჩნიოთ კანონით პრეზუმპცირებული იმ პირის გარდაცვლილად ცნობის ფაქტი, ვის შესახებაც არ მოიძებნება რაიმე ცნობები ბოლო სამი წლის განმავლობაში. ასეთი ფაქტის დადგენა მტკიცების გარეშე სავალდებულო არ არის საბჭოთა იურიდიულ პროცესში.

სამართლებრივი პრეზუმპციების გამოყენება დამოკიდებულია სამართალგამოყენებითი საქმიანობის იმ ფორმაზე, რომელზედაც (და რომელ ფორმაშიც) სორციელდება იგი. ამის მიხედვით განისაზღვრება სამართლებრივი პრეზუმპციების გამოყენება.

პრეზუმპციების ერთერთი სახეობაა დეფინიცია, რომელიც ხსნის სამართლებრივი მდგომარეობისა და მოვლენის შინაარსს. ამის მაგალითია სამოქალაქო სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც აკანონებს, რომ მოქალაქის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის, სადაც იგი ცხოვრობს მუდმივად ან დროებით.

თავისი ფუნქციონალური მნიშვნელობითა და ნორმატიულ-სამართლებრივი თვისებებით დეფინიციები სამართლებრივი პრეზუმპციების და იურიდიული ფიქციების ანალოგიურია, ხოლო რადგან განსეოლოგიური თვალსაზრისით საფუძვლად უდევთ იგივე ვარაუდები, ისინიც ფაქტიურად პრეზუმპციებს ემთხვევიან.

სხვანაირად წყდება ფიქციებისა და მათი მტკიცების აუცილებლობის საკითხი. („ფიქცია“ ლათინურად გამოწავონს ნიშავს). განსეოლოგიური თვალსაზრისით ფიქციებსა და პრეზუმპციებს მათი დასკვნების ჭეშმარიტების პირობითი ცნობა აერთიანებთ, მაგრამ პრეზუმპციებისაგან (ესე იგი მეთნაკლებად სარწმუნო ვარაუდებისაგან) განსხვავებით ფიქციად მიიჩნევენ შეგნებულად ყალბ დებულებას. ამიტომ ფიქცია არ შეიძლება მიმართული იყოს რაიმე ჭეშმარიტი დებულების დასადგენად, მისი ფუნქციონალური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ფორმალურად განამტკიცოს რომელიმე ფაქტი შემდგომი სამართალგამოყენებითი მოქმედების შესასრულებლად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიქციებს, საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა ფაქტებთან (გარემოებებთან) ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სამართალგამოყენების განხორციელების დროს.



განს
ამ იგე
მინ
ილ
68

Горшенев В. М., там же, с. 117.



არასრულწლოვანი და დანაშაული

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თაოსნობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების კოლოკვიუმის მეორე ნაწილი (პირველი ნაწილი გაიმართა მოსკოვში, სადაც განიხილეს იუსტიციის სისტემის ფუნქციებთან დაკავშირებული საკითხები); რომელიც მიეძღვნა ქალაქის პირობებში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილების პრობლემებს.

კოლოკვიუმის მუშაობის მთელი ატმოსფერო განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მაღალ დონეზე შეხვედრამ შედეგად, აქ მიღებულმა ერთობლივმა განცხადებამ, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ბრთვითი ომი არასოდეს არ უნდა გაჩაღდეს, რადგან მას ვერავინ მოიგებს.

კოლოკვიუმი გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ. ორი ქვეყნის ლიდერთა შეხვედრამ, თქვა მან, დასახა მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში კონტაქტების გაფართოება. ამ მიმართულებით, სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი კოლოკვიუმი შეიძლება ჩავთვალოთ პირველ გადადგმულ ნაბიჯად. და რაოდენ სიმბოლურია, რომ კოლოკვიუმი იმსჯელებს არასრულწლოვანთა დამნაშავეობაზე, იმ ახალგაზრდების მომავალზე, რომლებიც მალე ჩაიბარებენ უბრთვო და მშვიდობიან ოცდამეერთე საუკუნეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, **მ. შაბუაშვილი**-ძის მოხსენება მიეძღვნა ქალაქის მასშტაბით არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საკით-

ხებს. მოხსენებაში განალიზებული იყო არასრულწლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც შეიმუშავებს ინსტიტუტის სამართლის სექტორში და პრაქტიკაში დანერგეს ქ. ქუთაისის სამართალდამცავმა ორგანოებმა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ამ საშიში გამოვლინებების ლიკვიდაციისათვის მიმართული ძალების კოორდინაციის დიდ მნიშვნელობას. სწორედ კრიმინოლოგიური გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით მიაღწიეს ქ. ქუთაისში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შემცირებას.

ქალაქებში ახალგაზრდობის დელინკვენტობისა და დამნაშავეობის პრობლემებზე ილაპარაკეს ამერიკელმა მეციერებმა, დოქტორებმა **დ. ტენენსა, ა. კემპბელმა** და **დ. ფინკანაშვირმა**. ამერიკელმა იურისტებმა კოლოკვიუმის მონაწილეებს გააცნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა დამნაშავეობაზე კონტროლის ორგანიზაციული, ამ სფეროში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე სისხლის სამართლის პოლიტიკის დელინკვენტობის ტიპოლოგიის, ტენდენციების, ახალგაზრდობის საქმეებზე სასამართლოთა საქმიანობის, ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა რესოციალიზების პროგრამების კონკრეტული საკითხები. დელინკვენტი — ეს ტერმინი გაგებულია ფართოდ და შეიცავს ისეთ დანაშაულობებს, როგორცაა სკოლაში მეცადინეობების გაცდენა, სიჩუტის გამოვლინება, სექსუალურ ურთიერთობათა მოუწესრიგებლობა, სახლიდან გაქცევა და სხვ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია დელინკვენტების ორი სახის ტიპოლოგია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განასხვავებენ დელინკვენტობის პრევენციის სამ სახეობას: პირველადი პრევენცია მიმართულია პირის მიერ დანაშაულის ჩადენამდე მისი სოციალური და ფიზიკური არაკეთილსაზურველი გარემოს შეცვლისაკენ; მეორადი პრევენცია ითვალისწინებს პოტენციური დამნაშავეობისა და დანაშაულის პირველად ჩამდენი პირების გამოვლინებასა და მათზე შემოქმედებას; ხოლო პრევენციის მესამე სახე მი-

მართულია რეციდივის თავიდან აცილებისაკენ, მას შემდეგ, რაც დანაშაული მოხდა და გამოაშკარავდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1978-1982 წლების ოფიციალური მონაცემებით 18 წლის ასაკამდე დაპატიმრებულთა რიცხვი თითქოს შემცირდა, მაგრამ დელინკვენტობის დონის შემცირების საერთო ტენდენცია არ გვაძლევს იოლი და ნაჩქარევი დასკვნების გამოტანის საფუძველს, რადგან რამდენადმე მნიშვნელოვანი შემცირება ეხება მხოლოდ მცირემნიშვნელობის დანაშაულისათვის დაპატიმრებებს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდში ამერიკაში ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ ძალადობითი დანაშაულის რიცხვი მ პროცენტით გაიზარდა.

კოლოკვიუმის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია ამერიკაში დელინკვენტო რესოციაციის ზოგიერთმა პოპულარულმა პროგრამამ. ეს პროგრამები დასაბუთებულია ფსიქოლოგიურად და ისინი წარმოადგენენ ამერიკის პირველ ახალმოსახლეთა ცხოვრების ისტორიული პირობების იმიტაციას. კერძოდ, ერთ-ერთი პროგრამის შესაბამისად მოზარდთა 10-12 კაციანი ჯგუფები მიჰყავთ ტყეში და იქ ცხოვრობენ იზოლირებულად. აქ მათ დამოუკიდებლად უნდა გადალახონ არაერთი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური სიძინედი. სხვა პროგრამა ითვლისწინებს მოზარდების ხელახალ აღზრდას ქვეყანაში მოგზაურობის პროცესში, რომელიც გვაგონებს „დასავლეთის ათვისების“ ისტორიულ პროცესს. ამ პროგრამების დაფინანსება ნაწილობრივ მშობლების ხარჯზე ხდება, თანხების ნაწილი კი სახელმწიფო და საქველმოქმედო ფონდებიდან გაიცემა.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. თორდის მონაწილეობაში განალიზებული იყო ქ. თბილისში არასრულწლოვანთა დანაშაულის ცვალილებათა ხასიათი.

დოქტორმა ფრიდ პლემბამ კოლოკვიუმის მონაწილეებს ვააცნო მსოფლიოს 10 ქვეყანაში დანაშაულის დაბალი დონის მიზეზების კვლევის შედეგები. დადგინდა, რომ ძლიერი სოციალური კონტროლი ამცირებს დანაშაულს, ამიტომაც დანაშაულის დაბალი დონის ქვეყნები გამოირჩევიან სოციალური სოლიდარობით.

დოქტორმა ბ. მიულერმა ილაპარაკა მოზარდის პიროვნების ფორმირების საფუნდამენტზე (ოჯახი, სკოლა, სამუშაო), იმაზე თუ რა გავლენას ახდენს ამ ინსტიტუტებში არსებული პირობები არასრულწლოვანთა ქცევის მიმართულებაზე.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. გაბინის მონაწილეობაში ასახული იყო მოზარდი სამართალმარღვევის პიროვნების ფორმირების პირობების გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი. გამოკვლევის ობიექტები იყვნენ ქ. თბილისში მცხოვრები, ეგრეთ წოდებული „ძნელად აღსაზრდელი“ მოზარდები, რომლებმაც ჩადინეს ესა თუ ის სამართალმარღვევა და აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ დედაქალაქის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში. გამოკვლევის შედეგებით დადგინდა, რომ „ძნელად აღსაზრდელი“ მოზარდების უმრავლესობა არახელსაყრელ ოჯახურ პირობებში იზრდებოდა, მოკლებული იყო ხთანადო ყურადღებასა და კონტროლს როგორც სკოლის, ისე სკოლისგარეშე აღმზრდელობითი დაწესებულებების მხრივ, რაც მიუთითებს მათ მუშაობაში ფორმალისმისა და აღსაზრდელებისადმი უხელოგულო დამოკიდებულების დაძლევის აუცილებლობას.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ლეშაძის მონაწილეობაში განხილული იყო ქალაქის ახალგაზრდობის სამართალშეგნების შესწავლის საკითხები. გამოიქვა აზრი, რომ მასობრივი სამართალშეგნების შესწავლა ნათელყოფს გარკვეულ კრიმინოლოგიურ პრობლემებს. მაგალითად, ზოგიერთი დანაშაულის მიმართ მოსახლეობის შემწყნარებლობა მიუთითებს ამ დანაშაულობათა მაღალ ლატენტურობაზე.

დოქტორ ზ. ვილიამსის გამოხვლა მიეძღვნა ახალგაზრდებს შორის დელინკვენტობისა და დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში სამართალდაცვითი ორგანოების როლს. დანაშაულის შემცირებისა და თავიდან აცილების მიმართ დაინტერესებამ მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის ყველა სეგმენტი, პოლიციის ჩათვლით. პოლიციის ტრადიციულმა სტრატეგიამ, რომელიც დაფუძნებული იყო დანაშაულზე კონტროლის მოდელზე, და არა მის თავიდან აცილებაზე, წარუმატებლობა განიცადა. 1980 წლიდან 1970 წლამდე პერიოდში პოლიციის მრავალ დეპარტამენტში შეიქმნა ახალგაზრდებთან მუშაობის სპეციალური ქვეგანყოფილებები, რომლებმაც ევალებოდა ახალგაზრდების ცხოვრების სოციალური პირობების სრულყოფა, მაგრამ დღემდე „პრევენციის“ ცნება და მის განხორციელებაში პოლიციის როლი ბოლომდე ცხადი როლია.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. მალბრძის მონაწილეობაში განალიზებული იყო სამართალმარღვევა არასრულწლოვანთა ძირითადი სოციალური ღირებულებების ში-



ნაარსი. ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ მორალური ღირებულებები, რომლებიც ახალგაზრდა დამნაშავეთა ავტობიოგრაფიულ ღირებულებათა სისტემაში დომინირებენ, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. რომელიც ემთხვევა საზოგადოების წევრთა უმრავლესობის ღირებულებებს; 2. რომელთა ფორმულირება ემთხვევა სოციალურად მისაღებ ღირებულებებს, მაგრამ მათ შინაარსში არასრულწლოვანები სხვა აზრს ღებენ; 3. ეგოისტური და ამორალური ღირებულებები.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სარჯველიძემ ილაპარაკა არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პირების სტრუქტურულ-დინამიკურ თავისებურებებზე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. რიბაქაძის გამოხვლა მიეძღვნა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ვიქტიმოლოგიურ ასპექტებს, რომლებიც ემყარება ქ. ირკუტსკში ავტორის მიერ ჩატარებულ ვიქტიმოლოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. უბრაქაძემ კოლოკვიუმის მონაწილეებს გააცნო არასრულწლოვანი დამნაშავეის პიროვნების შესწავლის საქმეში ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენება, აგრეთვე ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვანის დანაშაულებრივ ქცევაში განწყობილების რეგულირების როლის კვლევასთან.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. უბრაქაძის გამოხვლაში ხაზი გაეხვა გადაბრბილი ქცევის შესწავლის მნიშვნელობას, რომელიც წინ უძღვის არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენას. კონკრეტული მახასიათებლების ხაფუძველზე ნაჩვენები იყო, რომ როგორც წესი, დანაშაულის ჩადენამდე ადგილი აქვს არასრულწლოვანის მიერ მცირე ხა-

მართლდარღვევებს, რომლებიც რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგით.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა დისკუსია არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემათა შესწავლის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური დონის თანაფარდობის თაობაზე. კოლოკვიუმზე აგრეთვე გამოქვეყნდა ქალაქის მასშტაბით არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მხარეთა დიფერენცირებული მიდგომა. ამერიკელი კოლეგების გამოკვლევებში შემჩნევა ორიენტაცია ემპირიზმზე და პრაგმატიზმზე. ემპირიული მონაცემების განზოგადების გათვალისწინებით მიღებულია, უმთავრესად, სოციალურ-კულტურული ფაქტორები. საბჭოთა კრიმინოლოგების შრომებში შემჩნევა სწრაფვა როგორც დოკალური თეორიული მოდელების (მაგალითად, ფსიქოლოგიური), ასევე ფართო სოციოლოგიური მოდელების გამოყენებისაკენ. დისკუსიის დროს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. იბარკევიძემ ხაზი გაუხვა შესწავლილი პრობლემებისადმი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მიდგომის შესამუშავების კეთილნაყოფიერებას.

ამერიკის შეერთებული შტატების დედეგაციის მეთაურმა დოქტორმა ბ. მიულერმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერ იურისტთა თანამშრომლობა უადრესად კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს განსახილველ პრობლემათა გადაწყვეტაში. ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა მიმდინარე კოლოკვიუმის ხაზით და გვჯერა, რომ ასეთი დიალოგები კვლავაც გაგრძელდება კრიმინოლოგიის ძირეულ პრობლემებზე. შემდეგ მადლობა გადაუხადა კოლოკვიუმის ორგანიზატორებსა და მასპინძლებს გულთბილი შეხვედრებისა და მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნისათვის.

დვადღმოსილი

ბრძოლის და შრომის სახელოვანი გზა განვლო ჩვენი პარტიის ვეტერანმა, უფილმა წითელმა პარტიანმა, კომკავშირელმა 1918 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებულმა იურისტმა, რსფსრ რესპუბლიკის პერსონალურმა პენსიონერმა მიხეილ აბიათარის ძე იაკობაშვილმა.

მ. იაკობაშვილი დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ჩინაში. 6 წლისამ სწავლა დაიწყო ახლადგახსნილ დაწყებით სკოლაში, რომლის დამაარსებელი და პირველი მასწავლებელი იყო მისი მამა აბიათარ ანდრიაძის ძე იაკობაშვილი. ორი წლის შემდეგ მიხეილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს, 16 წლისა იგი კომკავშირელი ხდება. 1918 წლის ივნისში კი უკვე აქტიურად მონაწილეობს საჩხერე-ჭიათურის მშრომელთა აჯანყებაში მენშევიკების წინააღმდეგ. შემდეგ მიხეილი არალეგალურ მუშაობას ეწევა, უახლოვდება გამოჩენილ ქართველ რევოლუციონერებს ბორის ძნელაძეს, ერიკ ბედიას, ვლადიმერ ფილკოვსკის, ჭიჭიკო იმედაძეს, გაიოზ დევდარიანს და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის და თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის კომუნისტურად განწყობილ სხვა მოსწავლეებს.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელიისუფლების გამარჯვებისთანავე 18 წლის მიხეილი განსაკუთრებულ რაზმშია ("ჩინი").

1928 წელს სასწავლად გზავნიან ქ. მოსკოვში საკავშირო უმაღლეს საფინანსო სკოლაში, რომელსაც 1928 წელს წარჩინებით ამთავრებს და მუშაობას იწყებს თბილისში, საქართველოს ფინანსკომის საფინანსო-საკონტროლო განყოფილების უფროსად. პარალელურად სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტი 1927 წელს მიხეილს მოხალისეობით აბრუნებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, ხადაც ინიშნება ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სახმარებლო კოლეგიის მდივნად და კოლეგიის წევ-

რად. 1930 წელს იგი ამავე თანამდებობაზე გადაჰყავთ მინსკში. მალე ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიბიტით სწავლის გასაგრძელებლად იგზავნება ქ. მოსკოვში, წითელ პროფესურაში, რომელიც 1935 წელს წარჩინებით დაამთავრა და წითელი პროფესორის წოდება მიიღო.

სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის რეკომენდაციითვე მ. იაკობაშვილი ინიშნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სექტორის გამგის მოადგილედ.

1937 წელს მ. იაკობაშვილს აწინაურებენ, გადაჰყავთ ჯერ მოსკოვის საკავშირო იურიდიულ მეცნიერებათა ინსტიტუტის, შემდეგ კი საკავშირო სამართლის აკადემიის დირექტორად. სწორედ ამ წლებში გამოიცა პირველი იურიდიული სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მისივე ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა იურიდიული მეცნიერების ახალი დარგების ჩამოყალიბებას საკოლმეურნეო, შრომის სამართლის და სხვ.

დაულალავ შრომასა და შემოქმედებითს ძიებაში გავიდა ათეული წლები, 1960 წელს მ. იაკობაშვილი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს დაუბრუნდა. ეკლავ ჩაება შრომის ფერხულში.

მ. იაკობაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში. მან თავისი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობების შემუშავებასა და სრულყოფაში. 1974 წლიდან მ. იაკობაშვილი თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური გაერთიანების იურიდიულ დარგს ხელმძღვანელობს და მთელ თავის ცოდნას ახმარს კოლექტივში კანონის დაცვასა და განმტკიცებას.

მიხეილის სახლში რომ შეხვალთ, უნიკალური იურიდიული ლიტერატურის გვერდით უცხოელი და საბჭოთა კლასიკების ახობით



ტომს ნახავთ, ალბათ წიგნის სიყვარულმა შე-
აქმნევინა მიხეილს ნაშრომი „წიგნით ვაჭრობა
და სამართლის საკითხები“.

კარგი ოჯახის პატრონია მიხეილი. მან სამ-
შობლოს ღირსეული შთამომავლობა აღუზარ-
და. ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დიდი სიყ-
ვარული და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი მი-
ხეილის უფროს ვაჟს, პროფესორ ანდრია
მიხეილის ძე იაკობაშვილს, მოსკოვის ავტო-
ტრანსპორტის ინსტიტუტის დირექტორს. ანდ-
რიას შეუღლეს და ყველა შვილს სამეცნიერო
ხარისხი აქვს და დიდ მეცნიერულ მუშაობას

ეწევიან სხვადასხვა კვლევის ინსტიტუტში.
მიხეილის უმცროსი ვაჟი რევაზი უკვე 10
წელია, რაც მამის პროფესიას ემსახურება,
შეუღლდა ინჟინერ-სანტექნიკოსი, ამჟამად
პენსიონერია. იმედს გამოვთქვამთ, რომ მიუხე-
დავად ხანდაზმულობისა, მიხეილ იაკობაშვილი
კიდევ მრავალი წელი ემსახურება ჩვენი ქვეყ-
ნის წინსვლას.

აპოლონ ფალიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.



სურათზე: ძველი ბოლშევიკები **დ. ლომიძე** (მარცხნიდან), **ს. ქავთარაძე**, **მ. ლომიძე** და
მ. იაკობაშვილი.

სურათი გადაღებულია 1963 წელს.

ტექსტი
ილი
დავით
ნიკოლე



კრიტიკა & გიგლიოზრეა

ქართული იურიდიული ლიბერალური პარტი შენაქანი*

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება ყოველთვის ითვლებოდა დიდმნიშვნელოვან საქმედ, მაგრამ მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბოლო ხანს, კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ.

რით უნდა აიხსნას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ესოდენ დიდი ყურადღება მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხებისადმი?

ამაზე პასუხს იძლევა თ. ლილუაშვილის წიგნი „სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა“, რომელიც ამასწინათ მიიღო ქართველმა მკითხველმა.

წესრიგისა და დისციპლინის გარეშე შეუქმლებელია ეკონომიკური თუ სოციალური ამოცანების გადაჭრა. უფრო მეტიც, უწესრიგობა, არაორგანიზებულობა და უდისციპლინობა ამუხრუჭებს საზოგადოების წინსვლას, მის განვითარებას.

გამომდინარე აქედან, სწორად მოიქცა ავტორი, როცა პირველ რიგში განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებებითა და სოციალური ინსტრუმენტის გამოყენებით უნდა მოწესრიგდეს საზოგადოებრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება ადამიანებს შორის. ასეთ ინსტრუმენტად აღიარებულია სოციალური ნორმები (აღათჩვეულება, ტრადიცია, მორალი, სამართალი და ა. შ.). აქვე მოკლედ, მაგრამ ნათლად ჩამოყალიბებული სამართლის როლი ადამიანების ქცევის მოწესრიგებაში, კერძოდ, სკკპ პოლიტიკის გატარების საქმეში. წიგნში გაკეთებულია დასკვნა, რომ რადგან საბჭოთა სამართლის ნორმებში ასახულია პარტიის პოლიტიკა, ამ ნორმების განხორციელება პარტიის პოლიტიკის განხორციელებაა, ხოლო მათი დარღვევა პარტიის პოლიტიკიდან გადახვევა.

აქვე საკვებით დამაჭერებლად განხილული მეთად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი იმაზე, რომ კანონების, დადგენილებების,

თუ სხვა ნორმატიული აქტების მხოლოდ შემუშავება და მიღება საკმარისი არ არის წესრიგის დასამყარებლად. როგორი დასაბუთებულობით და სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებების გათვალისწინებითაც არ უნდა იყოს შემუშავებული სამართლებრივი ნორმა, მანც ვერ მოგვცემს ეფექტს, თუ იგი განუხრელად არ გატარდება ცხოვრებაში. ავტორის აზრით სამართლებრივი ნორმის მოქმედება ამ ნორმის ეფექტიანობის მაჩვენებელი არ არის, იგი ამ ეფექტიანობის მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ნორმა არ მოქმედებს, ვერც მის ეფექტიანობას დავადგენთ, ხოლო თუ მისი მოქმედების ეფექტიანობა არ ვიცით, მაშინ ვერც მისი შეცვლისა ან გაუქმების მიზანშეწონილობას განვსაზღვრავთ.

ნაშრომში საინტერესოაა გაშუქებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის გაწეული საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი. აქვე დაყენებულია ჩვენის აზრით მეთად აქტუალური საკითხი: რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უდიდესი ზრუნვისა და მისი მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, კანონიერების დარღვევების შემთხვევები რესპუბლიკაში ჭირ კიდევ ბევრია (გვ. 50-51). კანონიერების განსამტკიცებლად საკმარისი არ არის მისი უზრუნველყოფისათვის არსებული ეკონომიკური, იდეოლოგიური, მორალურ-პოლიტიკური გარანტიები და სწორედ ამიტომ არსებობენ სპეციალური, იურიდიული გარანტიები, რომლებიც სრულყოფილად უნდა შეუხამდნენ კანონიერების საერთო გარანტიებს. რადგან სამართალდამცავი და სამართალშემფარდებელი ორგანოები მთლიანად ვერ იყენებდნენ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილ ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და მორალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროს, სრულყოფილად ვერ ხორციელდებოდა აგრეთვე იურიდიული გარანტიები, რაც თავისთავად ხელს უშლიდა კანონიერების განმტკიცებას.

კანონიერების განმტკიცების საქმეში გან-

* თ. ლილუაშვილი, „სოციალისტური კანონიერების არსი და მნიშვნელობა“, „მეცნიერება“, 1985 წ.

საკუთრებულო როლი ეკისრება მართლმსაჭულეზას. ამიტომ, სავსებით სწორად იქცევა ავტორი, როცა კანონიერების ამ უმნიშვნელოვანეს გარანტიას ახე დაწვრილებით აშუქებს. ჩვენის აზრით აქ საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება მართლმსაჭულეზა სხვა სახის საქმიანობისაგან, რა მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მის კანონიერებას, როგორია მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება და სხვ. ავტორის მოსაზრებით რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, ფაქტობრივად და იურიდიულად დაშვებული სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჭულეზის აქტი არ არის.

წარმოშვს თან ერთვის საკმაოდ ვრცელი დანაკვეთი და წინადადებები (გვ. 98-106). მათი უმრავლესობა ყურადღებასაც იქსახურებს თავისი დასაბუთებულობით, დამაჭრებლობით და თუ განხორციელდება, იგი უდავოდ შე-

უწყობს ხელს კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

შენიშვნის სახით საჭიროდ მიგვაჩნია ადვანიშნოთ, რომ სოციალისტური კანონიერების ვრცელად განხილვისას ავტორს მეტი ყურადღება უნდა დაეთმო იდეოლოგიური ხასიათის აღმზრდელობითი ღონისძიებებისათვის. სასურველი იქნებოდა აგრეთვე, რომ სოციალისტური კანონიერების საკითხისადმი მიძღვნილ წიგნში უფრო ფართოდ ყოფილიყო გაშუქებული კანონიერებისა და მართლწესრიგის ცნებებისა და მათ მიერ ასახული მოვლენების შეიღრო ურთიერთკავშირი.

საერთო დასკვნა კი ისეთია: თ. ლილუაშვილის წიგნი თემის აქტუალურობით, განხილული საკითხების სიღრმითა და სტრუქტურის ორიგინალულობით მაღალ შეფასებას იმსახურებს. იგი მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩითვალოს უკანასკნელი პერიოდის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

გივი ინჰაპირველი.

ნორმატიული აქტების კრებული*

სარეცენზიო კრებულის სახით სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, მმანის განყოფილებების, არქივების, კორწინების სასახლეების მუშაკებმა და მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციით დაინტერესებულმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღეს. კრებული წინასიტყვაობისა და ცხრა თავისაგან შედგება. პირველ თავში მოცემულია ზოგადი ხასიათის ნორმატიული აქტები, რომლებიც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის საკითხებს ეხება. მეორე თავი შეიცავს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უშუალოდ არეგულარებენ მმანის ორგანოების საქმიანობას და მშრომელთა დეპუტატებს სადაბო და სასოფლო საბჭოების უფლებამოვალეობებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისთან დაკავშირებით. მესამე თავში ასახულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესები. კრებულის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე თავები ეთმობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ცალკეული აქტების — მოქალაქეთა ასაკის დადგენის, მოქალაქეთა გვარის, სახელის

და მამის სახელის გამოცვლის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დაფორებისა და მეტრიკული დაფორების შენახვის წესებსა და პირობებს.

მეოთხე თავში მოცემულია მმანის ორგანოების საქმიანობისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები, კანონები, ინსტრუქციები და ბრძანებები.

მეცხრე თავი ეთმობა იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უკავშირდება მმანის ორგანოების, სასოფლო, სადაბო საბჭოების საქმიანობას, სოციალისტური ყოფის ახალი ტრადიციების დანერგვას, დაბადების, ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარების წესებს, ქორწინების რეგისტრაციის რიტუალს, ამავე თავში არის აღმანიშნო სარეგისტრაციო სახელების სია.

ნორმატიული და საცნობარო მასალა მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ კრებული სამაგიდო წიგნად იქცეს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციით დაინ-

* მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერა ორგანოების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. კომახიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.

ტერესებული სამსახურების მუშაკთა ფართო წრისათვის.

კრებულის შემდგენელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. კომახიძემ, ვისაც მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების საქმით გამოცდილება აქვს, კრებულში ასახული ნორმატიული აქტების და სიენობარო მასალის სისტემატიზაციაზე, თარგმნასა და გამოცემაზე შრომატევადი სამუშაო შესრულდა.

მმაჩის ორგანოების მუშაკები სპეციალური ლიტერატურით განვებიერებული არ არიან. ამ ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობაში ზოგჯერ ისეთი საკითხი წამოიჭრება, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებას და ზუსტ რეგლამენტაციას ითხოვს. ასეთ პირობებში სარეცენზიო კრებულმა გარკვეული როლი უნდა ითამაშოს მმაჩის ორ-

განოების მუშაკების სამართლებრივი კულტურის ამაღლების თვალსაზრისით.

კრებულის მიმართ გვაქვს შენიშვნაც. კრებულის შემდგენელი, როგორც თავის წინასიტყვაობაში, ისე კრებულში მოტანილ ნორმატიულ აქტებში მიუთითებს მმაჩის ბიუროზე, როგორც რეგისტრაციის ორგანოზე, რაც კარგა ხანია სინამდვილეს არ შეესაბამება. „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 13 მარტის ბრძანებულებით აქტების ჩამწერი ბიუროები იწოდებიან აქტების ჩამწერ განყოფილებებად. აღნიშნული შესწორება კრებულში უნდა ასახულიყო.

თელო ნინიძე.

კრებული სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა კონსტანტინე გოგლიძის კრებული „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა“, რომელიც კითხვა-პასუხის სახით არის შედგენილი და რვა თავისაგან შედგება. აქ გათვალისწინებულია უმთავრესად ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებთ მშრომელებს. ავტორი კანონის შესაბამისად გასაგებად განმარტავს არა მარტო დასმულ კითხვას, არამედ აქვე ცხადად აჩვენებს ჩვენს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის სოციალურ ბუნებას, მის ჰუმანიზმს. ამ მხრივ თავისი სრულყოფილებით სამაგალითოა პასუხები საკოლმეურნეო და სახელმწიფო პენსიების თაობაზე.

გვაქვს რამოდენიმე შენიშვნაც. ცნობილია, რომ მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით საბჭოთა ქალებისათვის არაერთი შეღავათია დაწესებული. სასურველი იყო ავტორს ყურადღება გაემახვილებინა მარჩენლის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო პირობების საკითხებზე, ასევე კონკრეტულად უნდა გამოკვეთილიყო სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მაისის დღგენილება, რომელიც ეხება 16 წლის შესრულებამდე ინვალიდი ბავშვებისათვის დახმარების დაწესე-

ბას. არ არის განმარტებული დედათა და ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე მთელი რიგი სიახლენი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 იანვრის დღგენილება „ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებს ბავშვიანი ოჯახების ცხოვრების შემდგომი ღონის ამაღლებისათვის.

ზოგიერთ კითხვაზე გაცემულია ბუნდოვანი პასუხი. მაგალითად, კითხვაზე — „გავზარდვ 6 შვილი. მათ შორის 2 ვიწვილე, შემისრულდა 50 წელი. შრომის სტაჟი შეადგენს 30 წელს. მოვიპოვებ თუ არა ასაკით პენსიის მიღების უფლებას და რა ოდენობით, თუ ხელფასი 120 მანეთია?“, — პასუხში მითითებული უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ასეთ დროს გვირ შვილები მხედველობაში არ მიიღებიან.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, კ. გოგლიძის მიერ შედგენილი კრებული დიდ დახმარებას გაუწევს მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებით დაინტერესებულთ.

ზაალ მაცნაძისერი.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მართლშეგნების და კანონის ავტორიტეტის ამაღლება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის საპროგრამო ამოცანაა. ამ მიზნის მისაღწევად სპირიტა მონაღალაქამ იცოდეს, გათვითცნობიერებული იქოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონი და რა ელის მას მისი დარღვევისათვის. საამისოდ გვირი კეთდება, მაგრამ, როგორც ეს მრავალმა გამოკვლევამ დაგვანახა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოსახლეობის გათვითცნობიერების დონე არასახარბიელოა.

მოსახლეობის ფართო მასებისათვის სისხლის სამართლებრივი ცოდნის მისაწოდებლად შურნალი „საბჭოთა სამართალი“ იწყებს ნაწარმოების „ქმნა მართლისა სამართლისა...“ გეგმვას. ავტორებს მიზნად ჰქონდათ დასახული შედეგით საზოგადოებრივ ხელმისაწვდომი მხატვრულ-კოპულარული ნაშრომი. ამ გამოყენებული საჭრთველს სხსამართლო პრაქტიკის მდიდარი გამოცდილება, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, აგრეთვე, მცნიერული და კოპულარული იურიდიული ლიტერატურა.

ცნობილია, რა გატაცებით იკითხება „სახლისო ასტრონომია“ და „სახლისო ფიზიკა“, ამ ნაწარმოებებს აუწონავი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომით სარგებლობას მოუტანს მკითხველს.

დაბრუნება

მანქანამ ხენვით აიარა ცივაბო აღმართი და რკინის ჭიშკარს მიადგა. მძლოლი დაქვეითდა, ჭიშკარი გააღო და მანქანა ეზოში შეიყვანა. შემდეგ კარგა ხანს ათვალიერა იქაურობა.

სამთვალეიანი წაბლის ოდა იდგა ხსსასა მოლიან ვრცელ ეზოში. აღმოსავლეთით ცხრაჯვარის მთები წამომართულიყო, შორს, ჩრდილო-დასავლეთით — ხვამლის მთა. ოკრიბლები მას კიდემოტენილას უწოდებენ. სოფელს დასავლეთით, საოცრად დაკლანდილი, ღრმანხევიანი ღელე ჩაუდიოდა — ღვაღვანა. მთების კალთებზე შეფენილი სოფლები და ნასათუთევი სავარგულეები თვალს ახარებდა.

გვიანი შემოდგომის თბილი ამინდი იდგა, ირგვლივ ფუტკრის, კრაზანისა და კალის გაბმული ზუზუნი ისმოდა.

ღინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა ერთსართულიან სახლს, კიბის სამი საფეხური აიარა და აივანზე ავიდა, ანლა, იქიდან გადმონებდა ეზოს. იქაურობას მჭრუნველი ხელი აკლ-

და. კაკლის, ვაშლის და მსხლის ხეები ისე დაბერებულყო, მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ნაყოფი. ლეღვი და ტყემალი გადამხარიყო. სუროს დაეჩაგრა ხენილი.

— მაშია, უ-უ! — მამაღლა დაიძახა კაცმა და ისე შეწკიპა წარბები, ეტყობა, თავად ეუცნაურა საკუთარი საქციელი.

— უ-უ! — მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა პასუნად, — რომელი ხარ?

ხმა ასიოდე მეტრიდან მოისმა, მაგრამ სახლი არ ჩანდა. აყფდნენ ძაღლები, აქოთქოთდნენ ქათმები და ინდაურები.

— უ-უ! ბიძინას გაუმარჯოს! როგორ ხარ, ბიჭო!

„ გრიშა ხარ? — გაეპასუნა ბიძინა.

— ჰო! ჰო!

— მხეიქეს გაუმარჯოს! — შესძახა ბიძინამ.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! გადმოიარე ჩვენსკენ!

ქვევით, აკაცის ხეებში ორსართულიანი

სახლი ილანდებოდა. მზე დაბლობში ეშვე-
ბოდა, საიდანაც ღრუბელი წამოპარული-
ყო.

ბიძინამ ფეხსაცმელები გაიძრო, შარვალი
მუსლებამდე აიკაპიწა და ბალახზე გაიარა, შე-
მდეგ კვლავ აივანზე ავიდა.

ჭიშკარი გარახუნდა, ეზოში მაღალი, ბრვე
კაცი შემოვიდა. თავზე ფართოფარფლებიანი
ქუდი ეხურა. ხალვათად ეცვა. ღიმილით გა-
მოემართა სახლისკენ.

— რომ დამდგარხარ შუა სოფელში და
დაკარგული ბავშვივით ყვირი, ტელეფონი
გვაქვს ზიძია და დაგერეკა...

— მართლა?! უყურე შენ!

— აბა, რავა! — მამია აივანს მიადგა, ხე-
ლები მოაჯირზე ჩამოაწყო.

— კი, მაგრამ, მე რომ არ მაქვს ტელე-
ფონი...

— შენ არ გაქვს, იმათ აქვთ! ხომ ხარ
მაგრად?

— არა მიშავს! — ბიძინამ მხარზე ხელი
დაუტყუაპუნა მამიას, — შენ რაღა დაგემართა!

— ა? — გაიკვირვა მამიამ. მუცელზე დაი-
ხედა, — ჰ-ო! სმა მიშვრება.

ბიძინა კიბეზე ჩამოჯდა: — შენც ნუ სვამ!
მამიამ ჩაიციინა: — როგორ გყავს ხალხი?

— რა უჭირთ! — ფეხზე წამოდგა ბიძინა, —
მოკითხვა დამაბარეს შენთან.

მანქანასთან მივიდა, კარი გამოაღო. „ჟი-
გული“ საესე იყო საქალაქელებით, პაკეტე-
ბით და დიდი კონვერტებით. ილლიაში ამოი-
ჩარა რამდენიც შეძლო და სახლისკენ წაიღო.

— შეგებულებაში ხარ? — იკითხა მამიამ.

— არა.

— აბა, რას მივაწეროთ თქვენი ჩამობრძა-
ნება, დაბერდი, თუ?

— მაგ ლაპარაკს, ხელი წამომამშველო, ის
ჯობია, — ბიძინამ ოთახში შეიტანა ტვირ-
თი და უკან გამობრუნდა.

— წვიმას აპირებს, — თქვა მამიამ.

— მართლა? — ცას ახედა ბიძინამ, მსხვი-
ლქ წვეთი დაეცა შუბლზე, — არიქა, მომეხ-
მარე!

მამია დინჯად მივიდა მანქანასთან. ხელე-
ბი ისე გაიშვირა წინ, დახერხილი შეშის წა-
ლება რომ იციან ხოლმე. იმდენი საქალა-
ქეები დააწყო ხელებზე, მამიას სახე აღარ
მოუჩანდა.

— რა არის, ბიჭო, ამდენი, მაკულატურა
ჩამოგვიტანე?! — გაიცინა მამიამ, — თუ ნაღს
არ დავეუძახეთ, დღეს ვერ მოვრჩებით.

წვიმამ ერთბაშად მოიმატა. გამეტებით და-
სცხო.

— აუჰ! — ამოიგმინა ბიძინამ — ვერ მოვა-
სწარიო!

— იყო იქ, რა უჭირს!

ჩამობნელდა. ბიძინამ სინათლე აანთო, ჭე-
რიდან წყალი წვეთავდა.

— სულ გაოსრდება! — თქვა ბიძინამ.

— გადაფარე რამე!

ბიძინამ უკანა ოთახიდან ლაბადა გამოიტა-
ნა, საქალაქეებს გადააფარა. შემდეგ წყალს
ჭურჭლი შეუდგა და დოინჯემოყრილი და-
დგა შუაგულ დარბაზში.

— სახურავი შესაკეთებელია! — დაასკვნა
ბოლოს.

— ახალი ამბავი! — საყვედურივით უთხრა
მამიამ, — გამოდი, თუ ძმა ხარ, აივანზე, და-
ვსველდი კაცი!

აივანზე გავიდნენ. უკეთესობა არც იქ
იყო.

— ზაფხულში ვერ ჩამოდი? — თქვა მამიამ,
— ორი თვე წვეთი არ ჩამოვარდნილა ცი-
დან.

— არ მეცალა.

— ახლა?

— პენსიაზე გავედი.

— ოცი წლის ბიჭვივით ხარ, რა გაქვს შენ
საპენსიო!

ჰე, წავიდეთ ახლა, პურმარილი მზად იქ-
ნება... — დასძინა მამიამ.

— ღვინო როგორი გაქვს, ფხენილზე და-
ყენებული თუ ნატეს შაქარზე?

— სადღაა, შე კაცო, ნატენი შაქარი! ნუ გე-
შინია ბიძაშვილს უშაქრო ღვინოს დაგაღე-
ვინებ!

ეზოდან გავიდნენ და ბილიკს მიჰყვნენ.

— უცნაურია! — ჩაილაპარაკა ბიძინამ, —
სადაც ბავშვობა გავიტარებო, საკმარისია, ერ-
თი თვალი გადაავლო, რომ ყველაფერი ერ-
თბაშად გაგახსენდება.

— პენსიაზე გასკვლამ ლექსების წერის გუ-
ნებაზე ხომ არ დაგაყენა!

— არც მთლად უმაგისობა!

— წამიკითხე ხოლმე, თუ ძმა ხარ!

— არც ისეთი შეუბრალებელი ვარ, ბი-
ძაშვილი და სიყრმის მეგობარი დატბარჯო!

— ავაშენა ღმერთმა!

მაღე გამოჩნდა მამია იაშვილის კარმიდა-
მო. უზარმაზარი ორსართულიანი სახლი იდ-
გა საგულდაგულოდ მოვლილ ეზოში.

მამიამ ჭიშკარი შეაღო. დიასახლისი გა-
მოეგებათ. ტაბლა უკვე გაწყობილი იყო.


— ბიჭი სად არის? — იკითხა მამიამ.

— ზევით, კითხულობს. ახლავე ჩამოვა.

ბიძინა მაღიანად შეექცეოდა საჭმელს:

— არა, ძმაო, სოფელში უნდა იცნოვროს კა-
ცმა.

— კოლმეურნეობაში სამუშაოდ ჩამოსვე-
დი? — მქირდავად მოწყურა თვალები მამიამ.



— პენსიაზე ვარ, ჩემი მოვრჩი!
 — რამდენი გაქვს?
 — ასორმოცი მანეთი.
 — პერსონალური?
 — ჰო.
 მამიამ ღვინო ჩამოასხა. პალატაში ბიჭი შემოვიდა; ბრგე, სახიერი.
 — გამარჯობათ! — მიმართა ბიძინას და ტაბლას მიუჯდა.
 — მოიცა! ეს შენი უფროსი შვილიშვილია ხომ? გოჩა, — ჰკითხა მასძინძელს ბიძინამ.
 მამიამ თავი დაუქნია.
 — უყურე შენ, რამხელა გაზრდილა! დამთავრა სკოლა?
 — კი. მოდი, ეს შენს დაბრუნებას გაუმარჯოს! — ჰქია წამოსწია მამიამ და ცოტა მოსვა.
 — არ აპირებს სწავლის გაგრძელებას?
 მამიამ დინჯად გადახედა შვილიშვილს.
 — აპირებდა, იურიდიულზე მაგრამ... გადავათქმევინე.
 — რატომ?
 — რა მაგის საქმეა! — ლაპარაკობდა მამია, კაცის დაჭერა ადვილია?
 ბიძინამ ჩაახველა, ყურადღებით შეათვალიერა ბაბუა-შვილიშვილი. გოჩა ჰამდა და არაფერს იმჩნევდა.
 — ძნელი რაღა არის? — ღიმილი შეეპარა ბიძინას.
 — აქ, სოფელში ცხოვრება; მუქთამჰამელი ქალაქში ისედაც ბევრია.
 — ესე იგი, მუქთამჰამელები მხოლოდ იურისტები ყოფილან, ა?
 მამია უხერხულად შეიმუშუნა: — არც მთლად ასეა საქმე!..
 — რატომ აპირებდი იურიდიულზე ჩაბარებას? — ჰკითხა ბიძინამ გოჩას.
 მან რალაცის თქმა დააბრუნა, მაგრამ ბაბუამ დაასწრო: — დეტექტიური კინოები აქვს ნანახი. აგატა კრისტის მოთხრობები და შერლოკ ჰოლმსიც წაიკითხა... აქ იყოს, იმუშაოს, მიიხედ-მოიხედოს, აგრონომიულზე ან ვეტერინალურზე ჩააბაროს...
 — ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ...
 მამიამ კვლავ სიტყვა ჩამოართვა და დინჯად, დაუინებით განაგრძო:
 — წავა ქალაქში, ორმოცი წელიწადი წყალს ნაყავს და, უკანვე ჩამობრუნდებო. აქ თუ იქნება, წყალი მაინც აღარ ჩამოუვა სახლში. იმუშაოს ცოტა ხანს, ჯარი მოიაროს. თუ მაინც არ მოეშვა იმ თავის... იურიდიულს, კისერი უტეხია და კინჩხი!
 იქნებ აღარ ჩამობრუნდეს სოფელში! რაში დაჭირდება კარგად დახურული სახლი!
 — დაჭირდება! აგურ ზინარ მაგალითი.

— გულთმისნობა დაგიწყია, მამია, რაც ხანში გადადები.
 — რას მატყობ?
 — რა ვიცი, სამუდამოდ აქ დამტოვე, შენი ჰკუითო.
 — კი, დარჩები. სულ აქ დარჩები.
 — რას მატყობ? — გამოაჯავრა ბიძინამ.
 — ვის რად უნდა, ბიჭო, თბილისში, პენსიაზე გასული იურისტი! აქ კი ილოლიალებ ერთხანს, სახურავს შეაკეთებ, ბოსტანსაც მიხედავ. მყნობა თუ იცი?
 — არა.
 — გასწავლი. ერთი-ორი ხის დამყნობასაც მოასწრებ და...
 — შეუბრალებული კაცი ყოფილხარ, მამია.
 — არა! არა ვარ შეუბრალებული... შვილებს ვერაფერი მოვუხერხე, იქნებ ეს მაინც დავამაგრო მამაპაპის ნაფუძარზე. რა იყო, შეკაცო, რამდენი ქალაქი ჩამოიტანე, — მოულოდნელად თემა შეცვალა მამიამ.
 — საჭირო ქალაქებია, — დინჯად მიუგო ბიძინამ.
 — ჰო, ეტყობა სახლში ვეღარსად დაატე, გადასაყრელად დაგენანა და აქეთ წამოიღე, — დაასკვნა მამიამ.
 ბიძინამ ჩაიცინა და ფეხზე წამოიმართა: — წავალ, დავიძინებ. გზამ ძალიან დამლავა.
 — სად წახვალ! — შეიცხადა დიასახლისმა, — იქ რა გაგაჩერებს მარტო!
 — რა მიჭირს! დილიდანვე თუ არ მივხედე სახურავს, აწი წვიმები დაიწყება.
 — სადილად ხომ გადმოხვალ?
 — არა, მინდა, ცოტა გავშინაურდე. კარგად ბრძანდებოდეთ! მადლობას არ გინდით! — ერთი წუთით, ბიძინა! — წამოდგა მამიაც, — პატარა საქმე მაქვს შენთან. იურისტის რჩევა მჭირდება.
 — აუჰ! იურისტის რჩევა რაში გჭირდება ამ საქმიან, ვეტექიმ კაცს.
 — რა ჰჭირდება ქვეყანასა და სოფელს, არცერთ იურისტზე ნაკლებად არ მესმის, მაგრამ... ჩემი ერთი საკანონმდებლო წინადადება განიხილა კოლმეურნეობამ. აღმასკომშიც დასვეს ეს საკითხი. თუ იქავე დაუჭირეს მხარი, თბილისში გადავხვავინან.
 — მაინც რა საკითხია, — ღიმილი მოერია ბიძინას.
 — გოჭების. მათი საქმე ვინ იცის ვეტექიმზე უკეთ! — მამიამ ჩაახველა და განაგრძო, — სასურსათო პროგრამა რა არის, ალბათ, მოგეხსენება. ხორცის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას ახლა. საქონლის სულადობის გაზრდას დიდი დრო ჰჭირდება. სამაგიეროდ, ღორის ხორცის პრობლემის გადაჭრა ერთი

ხელის დაკვრით შეიძლება, შებიწკინებული გოჭის ხორცის ჭამა რომ არ გვიყვარდეს. გოჭს დაღორება თუ არ აცალღე, ხორცი საინდან იქნება! ერთი წუთით წარმოიდგინე, თუნდაც ორი-სამი წელი რომ გოჭი არ დაეკლათ, რამდენ ხორცს დაეზოგავდით.

— ალბათ, ასეულ ტონებს.

— ავაშენა ღმერთმა! ვიფიქრე ამაზე და იმ დასკვნამდე მივიღე, რომ გოჭის დაკვლა უნდა აიკრძალოს.

— უყურე, შენ... — სუმრობის გუნებაზე დადგა ბიძინა.

— არამართო გოჭის, ბურჯაკისაც... — თავისას არ იშლიდა მამია.

— დაწერილი გაქვს კანონპროექტი?

— კი, მარა, იურისტი ხარ და გადახედე, თუ კაცი ხარ, გააშალაშინე შენებურად.

მამიამ განჯინიდან რვეული გადმოიღო და გოჩას გაუწოდა:

— წაიკითხე, სათვალე მივაჩერჩეტე სადღაც. გოჩამ ფეხი მოინაცვლა, ჩაახველა და კითხვას შეუდგა:

„მუსლი 1662 მოზარდი ღორის დაკვლა.

მოზარდი ღორის (გოჭი, ბურჯაკი) დაკვლა, თუ ეს არ იყო გამოწვეული მისი ავადმყოფობით ან დასახიჩრებობით, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე. იგივე ქმედობა, თუკი დაკლულია ორი ან მეტი მოზარდი ღორი, ანდა ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, აგრეთვე იმ პირის მიერ, ვინც ადრე იყო ნასამართლევი ასეთი დანაშაულისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე დაკლული პირუტყვის კონფისკაციით“.

გოჩამ კითხვა დაამთავრა და ბაბუა-შვილი-შვილი მოუთმენლად მიაჩერდნენ ბიძინას.

— შენ დაწერე ეს? — მიმართა ბიძინამ მამიას.

— ყველაფერი ჩემია: იდეა, გაანგარიშება, დასაბუთება ცალკე მაქვს, თუ გინდა იმასაც გაჩვენებ.

— ის არ მჭირდება.

— ერთი ციხიელი ვექილია, ცნობილად, ტყიბულში მუშაობს; ის მომეხმარა. ისე, კაცმა რომ თქვას, იდეა მთავარი, თორემ კანონი ქოთანითათა, სადაც გინდა, იქ გამოაბამ ყურს. პოდა, წაიღე ეს, გამართე კარგად, წერილიც დაწეროთ და „სოფლის ცხოვრებას“ გავუჭავნოთ. ეს კანონი რომ ცხოვრებაში გატარდეს, ორ წელიწადში თავზე გადავივა ღორის ხორცი. ყველაფერი გამოთვლილი მაქვს.

— კარგი! სვალ სამხრობისას გამოდით ჩემთან, გოჭის ხორცს ვერ დაგპირდებით, მომა-

ვალ კანონს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ კარგ ჩაის დაგაღვეინებთ.

მეორე დღეს ბიძინა სახურავს გადაჰყვა. სამხრობა უკვე მოტანებული იყო როცა, მამია და გოჩა ეზოში შემოვიდნენ. მამიამ ხმამალა ასძახა სახურავზე ჩაცუცქულ ბიძინას:

— რას შვრები, მუშაობ?

ბიძინა წელში გასწორდა, — არა, ვისვენებ!

— კარგი, გეყოფა, აწი; ჩამოდი ძირს!

ბიძინა ფრთხილად დაეშვა კიბეზე.

— ჩემს ჯობრზე დღეს აღარ მოწვიმა, გამეგო ერთი, სად ჩამოდის და სად — აღარ.

— რა გეჩქარება, როცა იწვიმებს, მამიამ გაიგებ.

ბიძინა დარბაზში შევიდა, დასაკეცი სავარძელი გამოიტანა და აივანზე დადგა.

— ესე იგი, არ გინდა ხომ, გოჩას იურისტობა, — ჩაიქირქილა ბიძინამ.

— დიას, მართლა არ მინდა... იმისი რა პქენი, წუნელის რომ შემპირდი? — თვალი მოწყურა მამიამ.

— ახლავ იქნება ყველაფერი!

ბიძინა ისევ შებრუნდა დარბაზში: ცალ ხელში სავარძელი ეჭირა, მეორეში — მამიას რვეული. დასდნენ. მცირე ხანს მდუმარედ უყურეს ერთმანეთს.

— საქმე ეხება გოჭებს! — სერიოზულად განაცხადა ბიძინამ, — როგორმე უნდა ვისწნათ ისინი ნადრევი სიკვდილისაგან, მივცეთ დაღორების საშუალება.

— ჰო, ჰო! — შეაწია მამიამ.

— სისხლის სამართლის კანონის მიღება, რომელიც ქმედობისათვის სასჯელს აწესებს, რთული საქმეა. ასეთი კანონის მიღების უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს აქვს. ეს ალბათ, იცი.

მამიამ თავი დაუქნია.

— ჰო, თუ კანონს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს, იგი საკავშირო კანონად ითვლება და მთელ საბჭოთა კავშირში მოქმედებს. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი კი მხოლოდ რესპუბლიკაში მოქმედებს. შენ როგორ გაქვს ჩაფიქრებული, საკავშირო გინდა იყოს შენი კანონი, თუ მხოლოდ რესპუბლიკური?

— გოჭების საკითხი მხოლოდ ჩვენში დგას მწვავედ. ჯერ ჩვენს თავს მივხედოთ. დანარჩენს საქმე გამოაჩენს. შენ ის თქვი, დაწერე თუ არა წერილი!

— მოიცა! წერილამდე უნდა მივიდეთ. კანონის მიღებიდან შვიდი დღის შემდეგ იგი გაზეთში გამოქვეყნდება, გამოქვეყნებიდან ათი

დღის შემდეგ კი მოქმედებას იწყებს. ასეთია წესი. ერთი რამ არის კიდევ დასამახსოვრებელი. კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს. ესე იგი, კანონის ძალაში შესვლამდე ჩადენილ მოქმედებაზე არ ვრცელდება. უკუქცევითი ძალა კანონს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას. გასაგებია?

— რა არის გაუგებარი! რაში გჭირდება ამის ასხნა!

— არაფერი გამოგვრჩეს. როცა ამაზე ვფიქრობდი, — რვეულიანი ხელი აიქნია ბიძინამ, — რამდენიმე კითხვა დამებადა. შენ სპეციალისტი ხარ და მიპასუხე.

— ბრძანე, ბატონო!

— რა ასაკის შემდეგ თვლით ღორს სრულწლოვანად... ბოდიში, ზრდადასრულებულად.

— ასე, ექვსი თვის შემდეგ. ამ ასაკში ნეზვი მაკდება, ესე იგი, ზრდადასრულებულია.

— ამიტომ, კაცი მხოლოდ მაშინ დაისჯება, თუ მის მიერ დაკლული ღორი ექვს თვეს არ იყო მიტანებული.

— რა გაზეთით მელაპარაკებ!

— კანონთან გვაქვს საქმე! — თითი მალდა შემართა ბიძინამ, — რას ნიშნავს ეს? გამოძიების და სასამართლოს ძირითადი ამოცანა იქნება დაადგინოს დაკლული ღორის ასაკი. თუ დაცვა დაამტკიცებს, რომ ღორი ექვს თვეს იყო გადაცილებული, დანაშაულის არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

— წყალი არ გაუვა!

— მაგრამ... როგორ უნდა დადგინდეს ზუსტი ასაკი! გოჩა, შენ, რომ შენი წლოვანების დამტკიცება დაგჭირდეს, როგორ მოიქცევი, რომ დაამტკიცებ, რომ მაინცდამაინც თერამეტი წლისა ხარ?

— რა ვიცი! — მხრები აიწურა გოჩამ, — პასპორტით ალბათ.

— სწორია! — გაზეიადებული გზნებით წამოიძახა ბიძინამ, — მაგრამ პასპორტი დაბადების მოწმობას ეყრდნობა, ხომ? გოჭებს თუ აქვთ დაბადების მოწმობა?

გოჩას სიცილი წასკდა.

— არა, რას ამბობ, სადა აქვთ გოჭებს დაბადების მოწმობა! — ხელი აიქნია მამიამ.

— უმაგისობა არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალში მიცემულის დამცველი წამოადგება და იტყვის, ჩემი მარწმუნებლის ღორი ექვსი თვის და ერთი დღის იყო. კაცს ბრალდება თუ არ დაუმტკიცებია, მხოლოდ ეჭვით, ვერაფერს მიუსჯი.

გოჩა უკვე თავს ველარ იკავებდა. ბიძინა ერთხანს შეყოვნდა, შემდეგ გადამეტებული ყურადღებით მიაჩერდა ბიჭს.

— რა იყო, ბიჭო, ყივანახველა ხომ არ შეგეყარა?! ა, დღევანდელი ახალგაზრდობა! აქ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს ვინილავთ, ეს კი იცინის! საქმეს მივხედოთ! ღორების პოლიკლინიკაც უნდა დაარსდეს!

— ეგ რაღად გინდა, შე კაცო! — მთლად წაუზდა საქციელი მამიას.

— ცინეში ჯდომა ვის უხარია, ყველა შეეცდება ძიება შეაციდინოს. დაკლავს გოჭს, შეჭვამს და შემდეგ განაცხადებს, უჯიშო იყო, ავადყოფი, მაინც მოკვდებოდა და შემომოჭვამაო. ეს რომ არ მოხდეს, ყველა გოჭის ანკეტაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა იყოს აღწერილი. ესეც რომ არ იყოს, კანონპროექტი არ კრძალავს ავადყოფი და დასახიჩრებული გოჭის დაკვლას.

ბიძინამ ბიჭს გადახედა, სიცილი არ იყოსო და განავრძო:

— ვთქვათ, აგერ, გრიშას ჯანმრთელი გოჭი ჰყავს, მაგრამ რაღაც უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა. რას იზამს, ხომ არ შეჭვამს? დამარხავს, ხომ? ქვეყანა ჭრელია, ვინმემ რომ ქუთაისში ან ტყიულში დაგაბეზლოს, კი არ მოუკვდა შეჭვამაო, რა ჰქნას გრიშამ. უნდა ჩამოიყვანოს კომისია, გათხარონ საფლავი და... ასე, რომ მკვდარ გოჭზე გარდაცვალების მოწმობაც უნდა გაიცეს. ანდა ვთქვათ, მართლა დაამღერა გრიშამ თავისი გოჭი, თუ გაიგო, მიჩვილესო, იყიდის სხვა გოჭს და თავს იმართლებს, აგერ მყავს, არც კი მიფიქრია მისი დაკვლაო. ეს რომ არ მოხდეს, საპასპორტო სისტემაც უნდა შემოვიღოთ, აუცილებლად სურათიანი, ერთმანეთში რომ არ აგვერიოს, რომელი რომელია. საჭირო განდება გოჭის გვარი, სახელი და მამის სახელი. ეს სხევი გოჭები, საბუნდევროდ თუ საუბედუროდ, სწრაფად იზრდებიან; ერთი თვისას სხვა გამოიმეტყველებდა აქვს და ხუთი თვისას — სულ სხვა. ეს საკითხი ცოტა ბუნდოვანია. დასადგენია, რამდენი ხნის შემდეგ უნდა შეიცვალოს მათი სურათები პასპორტში. თუმცა ამას მუდმივმოქმედი საგანგებო კომისია ითავებს.

ბიძინამ შეამჩნია, რომ მამიას უკვე ღიმილი შეპარვოდა ტურნებზე.

— ერთი საკითხიც გვრჩება გასარკვევი — გაიღიმა ბიძინამაც.

— კიდევ არის რამე? — დამარცხებულის კილოთი იკითხა მამიამ.

— კი! ღორს მხოლოდ საჭმელად ხომ არ ზრდის კაცი, უნდა გაყიდოს კიდევ. თუ ღორის გაყიდვა შეიძლება, რატომ არ უნდა გაყიდოს გოჭი ან ბურვაკი. ვთქვათ, სამთვიანი გოჭი იყიდა ვინმემ, ექვს თვემდე რომ არ შემოეჭვამოს ხელში, გოჭების გადაფორმება

უნდა მოხდეს დაახლოებით ისე, როგორც ავტომანქანაზეა დაწესებული...

- ჰო, კარგი, კარგი! შევეცი ბატონო! - ასწია ხელები მამიამ. მიძიმედ წამოდგა. ღრმად ამოისუნთქა და დასძინა: - როგორც ჩანს იურისტებს ვეტექნიკებზე უკეთ გცოდნიათ გოჭების საქმე. ისე, სხვალ თუ მესტუმრები სადილად, ერთი უპასპორტო გოჭი მყავს და იმას დაგიკლავ!

- გოჭის/ რა მოგახსენო, მამია, მაგრამ იმ ქოთანზე როგორა ხარ, მექოთნე სადაც უნდა იქ რომ გამოსაბამს ყურს!?

- კარგი, ახლა. მართლა ნუ გამოსაბამს კუდს ამ საქმეს. ისა ჯობია, კიდევ გვიამბო რამე...

- კი, ბატონო!

ბიძინამ ოთახიდან საქაღალდე გამოიტანა და თქვა: - ვატყობ, ამ „მაკულატურამ“ საკმაოდ დაგაინტერესა, ჰოდა, მოგიყვებით კიდევ ერთ საინტერესო ამბავს: რაიონის მოსამართლე ვიყავი. ერთი ახალგაზრდა ვაჟის საქმე ირჩეოდა, რომელსაც მატარებლის კუპეში მილიციის მუშაკები წაადგნენ თავს ქაღალთან ერთად.

- რა, ესეც დანაშაულია!? - გაიცინა მამიამ.

- თუ ძალადობა არ მოხდება, არა! ქალი თექვსმეტი წლისაც არ იყო. საქართველოს კანონმდებლობით თექვსმეტ წლამდე ქალთან ნებაყოფლობით სქესობრივი ურთიერთობაც ისჯება;

- გასაგებია!

- არც ისე! - ჩაიცინა ბიძინამ, - რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი აკრძალვა არ არის.

- იქ სხვანაირი კანონებია?! - გაიკვირვა გოჩამ.

- ყველა მოკავშირე რესპუბლიკას საკუთარი სისხლის სამართლის კოდექსი აქვს, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების უმადლესი საბჭოს მიერ არის მიღებული და მხოლოდ ამ რესპუბლიკების ფარგლებში მოქმედებს. რუსეთის კანონი რუსეთში მოქმედებს, საქართველოსი კი - აქ. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი სქესობრივად მოუმწიფებელ ქალთან ურთიერთობას კრძალავს; ასაკს მნიშვნელობა არა აქვს... რასაკვირველია, ნებაყოფლობითი ურთიერთობა იგულისხმება.

- ის გოგო თუ იყო საიმისოდ მომწიფებული? - იკითხა მამიამ.

- შეილიც კი ჰყავდა.

- უყურე შენ! ჩიოდა?

- არა. საქმეც ეგ არის!

- სად მოხდა ის ამბავი, ჩვენთან თუ რუსეთში?

- აი, სწორედ მანდ არის დამარხული ძალღის თავი! ეს ამბავი მოხდა მოსკოვ-თბილისის მატარებლის კუპეში, მდინარე ფსოუს ახლო-მანკლო. იცით, სად არის ფსოუ? გოჩა, როგორ ხარ გეოგრაფიაში?

- მდინარე ფსოუ საქართველოს და რუსეთის საზღვარია, ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით, - სხაპასხუბით მიაყარა გოჩამ.

- იმ ბიჭისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ამბავი ფსოუს სიღამდე მოხდა თუ სიღის გადმოღმა. თუ იქით ქონდა, გათავისუფლებოდა პასუხისმგებლობისგან, სოლო თუ აქეთ - სასჯელი უნდა დაგვედო.

- რა ქენი მერე? - სიცილი წასკდა მამიას.

- ჩვენც გვეცინებოდა, მაგრამ იმ ბიჭს სატირლად ჰქონდა საქმე. მისი დამცველი ამტკიცებდა, რუსეთში მოხდაო, ბრალდება კი - საქართველოშიო. კარგა ხანს ვერაფერი გავარკვიეთ. ბიჭი გვარწმუნებდა, მატარებელი სანამ სიღზე გადმოვიდოდა, მანამდე მოხდა ყველაფერი, საქართველოში კი და-ძმასავით ვიყავითო.

- გოგო? - ველარ მოიმთინა გოჩამ.

- გოგომ, სიღზე როდის გადავედიო, არც გამიგიაო.

- მიუსაჯეთ რამე? - სავარძელში შესწორდა მამია.

- სისხლის სამართლის საქმე ბრალდების დაუბტკიცებლობის გამო შეწყდა. საეჭვო მასალები იყო.

ბიძინა ოთახში შევიდა. წიგნი გამოიტანა და გადაფურცლა. უკვე საკმაოდ ბნელოდა და სინათლე ჟანთო.

- ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსია! ას მეცხრამეტე მუხლში წერია: „სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე“.

- აუჰ, რას გადარჩენილა ის ყაძახი! - გაიცინა მამიამ, - კი, მაგრამ, სუთი წუთით რომ დაგვეციანებინათ ის ამბავი, უნდა დაღუპულიყო ბიჭი!?

- ასეც რომ მომხდარიყო, მაინც გამართლებებოდა. და აი, რატომ! ის ბიჭი სტუდენტი იყო, უცოლშვილო. ცუდ საქციელში ადრე შემჩნეული არ ყოფილა. გოგო ვერ იყო მთლად წესიერი, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა და ვენერიული სენიც კი შეჰყრია. შეილი ჰყავდა და თავადაც არ იცოდა, ვისგან. ბავშვი სამშობიაროში მიუტოვებია. ჩავიხედოთ კოდექსში! მერვე მუხლი: „დანაშაუ-

ლად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელშეწყობს საბჭოთა, საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, ქონებრივ და სხვა უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის ხელმყოფი სხვა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით... გაიგე, გოჩა, რა ყოფილა დანაშაული?

— ვერა...

— ჩვენი საზოგადოებისთვის საშიში მოქმედებებს კანონმდებელი კრძალავს სისხლის სამართლის სასჯელის მუქარით. ასეთი მოქმედება დანაშაულია. დანაშაულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალული საზოგადოებისთვის საშიში მოქმედება ან უმოქმედობა! თუმცა, ყურადღება ექცევა სასჯელის მიზანშეწონილობასაც. მჯალიათად, ბაბუაშენი ამტკიცებდა, გოჭის დაკვლა საზოგადოებისთვის საზიანოა, მაგრამ ჭკვიანი კაცია და მალე მიხვდა, რომ სისხლის სამართლის კანონით გოჭმკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლა მიზანშეწონილი არ არის.

— მოეშვი გოჭებს, — გაიღიმა მამიამ.

— ასე, რომ მე და შენ, გოჩა, შებრაწული გოჭის ჭამა არ გვეკრძალება.

— ბაბუსა?

— ბაბუსა, კი! გოჭის და ბურვაკის ხორცი ასუქებს ადამიანს... ჰოდა, თუ ქმედება საზოგადოებისთვის საშიში და საზიანოა, მაგრამ კანონით არ იკრძალება, მისი ჩამდენი არ დაისჯება. პირიქით, ზოგჯერ კაცის საქციელს დანაშაულის ნიშნები აქვს, მაგრამ მისი საშიშროება იმდენად უმნიშვნელოა, არ ღირს გამოდევნება. მერვე მუხლის მეორე ნაწილს წაგიკითხავთ: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირემნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“. ის გოგო კი იყო 16 წელს მიღწეული, მაგრამ კანონი დაზარალებულის დასაცავად მოიგონეს. ამ კერძო შემთხვევაში გოგოს არაფერი ჭირდა დასაცავი. ესე იგი, იმ ბიჭის მოქმედება საშიშროების

თვალსაზრისით მცირე მნიშვნელოვანი იყო.

— ასე, შე კაცო! — ჩაერთო მამია, — კინაღამ გული გამიტყდა ამ დროულ კაცს ჩვენი კანონებზე!

— ძალა რომ ენმარა იმ ბიჭს, ხომ დაისჯებოდა? — შეეკითხა გოჩა.

— დაისჯებოდა და მკაცრადაც, აი, რა წერია 117-ე მუხლში, თავიდან ბოლომდე წაგიკითხავთ: „გაუპატიურება, ესე იგი, სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალდატანებით, მუქარით ან დაზარალებულის უმწყო მდგომარეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. გაუპატიურება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე. გაუპატიურება ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე, მცირეწლოვანის გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე ან ისჯება სიკვდილით. გაუპატიურება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე“.

ბიძინამ გოჩას გამოძვცდელად შეხედა, თუ გაიგე რამეო.

— კო, გავიგე. მაგრამ... უმწყო მდგომარეობის გამოყენება რა არის?

— როცა წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია ქალს, ავად არის, ან საგანგებოდ დაათურეს. გასაგებია? — ახლა მამიას გადახედა ბიძინამ.

— რა არის გაუგებარი, ეს ისედაც კარგად ვიცოდი! — დაასვენა მამიამ. — და ფეხზე წამოვდგა. — ისე, იურისტები არ ყოფილხართ მთლად უვარგისი ხალხი, გოჭების გარდა, თურმე, გეოგრაფიაშიც ერკვევით! — სიცილით ჩაიარა კიბე და ახლა შვილიშვილს მიმართა: — წამოდი, გოჩა, ის არასრულწლოვანი გოჭი ახლა თუ არ დავიჭირეთ, დილით დაგვისხლტება ხელიდან! ეს კაცი ორპირობას დაგვწყამებს, იურისტი, ბატონო, არ დაგავიწყდეს!

ბაბუა-შვილიშვილის ლანდები მალე ჩაიკარგა სიბნელეში.

(გაგრძელება იქნება).

ინფორმაცია

იურისტ ლექტორთა საკავშირო სემინარი

ამას წინათ, საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი საზოგადოება „ცოდნისა“ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობებისა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროების ინიციატივით თბილისში გაიმართა იურისტ ლექტორთა სამდღიანი საკავშირო სემინარი თემაზე: „სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა“.

სემინარი გახსნა საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ი. პ. ზინკაძემ. მან გულითადი მადლობა მოახსენა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას თბილისში იურისტ ლექტორთა საკავშირო სემინარის გამართვის გამო და სრული რწმენა გამოთქვა, რომ მისი მუშაობა დიდ წვლილს შეიტანს სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემების სადღეისო მოთხოვნათა დონეზე გადაწყვეტაში, აგრეთვე თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების კიდევ უფრო დახვეწის საქმეში.

საკავშირო სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. პნუშკინი. იურისტ ლექტორთა თბილისის სემინარის თემა, აღნიშნა მან, მისი მუშაობის უაღრესად საინტერესო და ფართო პროგრამა, მონაწილეთა წარმომადგენლობითი შემადგენლობა ცხადად მოწონებს წამოჭრილი საკითხების ირგვლივ საქმიანი მსჯელობის ჭეშმარიტ აუცილებლობას. სემინარის მუშაობას მეტ აქტუალობას ანიჭებს ის, რომ იგი დაემთხვა პარტიის საყრილობო დოკუმენტების საყოველთაო სახალხო განხილვასა და სკკ XXVII ყრილობისათვის მზადების უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდს. დასასრულ, გ. ენუქიძემ სემინარის მონაწილეებს კეთილნაყოფიერი მუშაობა უსურვა და გამოთქვა რწმენა, რომ მისი შედეგები ბევრად შეუწყობს ხელს პროპაგანდისტული საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სემინარზე მოხსენებთი გამოვიდა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. პ. პრპვი-

ვი. ფართო სამსჯავროზე გამოტანილ, თქვა მან, საყრილობო, დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებში ლაპარაკია ჩვენს საპროგრამო მიზნებზე, პარტიის გენერალური ხაზის საკვანძო საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიაზე, მასებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. ამ ისტორიული დოკუმენტების მოთხოვნათა განხორციელების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება პროპაგანდისტული საქმიანობის მეცნიერული სიზუსტით წარმართვის საქმეს. ამდენად, თბილისში მეცნიერ იურისტთა საკავშირო სემინარის მუშაობასა და მის შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს წინაშე დასახული პრობლემების, ცალკეული აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის შემდგომი მუშაობის სწორად წარმართვა.

საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა თანამედროვე პირობებში საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფის, სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში კანონიერებისა და მართლწიარების, დამნაშავეობის პრობლემებისა და ორი იდეოლოგიის ბრძოლის, იმპერიალიზმის იდეოლოგიასა და პოლიტიკაში ადამიანის უფლებების, ორი სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, სახელმწიფო-სამართლებრივ პრობლემებზე კონტრპროპაგანდის ორგანიზაციის, სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის და სხვა საკითხებზე.

საკავშირო სემინარზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლისა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ინწპირ-ველი, საბჭოთა კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ტარნაშვილი, სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის კათედრის ხელმძღვანელის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ. მალცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ



თანაშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ი. ტინოშირაძე**, სკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების დოქტორი **ნ. კოდოლსკი**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე, პროფესორი **ბ. ტომპინინი** და სხვები.

გამართა „მრგვალი მაგიდა“, რომლის გარშემო იმსჯელეს თემაზე: „თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში ადამიანის უფლებების პრობლემა, კონტრპროპაგანდის საკითხები“. აქ კიდევ ერთხელ, უტყუარი ფაქტებით ამხილეს „ადამიანის უფლებების დამცველი“ იმპერიალისტური პროპაგანდის აშკარად ძირმომპაილი იდეოლოგია, მისი სიყალბე და თვალთმაქცობა. ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონს, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას საფუძვლად უდევს თვით ადამიანის ინტერესები, მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში უგულვებელყოფილია ადამიანის უპირველესი — შრომის, დასვენების, უფასო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების უფლებები. „მრგვალი

მაგიდის“ მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იმპერიალიზმის „ჩვეაროსნულ ლაშქრობას“ კომუნისმის წინააღმდეგ უნდა დაუბრძობიან ისინი, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების, კომუნისტური იდეოლოგიის აშკარა უპირატესობის თანმიმდევრული პროპაგანდა, რადგან რაც უფრო მეტს შეიტყობენ მსოფლიოს ხალხები საბჭოთა სახელმწიფოს, სხვა სოციალისტური ქვეყნების მიღწევების შესახებ, მით უფრო განწირული იქნება იმპერიალიზმი ჩვენს წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. სირაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ბ. გუმბარძიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ლორთქიფანიძე**, რესპუბლიკის ადმინისტრაციული და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები.

ზონალური სასწავლო-მეთოდური სემინარი

ამას წინათ ქ. თბილისში ჩატარდა ზონალური სასწავლო-მეთოდური სემინარი, რომელიც სატრანსპორტო პროკურატურებში აღძრულ საავიაციო კატასტროფების საქმეთა წინასწარი გამოძიების ეფექტიანობის ამაღლებას მიეძღვნა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური ოლქებისა და ერვენის სატრანსპორტო პროკურატურების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოსხენებით გამოვიდა სსრ კავშირის პროკურატურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ლ. ზარანოვი**, თანამოსხენებით — ამავე განყოფილების უფროსი პროკურორი **მ. დოდისევი**.

მოსხენებით გამოვიდნენ აგრეთვე, სსრ კავშირის სახელმწიფო ავიაზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ვ. გერასიმოვი** და სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **მ. კოჩენოვი**.

ამ კატეგორიის სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამოძიებაზე ინფორმაციები გააკეთეს ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორმა **ა. კოჩიევმა**, როსტოვის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილემ **ლ. ბოგომოლოვმა**, სოჭის ტრანსპორტის პროკურა-

ტურის უფროსმა გამომძიებელმა **ხ. პერესკოვ-**
მა, სსრ კავშირის პროკურატურის უდიდეს
საქმეთა გამომძიებელმა **ვ. ვუჟენკოვმა** და
სალსკის ტრანსპორტის პროკურორმა **ა. ზვაშ-**
ენკომ. ჩატარებული გამოძიებების ანალოზი
წარმოადგინა სსრ კავშირის პროკურატურასთან
არსებული ინსტიტუტის განყოფილების გამ-
გემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა
ლ. შრაგამ.

საავიაციო შემთხვევების თავიდან აცილე-
ბის საქმეში, ითქვა სემინარზე, განსაკუთრე-
ბული წვლილი შეაქვთ სატრანსპორტო პრო-
კურატურებს, რომელთა უპირველესი მოვა-
ლეთაა მომხდარი საავიაციო შემთხვევების
ოპერატიული და კვალიფიციური გამოძიება,
დამნაშავეთა დროული გამოვლინება. პრო-
კურორებმა ზედამხედველობა უნდა განახორ-
ციელონ, აგრეთვე, იმ ღონისძიებებზე, რომ-
ლებსაც საავიაციო წარმოებები ატარებენ მო-
მხდარი შემთხვევების დროს. როგორც ცნო-
ბილია, საავიაციო შემთხვევებს მეტად მძიმე
შედეგები მოსდევს. ესაა კატასტროფა, ავა-
რია, ადამიანების მსხვერპლი, ძვირადღირე-
ბული ტექნიკის დაზიანება და ა. შ. ცხადია,
ამგვარ საქმეთა გამოძიება დიდ სირთულე-
ებთან არის დაკავშირებული და გამომძიებ-
ლისაგან განსაკუთრებულ ცოდნას, პროფე-
სიულ აღიარებას და საკითხისადმი ღრმად ჩა-
წვდომის უნარს მოითხოვს, რადგან პრაქტი-
კულად იგი ხშირად უჩვეულო გარემოებებში
აღმოჩნდება ხოლმე. გამომძიებელთა უმრავ-
ლესობას კი სამწუხაროდ ამ დარგის საკმაო
გამოცდილება არ გააჩნია. მუშაობა რომ უფ-
რო ეფექტიანი გახდეს, საჭიროა შემუშავდეს
აღნიშნული კატეგორიის საქმეთა საგამომძიე-
ბლო მოქმედების სპეციალური ტექტიკური
გეგმა, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს
გამომძიებლებისათვის საავიაციო შემთხვევე-
ბის საქმეთა გამოძიების დროს.

საავიაციო შემთხვევების წინასწარი გამო-
ძიება და მოკვლევა ერთად ჩატარებული თა-


ვისებური პროცესულური ნორმა და სამსა-
ხურებრივი მოკვლევის კომისიის ინფორმაცია
დროულად უნდა მიიღოს გამომძიებელმა, რა-
თა საქმე ყოველმხრივ კვალიფიციურად და
საგამომძიებო ვადების დაცვით დამთავრდეს.

საავიაციო შემთხვევების გამომწვევი მი-
ზეზებისა და დამდგარი შედეგების გამოკვ-
ლევას სპეციალური ცოდნა სჭირდება. ამი-
ტომ ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებისათვის
თითქმის აუცილებელია სხვადასხვა სახის ექ-
სპერტოზის ჩატარება. უფრო მეტიც, ყოველ-
თვის უნდა ჩატარდეს სასამართლო-ფსიქო-
ლოგიური ექსპერტიზა იმ პირთა ფსიქიური
მდგომარეობის განსაზღვრისათვის, რომელთაც
რაიმე კავშირი ჰქონდათ მომხდარ საავიაციო
შემთხვევასთან. პრაქტიკაში კი პირიქით ცნე-
ბა და ასეთ დროს სასამართლო-ფსიქოლო-
გიურ ექსპერტიზას არასოდეს მიმართავენ.

მომხსენებლებმა და სიტყვებში გამოსუ-
ლებმა პრაქტიკული მაგალითები მოიყვანეს
თავიანთი საქმიანობიდან და განაზოგადეს ის
ძირითადი ამოცანები, რაც სატრანსპორტო
პროკურატურების მუშაობის შემდგომი გაუმ-
ჯობებისათვისაა დასახული.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების გან-
ყოფილების გამგის მოადგილე **თ. ხიდაშონი-**
ძე, საქართველოს სსრ პროკურორი **ვ. რაჟმაძე**,
საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე
თ. კოდუა, ამიერკავკასიის ტრანსპორტის
პროკურორი **რ. ყიფიანი**, აზერბაიჯანის ტრან-
სპორტის პროკურორი **შ. რაჟაევი**, ამიერკავ-
კასიის ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამ-
მართველოს უფროსი **რ. თუშურაშვილი**, სა-
ქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამ-
მართველოს უფროსის პირველი მოადგილე
პ. ჭაქანაია, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“
მთავარი რედაქტორი **ლ. თალაკვაძე**.

ვლადიმერ ხიონიძე.



ადოკატთა ჩესხუზლიჯური სამეხნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ ადოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „სახალხო მეურნეობის სამართლებრივი მომსახურების სრულყოფის პრობლემები და ამოცანები“.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ნინიძემ.

მოსენებით გამოვიდა საქართველოს ადოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. რაიონიშვილი. კონფერენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. თქვა მან, ის, რომ იგი ტარდება სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად მზადების პერიოდში.

საქართველოს ადოკატთა კოლეგიამ უკანასკნელ ხანს გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. თითქმის ყველგან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს საკონსულტაციო პუნქტები, სადაც უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ მშრამელებს. იურიდიული კონსულტაციების ხელმძღვანელებისა და ადოკატების მიერ ადგილებზე გატარებული ქმედითი ღონისძიებები კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ წარმოება-დაწესებულებების ეკონომიკურ შედეგებზე, შრომით კოლექტივებში შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დუშეთის, მარნეულის, ჯავისა და სხვა რაიონების იურიდიულ კონსულტაციებს სამართლებრივ მომსახურებაზე ხელშეკრულება არცერთ ორგანიზაციასთან არა აქვთ დადებული მანდრატები, როცა ადოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში იურიდიული კონსულტაციების გამგეობისაგან მოითხოვს, რომ იურიდიული მომსახურების გარეშე არ დარჩეს არცერთ ორგანიზაცია. ჩვენი მიზანია, რომ თითოეული ადოკატი სულ მცირე ერთ ორგანიზაციას მიანიჭოს მომსახურებდეს. ამ მიმართებით მისაბამ მაგალითად იძლევიან ქალაქების გორის, ფოთის, ტყიბულის, ზესტაფონისა და ლაგოდეხის რაიონების იურიდიული კონსულტაციები. აქ ნაყოფიერად იყენებენ ადოკატთა კვალიფიციაციას და მდიდარ ნორმატიულ მასალას.

ვერ შევერიდებოთ იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ იურიდიული კონსულტაციები არასრულყოფილად, მეთოდურ მითითებათა მოთხოვნების დარღვევით ასრულებენ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებს, ადოკატები არ ეცნობიან ორგანიზაციების საქმიანობის პროფილს, შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობას, ნაკლებად სწავლობენ იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ გაფლანგვასა და მტაცებლობას, არ ეწევიან ეფექტიან იდეოლოგიურ მუშაობას; აგროსამრეწველო გაერთიანებათა იურიდიულ მომსახურებაში ადოკატთა კოლეგიის წევრთა წვლილი ვერ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნებს. სწორედ ამ საკითხებს ითვალისწინებს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დადგენილება, რომელშიც გაანალიზებულია ვინიცისა და კალინინის ადოკატთა საოლქო კოლეგიების მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს სსრ ადოკატთა კოლეგიამ პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა ზემოხსენებული დადგენილება და დასახა ღონისძიებანი მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად.

აგროსამრეწველო გაერთიანებათა იურიდიული მომსახურების მდგომარეობასა და „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ დადგენილებაზე ილაპარაკა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის იურიდიული სამმართველოს უფროსმა ვ. ახეიშვილმა.

სოფლის მეურნეობის მართვის რთულმა სისტემამ, თქვა მომხსენებელმა, განაპირობა იურიდიული მომსახურების სხვადასხვა ფორმების გამოყენების აუცილებლობა.

სამუშეაზროდ, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დღემდე ამის სათანადო ყურადღება არ ექცევა, რატომღაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავს არიდებენ იურიდიული მომსახურების ნაცადი ფორმების პრაქტიკაში დანერგვას, ადოკატებთან იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებას. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსა და ორგანიზაციებში იურიდიული მომსახურების დონე ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. ხშირად იურიდიულ მომსახურებას საქმიანობის სფეროს გარეშე რჩე-

ბა საგემო-სახელშეკრულებო, საფინანსო და სახელმწიფო დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, გაფლანგვისა და უყაირათობის საკითხები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საერთო მაჩვენებლებზე.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების სამართლებრივი მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ სოცურუნველყოფის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსმა გ. გიორგაძემ.

საქართველოს სსრ სოცურუნველყოფის სამინისტროს მიერ 1977 წელს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, თქვა მან, სოცურუნველყოფის განყოფილებასა და იურიდიულ კონსულტაციას შორის ფორმდება ხელშეკრულება რეგრესის წესით საპენსიო თანხების ამოღების თაობაზე. ამ საქმეს კარგად ართმევენ თავს ქალაქების ქუთაისის, გორის, ჭიათურის, თბილისის ლენინის, ოქტომბრის, საქარხნო, აგრეთვე კასპის რაიონების იურიდიული კონსულტაციები, მაგრამ საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანის, ბოლნისის და სხვა რაიონების იურიდიული კონსულტაციების ცუდ მუშაობას, სამწუხაროდ, ხელს უწყობს სოცურუნველყოფის განყოფილების მუშაკთა მოუქნელი მუშაობაც. აქვე ისიც უნდა


ითქვას, რომ ზოგიერთი ადვოკატი შეგნებულად არიდებს თავს სოცურუნველყოფის განყოფილებასთან ხელშეკრულების გაფორმებას. მართალია, ეს ერთის მხრივ, აიხსნება იმით, რომ ზოგჯერ ადვოკატებს არა აქვთ ნორმალური სამუშაო პირობები, მაგრამ რა გამართლება შეიძლება მოვეძებნოთ სოცურუნველყოფის იმ მუშაკებს, რომლებიც ადვოკატებს დროულად ვერ აწვდიან სარეგრესო სარჩელების წარმოებისათვის აუცილებელ მასალებს.

ხელშეკრულებით გაწეული იურიდიული დახმარების სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკაზე ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო არბიტრმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა ა. სულხანიშვილმა. შემდეგ მან ამომწურავად უბასუხა კონფერენციის მონაწილეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

ცალკეულ საკითხებზე ილაპარაკეს თბილისის კლინიკისა და ლენინის რაიონის, ქუთაისის, ფოთის, თელავისა და რუსთავის იურიდიულ განყოფილებათა გამგებმა: ა. გოგობერიშვილმა, ნ. აბულაძემ, ლ. ფარქოხაძემ, მ. კვარაცხელიამ, რ. ჩაქიაშვილმა და ვ. მოსიაშვილმა.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

თმა ზაპრაძე.



გიულიოგრაფია

ქურნალ „საჭმთა საპარტალუი“ 1985 წელს გამომქვეყნებული მასალების საკითხავალი

მეფინანსები სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები და სინფორმაციო მასალები

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, № 1, გვ. 3-4.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე, № 1, გვ. 5-9. საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი, № 1, გვ. 10-11.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, № 1, გვ. 68.

ლენინის გზით, № 2, გვ. 8-5.

საქართველოს სსრ უმაღლესი სახამართლოს არჩევის შესახებ, № 2, გვ. 6.

საქართველოს სსრ უმაღლესი სახამართლოს პრეზიდიუმის დამტკიცების შესახებ, № 2, გვ. 7.

საქართველოს სსრ უმაღლესი სახამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ, № 2, გვ. 8-9.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაციები, № 2, გვ. 10-11.

უტკნობი შარავანდედით მოსილი გამარჯვება, № 8, გვ. 8-6.

გადაჭრით აღმოფხვრათ ნაკლოვანებები რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში, № 4, გვ. 8-6.

უნეში დარღვევებისათვის პასუხს აგებინებენ, № 5, გვ. 8-5.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, № 5, გვ. 6-3.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ, № 5, გვ. 9-14.

დებულება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და მათ სტრუქტურულ

ქვედანაყოფებში შექმნილი ლოთობასთან ბრძოლის კომისიებისა, № 5, გვ. 15-18.

სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა-სათვის აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, № 5, გვ. 71-74.

კანონიერების განმტკიცება და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის საპროგრამო ამოცანა, № 6, გვ. 8-7.

ინფორმაცია, № 1, გვ. 69, № 2, გვ. 76-77; № 3, გვ. 75-79; № 4, გვ. 74-78; № 5, გვ. 76-78; № 6, გვ. 75-78.

წესები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბინაო პირობებგახაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემისა, № 6, გვ. 46-60.

მარად უტკნობი მოძღვრება, № 6, გვ. 17-18.

მწვავედ, კრიტიკულად, საქმიანად... № 6, გვ. 71-74.

სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, სამართაშორისო სამართალი

გ. ხეტურიანი — პოლიტიკური ნორმის ცნება, № 2, გვ. 12-20.

ა. კალმახელიძე — სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმსკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება, № 4, გვ. 7-12.

ბ. ჭორბენაძე — იურიდიული პირის როლის შინაარსის განსაზღვრისათვის, № 4, გვ. 13-22.

ბ. ზოიძე — ავტომობილების მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, № 4, გვ. 23-30.

გ. ერემოვი — საბჭოთა კონსტიტუცია ხალხის კონსტიტუცია, № 5, გვ. 19-23.

ი. ფალიაშვილი — საერთაშორისო კერძო სამართლის როლი სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში, № 1, გვ. 65-67.



ბ. ფარვიზფურია — უაზრო და ტრაგიკული ომი, № 2, გვ. 63-67.

გ. ნადარეიშვილი — ვეჯა-ფშაველა და ფშაველთა ჩვეულებითი სამართალი, № 4, გვ. 49-54.

ბ. ხავანელი — სამართლიანობის იდეა ვეჯა-ფშაველას პოეზიაში, № 4, გვ. 55-57.

გ. ნადარეიშვილი — ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, № 5, გვ. 59-66.

ლ. ალექსიძე — მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, № 6, გვ. 19-24.

სამომხალაქო, შრომის, სოფლის, სამეურნეო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟის პრაქტიკა, კანონის კომენტარი

დ. კუპრეიშვილი — გეგმების შემცირების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებანი, № 1, გვ. 38-43.

მ. გვაზავა — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ურთიერთდამოკიდებულება მასში შემავალ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, № 1, გვ. 56-64.

ქ. გახელია — დემოგრაფიული პროცესების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, № 2, გვ. 42-44.

ბ. ხავანელი — ეკონომიკური სანქციების როლი ბუნების დაცვის კანონმდებლობის განხორციელებაში, № 2, გვ. 47-49.

არბიტრაჟის პრაქტიკა, № 8, გვ. 68-70.

წ. ახვლედიანი — მებაღეობის ამხანაგობის წევრად მიღება, № 5, გვ. 43-47.

რ. ფიფია — ფილიალების სამართლებრივი სტატუსი, № 5, გვ. 48-53.

დ. სუხიტაშვილი — სიახლენი საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესებში, № 6, გვ. 61-65.

ნ. გიორგობიანი — პროდუქციის ხარისხის უფლებრივი რეგულირება, № 6, გვ. 29-32.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, კანონის კომენტარი

მ. მელნიკოვა — ახალი მიმართულება თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინოლოგიაში — დამნაშავეობისადმი სოციალური რეაქცია, № 1, გვ. 12-17.

დ. სულაქველიძე — დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, № 1, გვ. 29-37.

დ. ჭულუხაძე — სიახლე სასჯელათა სისტემაში, № 1, გვ. 44-50.

ა. კობახიძე — ცვლილებანი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, № 2, გვ. 21-27.

ა. ფალიაშვილი, მ. ქურდაძე — მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა, № 2, გვ. 28-34.

თ. ებრაღიძე — არასრულწლოვანის ჩაბმადანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, № 2, გვ. 35-41.

კ. ქაშხაძე — გაუფრთხილებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი, № 3, გვ. 30-37.

მ. გელგონა — ავტორანსპორტის გატაცების საგანი და სუბიექტი, № 3, გვ. 56-60.

ჯ. ბაბილაშვილი — სატრანსპორტო დანაშაულის ზოგიერთი საკითხისათვის, № 4, გვ. 31-39.

დ. შეტრეველი — ნარკოტიკების დიდი ოდენობის ცნება საქართველოს სსრ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, № 5, გვ. 55-58.

სამართალდაცავი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკა, დანაშაულის პროფილაქტიკა

ა. კარანაძე — ავამაღლოთ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი, № 1, გვ. 23-28.

გ. ბახტაძე — სასამართლო პრაქტიკა შრომითი დავის საქმეთა გამო, № 1, გვ. 51-55.

ო. ბებია — სრულყოფილ სასჯელთა დანიშვნის სასამართლო პრაქტიკა, № 3, გვ. 45-50.

თ. დონჯაშვილი — რეალურად უზრუნველყოფთ ბრალდებულის დაცვის უფლება, № 3, გვ. 51-55.

ო. დოლიძე — მოსწავლეთა სამართლებრივი განათლება და აღზრდა, № 3, გვ. 61-65.

გ. როინიშვილი — რესპუბლიკის ადვოკატები ახალი ამოცანების წინაშე, № 5, გვ. 37-42.

შ. გორგოძე — არ დავინდოთ სახალხო დოვლათის დამტაცებლები, № 6, გვ. 25-28.

პ. გათიკოევი — პროკურატურის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, № 6, გვ. 8-10.

ბ. თორღია — საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა, № 6, გვ. 11-16.

ა. გაბიანი — ნაყოფიერი შრომის ათი წელი, № 6, გვ. 33-39.



დისკუსია, კოლემიკა, რეპლიკა

გ. ნაჭყებია — მეტი ყურადღება მეცნიერების მეთოდოლოგიურ საკითხებს, № 2, გვ. 50-58.

გ. ნაჭყებია — დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ლოგიკურ-აქსიოლოგიური დასაბუთებისათვის, № 4, გვ. 40-48.

კანონის ძალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

ი. უორდანი — ბრძოლა გამოეუცხადოთ ლოთობასა და ალკოჰოლიზმს, № 5, გვ. 24-27.

გ. შალამბერიძე — ლოთობა და საჭე ერთად შეუთავსებელია, № 5, გვ. 28-31.

კ. ნარმანია — აღმოფხვრათ ლოთობა და ალკოჰოლიზმი, № 5, გვ. 32-36.

გ. ბერძენიშვილი — კომპლექსურად, უკომპრომისოდ, № 6, გვ. 40-42.

ლექციათა თემატიკა ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე, № 6, გვ. 43-45.

კრიტიკა და გიზლიოგრაფია

ვ. ლორია — მონოგრაფია საოლქო მმართველობის აპარატის შესახებ, № 3, გვ. 66-67.

ჩვენი ინტერვიუ

გ. ბერძენიშვილი — სსრ კავშირ-დასავლეთ გერმანიის III სიმპოზიუმი ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივ საკითხებზე, № 3, გვ. 71-74.

იურიდიული კადრების აღზრდის მძლავრი კერა, № 4, გვ. 64-66.

ქართული იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის № 5, გვ. 67-71.

დედი სამამულე მოხის 40 წლისთავისათვის

ი. ბენიძე — პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, № 3, გვ. 7-14.

ი. დადიანი — გენერალ-ლეიტენანტი გ. თ. კარანაძე, № 3, გვ. 15-21.

ლ. დოლიძე — უხილავი ფრონტის წინა ხაზზე, № 3, გვ. 22-23.

ო. ქრისტესიაშვილი — ოცდაათი წელი სამხედრო იუსტიციის სამსახურში, № 3, გვ. 24-29.

ნარკვევები, მხატვრული ნაწარმოებები, წარსულის ფურცლები, გახსენება

ჩვენი პროფესიის ადამიანები, № 2, გვ. 59-62.

ნ. ბარათაშვილი — № 2, გვ. 68-73.

ნ. წერეთელი — № 2, გვ. 74-75.

ალ. ხოჭოლაძეს ხსოვნას — № 2, გვ. 78-79.

ო. ქრისტესიაშვილი — რევაზ გობრონიძე — წლის საუკეთესო მოსამართლე, № 4, გვ. 58.

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის სასამართლო ქრონიკა, № 4, გვ. 67-78.

ა. მ. ბარაბაძე (ნეკროლოგი), № 4, გვ. 79.

ა. არსენაშვილი — კვლავ მწყობრში, № 5, გვ. 74.

ს. გოგინავა — გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, № 6, გვ. 66-70.

მოზაიკა — № 2, გვ. 79.

თემილას ღიმილი, № 6, გვ. 79.

ცნობები ავტორთა შესახებ, № 1, უდის მესამე გვერდი; № 2, გვ. 80; № 3, გვ. 80; № 4, გვ. 80; № 5, გვ. 80; № 6, გვ. 80.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1986 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6180/44



წილი 60 კპპ.

ინდექსი 76185

